

ქართველ პოლიციელებს ქცევის წესებს ასწავლიან

A7



თბილისის "დინამოს" ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ

B4



ამერიკული ტრიუმფი ბრიტანეთში

B8


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 14 თებერვალი, 2005 წელი. №33 (893) | ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### ახალი გზა და განათებული ქუჩები



მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს დედაქალაქის ბიუჯეტიდან წელს ყველაზე მეტი თანხა – 98 მილიონ 760 ათასი ლარი ერგო. აქედან 77 მილიონ 590 ათასი ლარი გზების საფარის აღდგენას მოხმარდება.

A6

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

მოგების გადასახადი

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

## ამინდი

| | 14/2 | 15/2 | 16/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 11 | 8 |
| ქუთაისი | 10 | 15 | 14 |
| ბათუმი | 11 | 17 | 17 |
| სოხუმი | 8 | 14 | 14 |
| ფოთი | 11 | 17 | 16 |
| თელავი | 4 | 9 | 6 |
| ზუგდიდი | 11 | 17 | 16 |
| გორი | 3 | 8 | 6 |
| ახმეტა | 5 | 9 | 6 |
| ჭიათურა | 6 | 11 | 9 |
| გაგრა | 7 | 13 | 14 |
| სამტრედია | 10 | 16 | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.3545 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4201 |
| რუბლი | 0.0652 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| ბანკი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| მონიტორინგი | A8 | სხვადასხვა | B8 |




ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ღია წერილი საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრს

"საერთაშორისო გამჭვირვალობა" გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცებას და გამოთქვამს რწმენას, რომ განახლებული მთავრობა გააგრძელებს წინა პრემიერ-მინისტრის, ანტიკორუფციული კამპანიის უმნიშვნელოვანესი მონაწილის და მისი თანამებრძოლების მიერ დაწყებულ რეფორმებს. გვსურს, გაგიზიაროთ რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც, ვფიქრობთ, დაგეხმარებათ სამომავლო საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებულმა მნიშვნელოვანმა ანტიკორუფციულმა ზომებმა გაამყარა მანამდე დასუსტებული სოციალური სამართლიანობის გრძნობა და ახალ შესაძლებლობებს დაუდო საფუძველი. "საერთაშორისო გამჭვირვალობის" 2004 წლის "გლობალური კორუფციის ბარომეტრის" მიხედვით, ქართული საზოგადოების განწყობა კორუფციის აღმოფხვრის პერსპექტივისადმი რადიკალურად დადებითისკენ შეიცვალა. ამ მაჩვენებლით საქართველო გამოკითხულ სამოცდაორ ქვეყანას შორის პირველ ადგილზე მოხვდა. აშკარაა, რომ კორუფცია დღეს არამოდური გახდა და შევარდნაძის პერიოდის დაუსჯელობის სინდრომი, როდესაც ყველამ იცოდა, ვინ იყო კორუმპირებული, მაგრამ ამის წინააღმდეგ არაფერი კეთდებოდა, წარსულში დარჩა. ახალი ხელისუფლების პირველადმა ანტიკორუფციულმა ნაბიჯებმა, რომლებიც კონკრეტული კორუფციული ქმედებების წინააღმდეგ გადაიდგა, დადებითი შეფასება დაიმსახურა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტის წინაშე გაკეთებულ ანგარიშში სიამაყით აღნიშნა მიღწეული წარმატებები და ხაზი გაუსვა იმ ცალკეული გმირების დამსახურებას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის აღმშენებლობაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი უკვე მერამდენედ გვემუქრება

**"ჩეჩნეთში საომარი მოქმედებების დროს, ჩვენ ბევრი საერთაშორისო დაქირავებული გავანადგურეთ, რომელთაც პასპორტებში საქართველოს ტურისტული ვიზები ჰქონდათ,"** – განაცხადა მიუნხენში, უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა.

მისიტრის თქმით, რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ჩეჩნეთში ორასამდე "ბოევიკი" გაგზავნა.

მანვე კიდევ ერთხელ დაადასტურა რუსეთის ფედერაციის მზადყოფნა, პრევენტიული დარტყმები განახორციელოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც ტერორისტული ბაზები არსებობს.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის ეუთო-ს მისია არაეფექტური გამოდგა.

**"ჩვენ გვაქვს დამადასტურებელი ფაქტები იმისა, რომ მისიის მოქმედების პერიოდში, ტერორისტები საზღვარს კვეთდნენ."**

ამასთან, ივანოვმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი წინააღმდეგი არ არის, საზღვრის პატრულირება საქართველოსთან ერთად მოხდეს.

მეზობელი სახელმწიფოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლების მინისტრებთან გამართული უკანასკნელი ორი შეხვედრის დროს, მან ქართულ მხარეს სამხედროების მომზადება შესთავაზა, თუმცა პასუხი აქამდე არ ყოფილა.

კონფერენციაში მონაწილე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა ივანოვის განცხადებებზე საპასუხოდ აღნიშნა: **"საქართველო შეშფოთებულია იმ ბრალდებების გამო, რომ ტერორისტები კვლავ კვეთენ საზღვარს და შესაძლებელია, განხორციელდეს პრევენტიული დარტყმები."** იგი ასევე დაინტერესდა, **"თუ რატომ ინარჩუნებს რუსეთი საქართველოში ორ სამხედრო ბაზას".** ამის პასუხად კი, ივანოვმა აღნიშნა, რომ შეთანხმება, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზების სტატუსისა და ვადების შესახებ, ჯერჯერობით, მიღწეული არ არის.

რამდენიმე დღის წინ, თბილისში, საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე კონსულტაციები გაიმართა, თუმცა შედეგს ვერ მიაღწიეს.








იხილეთ B3 გვერდზე

# თებერვლის გამოცდა

გიორგი ასანიშვილი

თებერვლის პირველ დეკადაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმდენი რამ მოხდა, რომ განსჯისთვის მთელი წლის "სამყოფ მასალას" იძლევა. გორში მომხდარი ტერაქტი, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას უცნაური სიკვდილი, მინისტრთა ახალი კაბინეტის სასწრაფოდ ფორმირება, პარლამენტში პრეზიდენტ სააკაშვილის ხმაურიანი გამოსვლა, საქართველოში ამერიკის სამხედრო ატაშეს საცხოვრებელი სახლის ეზოში მომხდარი აფეთქება... დღეს ძნელია იმის თქმა, ყოველივე ეს ერთი ჯაჭვის რგოლებია თუ ცალკეული შემთხვევები, მაგრამ რასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ცხადია, რომ თებერვლიდან ქვეყანაში ახალი რეალობა შეიქმნა.

მომხდარს შორის, თავისი მნიშვნელობით, პირველ ადგილზე, ცხადია, ზურაბ ჟვანიას დაღუპვაა. პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებამ გამოიწვია ახალი მთავრობის ფორმირების აუცილებლობა, რაც უკვე თავისთავად გარკვეულ ცვლილებებს, პოლიტიკურ ძალთა შორის ახალი ბალანსის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ისეთი მყიფე სტაბილურობის მქონე სახელმწიფოებში კი, როგორიც საქართველოა, ეს პროცესი ხშირად მტკივნეულად მიმდინარეობს და გართულებების დიდ რისკს შეიცავს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფხაზური დე ფაქტო ზეიმი

ნინო ბომართელი

*"ყველაფერი კარგად იქნება," – აცხადებდა "24 საათთან" ინტერვიუში ინაუგურაციამდე სერგეი ბაგაფში და ასეც მოხდა, თუმცა მხოლოდ აფხაზეთისათვის და, რაც მთავარია, რუსეთისთვის, მაგრამ არა დანარჩენი საქართველოსთვის.*

აფხაზეთის კონსტიტუციაზე მარჯვენა ხელის დადებით, დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა "აფხაზეთის ხალხისა და აფხაზეთის კონსტიტუციისადმი ერთგულების" დე ფაქტო ფიცი დადო და მას ტაშით მიეგებნენ მიწვეული სტუმრები – ყველა ის, ვისაც საქართველოს ხელისუფლება დე ფაქტო-ს უწოდებს და ყველა ის, ვისაც ოფიციალური თბილისი საქართველოს დანაწევრების მცდელობაში სდებს ბრალს.

სიტყვით გამოდის ედუარდ კოკოითი და ხმამაღლა კითხულობენ მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის მისალოც წერილს, რომელიც დარწმუნებულია, რომ ბაგაფშის პრეზიდენტობის პერიოდში, **"აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობები პრაქტიკული გეგმების განხორციელებით გამყარდება".**

ინაუგურაციას ვერ დაესწრო თვითგამოცხადებული რესპუბლიკის უკვე ყოფილი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა. ოფიციალური მიზეზი ასეთია: იგი თავს შეუძლოდ გრძნობს. თუმცა, მოულოდნელი ამ მოვლენაში არც არაფერია, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი სულ "შეუძლოდ გრძნობს თავს" და ამ ხანგრძლივ პერიოდში, მის ნაცვლად, პრეზიდენტის ფუნქციას პრემიერის პოსტზე მყოფი რაულ ხაჯიმბა ასრულებდა. მომავალშიც ასე იქნება, ხაჯიმბა ვიცე-პრეზიდენტი იქნება და თანაც, პრეზიდენტზე მეტი უფლებებით – ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, ბიუჯეტის 40 პროცენტის განკარგვა და, რაც მთავარია, პრეზიდენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლების გამოყენება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# აფხაზური დე ფაქტო ზეიმი

პირველი გვერდიდან

ბაგაფში, რომელსაც რუსეთის ხელში მხოლოდ იმით დაკმაყოფილება მოუწევს, რომ პრეზიდენტი ჰქვია, საპროგრამო გამოსვლას აკეთებს. მისთვის, როგორც ახალი პრეზიდენტისთვის პრიორიტეტული სფეროებია: კორუფციასთან ბრძოლა, ინვესტიციების მოზიდვა, პენსიონერთა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ვეტერანთა მხარდაჭერა, შიდა და საგარეო უსაფრთხოების განმტკიცება.

საქართველო ახალი პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლაში ნახსენები არ ყოფილა, სამაგიეროდ, ბევრჯერ გაიჟღერა რუსეთმა და მასთან ინტეგრაციის "გარდაუვალმა მოვლენამ."

**"აფხაზეთი რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული კავშირისადმი უცვლელად მიილტვის და რუსეთთან ინტეგრაციის საკითხი ჩვენთვის ყოველთვის უცვლელი იქნება. ისტორიაში, აფხაზეთი და რუსეთი, მრავალი წლის მანძილზე არიან ერთად. სხვადასხვა პერიოდში, აფხაზი ერი სწორედ ამ სახელმწიფოში ხედავდა დაცვას,"** – ხაზგასმით აღნიშნა ბაგაფშმა, და იმის პირობაც კი დადო, რომ უახლოეს მომავალში **"აფხაზეთის კანონმდებლობა რუსეთის კანონმდებლობასთან მიმართებაში სინქრონიზაციას განიცდის",** რაც ხელს შეუწყობს რუსი ინვესტორების აფხაზეთში გააქტიურებას. ბაგაფშმა ასევე პირობა დადო, რომ "უპირობოს" გახდის აფხაზეთის დამოუკიდებლობას: **"ვფიცავ, დავიცვა აფხაზეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, და ჩვენი შვილები იცხოვრებენ თავისუფალ, საბაზრო ეკონომიკის მქონე დამოუკიდებელ სახელმწიფოში,"** – გაისმა მისი პირით.

ზეიმს სხვებიც არ ჩამორჩნენ.

**"თქვენ შეინარჩუნეთ აფხაზეთი, თქვენ დაუმტკიცეთ ყველას, რომ აფხაზეთის რესპუბლიკას შესანიშნავი მომავალი აქვს. აფხაზეთი გახდება დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო. ძალიან ბევრი უარყოფითად აღიქვამს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მეგობრობას და მე მინდა მათ ვუთხრა: ჩვენ გავაგრძელებთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის მეგობრობის იმ ტრადიციას, რასაც ჩვენმა წინაპრებმა ჩაუყარეს საფუძველი,"** – განაცხადა ინაუგურაციაზე სიტყვით გამოსვლისას, საქართველოს კიდევ ერთი მტკივნეული წერტილის - სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ.

მისი თქმით, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო სფეროებში განვითარდება.

**"ჩვენ ვითანამშრომლებთ არა მესამე სახელმწიფოების წინააღმდეგ, არამედ ჩვენი ერების მომავლისათვის, მიზნების მისაღწევად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის,"** - ხაზი გაუსვა კოკოითიმ და ბოლოს, ამაყად წამოიძახა: **"გაუმარჯოს აფხაზეთის რესპუბლიკას! გაუმარჯოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას! გაუმარჯოს ჩვენს ერთიანობას დიდ რუსეთთან!"**

აფხაზური ზეიმი ფართოდ გაშუქდა რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ. ახალმა მოვლენამ და ბაგაფშის სიტყვებმა ააჭრელა კრემლის მორჩილი პრესა. აქცენტი საქართველოს რეაქციაზეც გაკეთდა, თუმცა, ჩვეულებისამებრ, ირონიული ელფერით.

რუსულმა ელექტრონულმა გაზეთმა "გაზეტა რუ"-მ კი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაცია, საქართველოს პარლამენტის შვიდი წევრის მიერ საზოგადოებრივი მოძრაობა "ძლიერი ჯარი – ერთიანი საქართველოსთვის" ჩამოყალიბებას დაუკავშირა, ალბათ, იმისთვის, რომ სეპარატისტებისთვის მიეთითებინა, თითქოსდა თბილისი ამ კონფლიქტის მოგვარებას ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს.

**"აფხაზი პრეზიდენტის ინაუგურაციას საეჭვოდ დაემთხვა საზოგადოებრივი მოძრაობა "ძლიერი ჯარი – ერთიანი საქართველოსათვის" პრეზენტაცია, რომელიც ქართველ პარლამენტართა გარკვეულმა ჯგუფმა დააფუძნა,"** – წერს ინაუგურაციის მიმოხილვის ეპილოგად რუსული გაზეთი.

მიზანი აშკარაა – გაუფრთხილდით ერთადერთ კეთილის მსურველს!

# თებერვლის გამოცდა

პირველი გვერდიდან

რისკ-ფაქტორს კიდევ უფრო ზრდის ის პარტიული ინფრასტრუქტურა, რომელიც ქვეყანაში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ შეიქმნა. მმართველი ძალა, ფაქტობრივად, სამპოლუსიანია და თითოეული მათგანის შერყევამ, შესაძლოა, მთელი სისტემა დაანგრიოს. თავის დროზე, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად იყო ჩაფიქრებული "ნაციონალური მოძრაობის", "გაერთიანებული დემოკრატებისა" და ბურჯანაძის გუნდის ერთ ჭერქვეშ გაერთიანება, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ამას სასურველი ეფექტი არ მოჰყოლია - რევოლუციის შემომქმედი სამი ძალის გაერთიანება ეკლექტური იყო და ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

ყოველ შემთხვევაში, "დემოკრატები" და ნინო ბურჯანაძის გუნდი ერთი პარტიული ორგანიზაციის შიგნითაც კი გულმოდგინედ ცდილობენ, რომ სხვებში არ აითქვიფონ და საკუთარი სახე შეინარჩუნონ. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ "გაერთიანებიდან" სამი თვის შემდეგ ელენე თევდორაძე ისევ საუბრობს პარტიულ სამკუთხედზე. მეტიც: ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ გაისმა ხმები, რომ თუ პარიტეტი დაირღვეოდა და ახალ პრემიერ-მინისტრად "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენელი არ დაინიშნებოდა, მაშინ ჟვანიას თანაგუნდელები უმრავლესობას უგანებდნენ.

მართალია, ხელისუფლების წარმომადენლებმა ამ ხმების რეალობა უარყვეს და ყველაფერი მასმედიის ფანტაზიად მონათლეს, მაგრამ თავისთავად უკვე მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ მრავალრიცხოვან კანდიდატთაგან არჩევანი ბოლოს მაინც გარდაცვლილი პრემიერის თანაგუნდელზე შეჩერდა, ანუ "სამკუთხედის" შიგნით ძალთა ბალანსი შენარჩუნდა. ამით, ხელისუფლებამ პარტიული "კონფედერაციის" დაშლა თავიდან აიცილა (შესაძლოა, გარკვეული დროით გადაავადა).

მას შემდეგ, რაც რევოლუციურ სამეულს ერთი წევრი გამოაკლდა, ძნელი სათქმელია, საქართველოს ხელისუფლებაში კიდევ რამდენ ხანს შენარჩუნდება ე.წ. "პარიტეტული" მოდელი. რევოლუციის შემდგომ გარდამავალ პერიოდში, ხელისუფლების ფრაგმენტაციის თავიდან ასაცილებლად, მისი არსებობა, ალბათ, გამართლებულიც იყო, მაგრამ რაც დრო გავა, სამეულის ერთიანობა "ფიქტიურ ქორწინებას" დაემსგავსება, როდესაც "მეუღლეები", საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად, თითქოს, შეხმატკბილებულად ცხოვრობენ, მაგრამ სხვადასხვა ოთახებში სძინავთ.

ამავე დროს, მოსაძებნია ფორმა, თუ როგორ უნდა მოხდეს არჩევანის გაკეთება, - ან ნამდვილ, ერთიან ოჯახად ჩამოყალიბება ან ღირსეული "განქორწინება". მით უმეტეს, დრო ამ არჩევანს აუცილებლად მოიტანს. მთავარია, საკითხი ისე მოგვარდეს, რომ გორდიას კვანძის გადაჭრამ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური რყევები არ გამოიწვიოს.

საერთო საბნის გაყოფისთვის სამზადისი კი უკვე კარგახნის დაწყებულია. ამ პოლიტიკურ თამაშებში დიდი როლის თამაში შეუძლიათ მაჟორიტად დეპუტატებს, რომელთაც ძალაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ხუთი საპარლამენტო ფრაქციიდან სამი მათ ბაზაზე არსებობს.

მაჟორიტარების კეთილგანწყობის მოპოვებას გულმოდგინედ ცდილობს ნინო ბურჯანაძე, რომლის ინიციატივითაც მაჟორიტართა ბიუროები რეალურად ამოქმედდა და მათი აპარატის ხარჯები გაორმაგდა. ამ სეგმენტს (მაჟორიტარებს), როგორც ჩანს, პრეზიდენტმაც დაადგა თვალი. ყოველ შემთხვევაში, 10 თებერვალს პარლამენტში გამოსვლის დროს, მიხეილ სააკაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატების კორპუსს არაერთი საქებარი სიტყვა უძღვნა. როდესაც თავისი გაზრდილი პოლიტიკური წონა შეიგრძნეს, თავის მხრივ, მაჟორიტარებსაც მოემატათ მადა: მათ პრეზიდენტს უფლებების გაზრდა სთხოვეს, კერძოდ, ისურვეს, რომ ადგილებზე საკადრო საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის ნება დაერთოთ.

სხვათა შორის, მაჟორიტარები ამ მოთხოვნას ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში აყენებდნენ, მაგრამ მაშინ მიზანს ვერ მიაღწიეს, ახლა კი პრეზიდენტის სიტყვიერი თანხმობა მიიღეს, - ცხადია, რომ რაიონებში ძლიერი მოკავშირის ყოლა არც სააკაშვილის პარტიას "აწყენს".

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც პრეზიდენტის საანგარიშო გამოსვლაში იყო თვალშისაცემი, გახლდათ საერთაშორისო თანამეგობრობის ღია, საჯარო კრიტიკა. ეს მოხდა "რუსეთისთვის კიდევ ერთხელ ხელის გაწვდის" სურვილის დემონსტრირების პარალელურად. გვინდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითი დამთხვევაა და არა ქვეყნის სტრატეგიული კურსის შეცვლისკენ გადადგმული ნაბიჯი.

დღეს ასევე მხოლოდ სურვილის დონეზე რჩება ისიც, რომ თებერვლის პირველ დეკადაში მომხდარ იდუმალ ამბებს ფარდა აეხდება და ბოლოს, ისინი ქვეყნისთვის პოზიტიური კუთხით წარმოჩინდება: გამოვლინდებიან და დაისჯებიან გორის ტერაქტის ორგანიზატორები და შემსრულებლები; საზოგადოება დარწმუნდება, რომ პრემიერ-მინისტრის სიკვდილი მართლაც უბედური შემთხვევა იყო და არა "დაგეგმილი" გაგუდვა; ხელისუფლება მოახერხებს თავისი შიდაპარტიული პრობლემების მოგვარებას და ამით ქვეყანას დამატებით სირთულეებს აღარ შეუქმნის...

ამ "პირობების" შესრულებით მმართველი გუნდი მოსახლეობის ნდობის კარტ-ბლანშს შეინარჩუნებს და უფლება ექნება, თქვას, რომ თებერვლის გამოცდას გაუძლო.

**პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო იუწყება, რომ**
**პოლონურ - ამერიკული თავისუფლების ფონდი (დამფინანსებელი)**
**პოლონურ - ამერიკული ფულბრაიტის კომისია (ადმინისტრატორი)**
აცხადებენ ღია კონკურსს
**ლეინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის**
**2005-2006 აკადემიურ წელს მისაღებად**

ლეინ კირკლანდის სახელობის სტიპენდიის პროგრამის მიზანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ეკონომიური გარდაქმნისა და სისტემის შეცვლის პოლონური გამოცდილების გავრცელება და გაზიარება. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 2 სემესტრიან სწავლებას პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში და აგრეთვე პროფესიონალურ სტაჟირებას (2-4 კვირა) სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში.

მაძიებელი: 2005-2006 აკადემიურ წელს კირკლანდის პროგრამა გათვალისწინებულია უკრაინის, ბელორუსის, რუსეთის (კალინინგრადის ოლქი), ლიტვის, სლოვაკეთის, მოლდოვასა და საქართველოს იმ მოქალაქეებისათვის, რომლებიც არიან უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკები; საზოგადოებრივი სფეროსა და თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები, ექსპერტები და მუშაკები; არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები; ჟურნალისტები; მეწარმეები; მცირე და საშუალო წარმოებების ხელმძღვანელები.

დარგი: ეკონომიკა, მართვა, საზოგადოებრივი ადმინისტრირება, ბიზნეს ადმინისტრირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონმდებლობა, საზოგადოებრივი მეცნიერებები, პოლიტიკური მეცნიერებები.

სასურველი კრიტერიუმები: 35 წლამდე (40 წლამდე - საფუძვლიანი გამონაკლისი) ასაკის, თავიანთ სფეროში აქტიურად მომუშავე მაძიებლები.

ფორმალური კრიტერიუმები: მოქალაქეობა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ზემოდ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ქვეყანაში; სრული უმაღლესი განათლება (მეცნიერ მუშაკებისათვის სასურველია კანდიდატობის სამეცნიერო ხარისხი); პოლონური ენის ფლობა (რაც აძლევს მაძიებელს სემინარებსა და ლექციებში მონაწილეობის საშუალებას), ან ინგლისური ენის ფლობა (კონკრეტული კურსის არჩევის შემთხვევაში); მინიმუმ 2 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

მაძიებლის განაცხადი: ანკეტის ფორმა, პროგრამის აღწერა და სხვა ინფორმაცია თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ ფულბრაიტის კომისიაში ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან ტელეფონით, აგრეთვე შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის საშუალებით შემდეგ ვებ-ვერდზე: www.fulbright.edu.pl an www.kirklandprogram.engo.pl. განცხადებისა და სარეკომენდაციო წერილების დედნები გთხოვთ გაგზავნოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2005 წლის 15 მარტამდე. მითითებული ვადების შემდეგ გამოგზავნილი ანკეტები აღარ განიხილება.

POLSKO-AMERYKA SKA KOMISJA FULBRIGHTA
Polish - U.S. Fulbright Commission
ul. Nowy wiat 4
00-497 Warszawa, Polska
ტელ. (48-22) 628-7950; 625-6932; 625-6978 ფაქსი: (48-22) 628-7943
ე:მაილ: fulbright@fulbright.edu.pl ; u.moczydlowska@fulbright.edu.pl
http://www.fulbright.edu.pl




# შენიშვნები პრეზიდენტს

დღეს საკონსტიტუციო ცვლილებათა შემსწავლელი კომისია პრეზიდენტ სააკაშვილსთვის იმ შენიშვნების გაგზავნას გეგმავს, რომელიც მათ პროექტთან დაკავშირებით გაუჩნდათ. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტი საკონსტიტუციო ცვლილებების იდეით ორიოდე თვის წინ გამოვიდა. ცვლილებები უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ფუნქციებს, მათ დაკომპლექტებას, მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტასა და პარლამენტართა რიცხოვნობის შემცირებას ეხებოდა. ამავე დროს, პრეზიდენტმა საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების აუცილებლობაზე პარლამენტში, საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზეც ისაუბრა.

მართალია, პარლამენტში დეპუტატთა აბსოლუტურ უმრავლესობას ამ ცვლილებების პროექტები თვალითაც არ უნახავს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც პროექტებს იცნობენ და შენიშვნების გამოთქმის უფლებაც აქვთ. ეს, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელობაა, რომლებიც იმ სამთავრობო კომისიის წევრები არიან, პრეზიდენტის წინადადებებს საკანონმდელო ინიციატივების სახე რომ უნდა მისცეს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, აუცილებელია კომისიაში შესული შენიშვნების, წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინება.

რაც შეეხება თავად შენიშვნებს: ლევან ბეჟაშვილი თითოეული ინიციატივის თაობაზე კომისიის შეჯერებულ აზრს ახმოვანებს. პირველ რიგში, მოსამართლეებს უფლებამოსილება ვადამდე ადრე არ უნდა შეუწყდეთ. ამასთან, კომისიის წევრების აზრით, უნდა მოხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა ცხრიდან თორმეტამდე ან თხუთმეტამდე, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს ემატება ახალი ფუნქცია – კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში შესაძლებელი იქნება საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება.

კომისიის წევრთა აზრით, ძალაში უნდა დარჩეს დღეს მოქმედი წესი და უზენაესმა სასამართლომ არ უნდა განიხილოს პირველი ინსტანციის საქმეები. თანაც, მას უნდა მიენიჭოს საკასაციო სასამართლოს ფუნქცია.

კომისიის წევრებს შენიშვნები აქვთ დეპუტატთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, ამ ცვლილებებით, დეპუტატთა რიცხვი განსაზღვრულია 150-ით. თუმცა, კომისიის წევრთა აზრით, უმჯობესი იქნება, თუ კონსტიტუციითვე განისაზღვრება დეპუტატთა პროპორცია: მათი აზრით, პროპორციული საარჩევნო სისტემით 100 დეპუტატი უნდა აირჩეს, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით - 50 დეპუტატი.

თუმცა, ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტს არანაირი შენიშვნები არ ექნება. მით უფრო, რომ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა თავად განსაზღვრა პროპორციები (საგულისხმოა, რომ პრეზიდენტი აქამდე მხოლოდ შემცირების აუცილებლობაზე საუბრობდა და არაფერს ამბობდა, თუ რამდენი დეპუტატი უნდა არჩეულიყო პროპორციული წესით და რამდენი - მაჟორიტარულით).

როგორც პარლამენტში ვარაუდობენ, საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტის განხილვა აუცილებლად დაიწყება საგაზაფხულო სესიის დროს, თუმცა კონკრეტული ვადების დასახელებას ყველა ერიდება. მით უფრო, რომ კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდეგ იგი საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს. ხოლო მისი განხილვა პარლამენტში, გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ უნდა დაიწყოს.

*24 საათი*

### დღეს თბილისში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჩამოდის

სამშვიდობო ოპერაციების საკითხში გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჟან-მარი გიენო დღეს საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. იგი აფხაზეთში გაერო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს თბილისში - ოფიციალურ წარმომადგენლებთან და სოხუმში – დე ფაქტო ხელისუფლებასთან განიხილავს.

ვიზიტის ფარგლებში, რომელიც 17 თებერვლამდე გასტანს, გიენო შეხვედრებს გამართავს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ადგილობრივ სამოქალაქო სექტორთან, აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდალთან და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებლებთან.

ამასთან, აღნიშნული ვიზიტის საფუძველზე ჟან-მარი გიენო მოემზადება გაზაფხულზე, ჟენევაში დაგეგმილ გაერო-ს გენერალური სამდივნოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრისათვის, რომელზეც აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხი იქნება განხილული.

გაერო-ს გენერალური მდივნის მოადგილე ჟან მარი გიენო საქართველოში მესამედ ჩამოდის. პირველად იგი საქართველოში - 2002 წლის ნოემბერში, მეორედ კი 2003 წლის ნოემბერში იმყოფებოდა.

## უცხოეთი

### რუსეთს დასავლეთის დემოკრატიული მოდელი არ მოსწონს

მიუნხენში კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა აშშ-სთან ურთიერთობებზე ისაუბრა, კერძოდ კი, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის განცხადება შეაფასა, რომელიც რუსეთში დემოკრატიული პრინციპების დასაცავად სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას ეხებოდა. "დემოკრატია კარტოფილი არაა, ერთი ნიადაგიდან მეორეზე რომ გადარგო," – განაცხადა სერგეი ივანოვმა. მისი თქმით, რუსეთს დემოკრატიის განვითარებაში დასავლეთის დახმარება არ სჭირდება, მით უფრო დასავლური დემოკრატიის მოდელის პირდაპირ გადაღება. "ჩვენ მზად ვართ განვაგრძოთ დემოკრატიული პროცესების განვითარება და საერთაშორისო ინსტიტუტებთან ინტეგრაცია, მაგრამ საკუთარი თავის ბატონ-პატრონად დავრჩებით," - აღნიშნა მან. ივანოვის განცხადებით, აშშ-რუსეთის ურთიერთობების განვითარება ნორმალურად მიმდინარეობს და მხოლოდ გულახდილი დიალოგის ფორმა აქვს. "ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა თემას ამერიკულ მხარესთან, თანაც არა მარტო ვუსმენთ, არამედ კითხვებსაც ვუსვამთ. სავარაუდოდ, ასეთივე პირობებში ჩაივლის ბრატისლავაში დაგეგმილი რუსეთ-აშშ-ს სამიტიც," - თქვა ივანოვმა. რუსული მასმედიის საშუალებებზე საუბრისას მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ გაზეთების უმრავლესობა ხელისუფლებისადმი კრიტიკულ პოზიციას ინარჩუნებს, ხოლო რუსეთის ცენტრალურ ტელეკომპანიებზე საუბარს იგი, რატომღაც, მოერიდა.

### რუსეთში დემონსტრაციები გრძელდება

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დემონსტრაციები შეღავათების მონეტიზაციასთან დაკავშირებით ქვეყნის 284 დასახლებულ პუნქტში მოეწყო და მასში 245 ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მხოლოდ მოსკოვში გამართულ აქციაზე 3 ათასი დემონსტრანტი გამოვიდა. მათი მთავარი მოთხოვნა შეღავათების დაბრუნება იყო, თუმცა იქვე გამოჩნდა პოლიტიკური შინაარსის ლოზუნგებიც. სააგენტო "ინტერფაქს"-ის ცნობით, სამართალდამცავებმა მოსკოვში მიმდინარე აქციის დროს ერთ პენსიონერსა და რადიკალურად განწყობილ ახალგაზრდა დემონსტრანტს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. რუსეთის დედაქალაქის ქუჩებში ამ გამოსვლის პარალელურად "ედინაია როსია"-ს მხარდამჭერთა დემონსტრაციაც მიმდინარეობდა, რომელიც სრულ თანადგომას პუტინს უცხადებდა. აქციის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ მათ 40 ათასზე მეტი მხარდამჭერის შეკრება შეძლეს, თუმცა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, აქციაში დაახლოებით 30 ათასი ადამიანი იღებდა მონაწილეობას. დემონსტრაციის ზოგიერთმა მონაწილემ "ბი ბი სი"-ს კორესპონდენტს აცნობა, რომ ისინი მოსკოვის გარეუბნებიდან ჩამოიყვანეს და აქციაში მონაწილეობისთვის კინოს ბილეთების ჩუქებას დაპირდნენ. "მიმდინარე დემონსტრაციები პუტინის რეიტინგის ვარდნით გამოწვეული პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეშფოთების მაჩვენებელია," - განაცხადა რუსეთის სტრატეგიული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა ანდრეი პიონტკოვსკიმ. პრეზიდენტის კაბინეტისთვის უნდობლობის გამოსაცხადებლად ჩატარებულ კენჭისყრაში 450 დეპუტატიდან მონაწილეობა მხოლოდ 122-მა მიიღო. დომინანტმა პარტიამ "ედინაია როსია"-მ, რომლის ხვედრითი წილი პარლამენტში 300 მანდატია, ხმის მიცემაში მონაწილეობა საერთოდ არ მიიღო.

**ბი ბი სი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დინარა მალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქერია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაჭვაძე.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### დავით ულუს სასამართლო პროცესი

| | |
|---|---|
| განსასჯელი - | დავით ულუ,ლაშა-გიორგის ვაჟი,აღმოსავლეთ საქართველოს მეფე მე-13 საუკუნეში(მონღოლთა ბატონობის პერიოდი) |
| მბრალდებელი - | ჯაბა სამუშია,ისტორიკოსი |
| ადვოკატი - | ბონდო კუპატაძე,ისტორიკოსი |
| ბრალდება - | ბრალი ედება საქართველოს სამეფოს დაშლა-დაყოფაში |
| | ბრალმდებლის მოთხოვნა - ქართულმა ისტორიოგრაფიამ დავით ულუ აღიაროს ქვეყნის დამშლელად |
| ვერდიქტი | ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით, დავით ულუ გამოცხადდა უდანაშაულოდ (9 ხმა 3-ის წინააღმდეგ). |




12 ნაფიცი მსმენელი :

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიშიკო მირაშვილი | (უდანაშაულოა) |
| 2. | დავით კანდელაკი | (დამნაშავეა) |
| 3. | თამუნა ლევდარიანი | (უდანაშაულოა) |
| 4. | ნინო ჩიტაიშვილი | (უდანაშაულოა) |
| 5. | ნინო კალანდაძე | (უდანაშაულოა) |
| 6. | რუსუდან ჯაყელი | (უდანაშაულოა) |
| 7. | ალეკო ძამაშვილი | (დამნაშავეა) |
| 8. | დოლორეს დავითულიანი | (უდანაშაულოა) |
| 9. | მაია ირემაძე | (უდანაშაულოა) |
| 10. | ანონიმი | (უდანაშაულოა) |
| 11. | ხუტა ირემაშვილი | (დამნაშავეა) |
| 12. | ფიქრია ლომიძე | (უდანაშაულოა) |

რეგიონი

## დიდთოვლობამ გურულებს პრობლემები მოუმატა

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

რამდენიმე დღეა, გურია თოვლის საბურველშია გახვეული. უხვად მოსულმა ნალექმა საგრძნობი ზიანიც მოიტანა. მძიმე, სველმა თოვლმა ერთიანად გამოიყვანა მწყობრიდან ელექტროგადამცემი ხაზები, სხვა კომუნიკაციები, ერთობ დაზარალდა მწვანე საფარი, ჩაიკეტა რაიონულ ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები. მიმოსვლასთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა ქ. ოზურგეთშიც, მაგრამ დროულად იქნა გაწმენდილი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებთან მისასვლელები. რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქს არ მიეწოდებოდა ელექტროენერგია; თუმცა ადგილობრივი ქსელების მუშაკთა ენერგიული მოქმედების შედეგად ქალაქის ბევრ უბანში 2-3 დღეში მოხერხდა წაქცეული ბოძებისა და გაწყვეტილი ელექტროსადენების აღდგენა. ამჟამად ხორციელდება ღონისძიებები სოფლების ელექტრომომარაგების მოსაწესრიგებლად. გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამუშაო ადგილებზე შეხვდა იმ სამსახურების თანამშრომლებს, რომლებსაც სტიქიით შექმნილი პრობლემების მოგვარება ევალებათ, რათა ერთობლივად დაესახათ სამოქმედო პროგრამა. გუბერნატორის თეთრი "ნივა" გუშინ და გუშინწინ მხარის არაერთ სოფელში გამოჩნდა.

ადგილობრივ ენერგეტიკოსებთან შეხვედრისას ჟანი კალანდაძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მოწოდების დრულად აღდგენის აუცილებლობას. ამჟამად ოზურგეთს ელექტროენერგია გრაფიკით 8-დან 24 საათამდე მიეწოდება, ბუნებრივია, იქ სადაც ელექტროგაყვანილობების აღდგენა მოხერხდა. ადგილობრივი ქსელების უფროსის გია ნაკაიძის განცხადებით, ამჟამად პარალელურად მიმდინარეობს ელექტროენერგიის მომხმარებელთა გამრიცხველიანების სამუშაოები. კერძოდ, სოფლებში მონტაჟდება კომუნალური მრიცხველები, რაც უზრუნველყოფს აღრიცხვიანობისა და გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად დენის მოწოდების გაუმჯობესებასაც. რისი დადებითი პრეცედენტიც უკვე არსებობს დაბა ლაითურში, სადაც მრიცხველების დამონტაჟების შემდეგ მომხარებული ენერგიის ასპროცენტიანი გადახდა იქნა მიღწეული. ნაკაიძის ცნობით, სტიქიისაგან ელექტრომეურნეობისათვის მიყენებულ ზარალს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის გურია-იმერეთის განყოფილების საგანგებო კომისია დაადგენს და მოხდება ზარალის კომპენსირება.

გუბერნატორთან შეხვედრაზე ოზურგეთის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა (გამგებელი თამაზ სალუქვაძე კუთვნილ შვებულებაში ყოფნას აგრძელებს) ამირან გირკელიძემ განაცხადა: ოზურგეთის რაიონის სოფლებისა და დაბების ხელმძღვანელები საკუთარი ძალებით ცდილობენ სატრანსპორტო და ელქტროკომუნიკაციების აღდგენას, რისთვისაც მათ რაიონის ხელმძღვანელობა სუბსიდიებს გამოუყოფს.

თვალსაზრისი

## ღია წერილი საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრს

პირველი გვერდიდან

მიუხედავად ამ მიღწევებისა, დღემდე პრობლემად რჩება **ინსტიტუციონალური რეფორმის ჩამოყალიბებული სისტემის არარსებობა**. მთავრობის ანტიკორუფციული მიდგომა უფრო მეტად ორიენტირებულია კორუფციული შემთხვევების აღკვეთაზე, ვიდრე კორუფციის პრევენციაზე. ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა აქტიურად მიმდინარეობს მმართველობის ქვედა ფენებში, მაგრამ ნაკლებად ხდება მისი გამომწვევი მიზეზების სისტემური ანალიზი. მართალია, კორუფციულ ფაქტებზე სასამართლოების მონაწილეობით რეაგირებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ის მომავალშიც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ დროა, მთავრობამ მიზნად დაისახოს კორუფციისგან თავისუფალი, მყარი ინსტიტუტების შექმნა.

**პრობლემათა შორის უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ახალი მთავრობის მიერ წამოწყებული ანტიკორუფციული რეფორმები მეტწილად ცალკე მდგომ სფეროებს შეეხო**. დღემდე არ არსებობს ერთიანი სახელმწიფო ანტიკორუფციული სტრატეგია ან საჯარო სამსახურის რეფორმის გაწერილი გეგმა. ერთიანი სტრატეგიის არარსებობის პირობებში ზოგიერთი სამინისტრო თავად გეგმავს და ახორციელებს სტრუქტურულ ცვლილებებს, დანარჩენი სამინისტროები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების დიდი ნაწილი კი მნიშვნელოვანი ინოვაციებით არ გამოირჩევა. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ძირითადი მიმართულებებიც.

იგივე "კორუფციის გლობალური ბარომეტრის" მიხედვით, საქართველოში გამოკითხულთა 99 პროცენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების შემცირებას. მიუხედავად ამისა, ჯერ არ დაწყებულა სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ინტენსიური საჯარო განხილვები. საქართველოს პარლამენტმა ბოლო პერიოდში ბევრი კანონი და საკანონმდებლო ცვლილება მიიღო, მაგრამ ადგილი არ ჰქონია საქართველოს წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემების გადაჭრის გზების საზოგადოების ფართო მონაწილეობით განსაზღვრას.

ინსტიტუციონალური რეფორმის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთ წინაპირობას რეფორმის პოლიტიკის სწორი შემუშავება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობას არა აქვს ჩამოყალიბებული **რეფორმის პოლიტიკის განსაზღვრის ეფექტური მეთოდი**. რეფორმის გამჭვირვალობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაზე მეტად ყურადღება მისი განმახორციელებლის შერჩევას ექცევა. ჩვეულებრივ, რეფორმის პოლიტიკის შემუშავება სხვადასხვა მხარეების მონაწილეობით ძირითადი პრინციპების შეთანხმებით იწყება, დეტალების განხილვით გრძელდება და მიღებული გადაწყვეტილებების კანონპროექტში ასახვით სრულდება. საქართველოში პრობლემების მოგვარება ბოლო ეტაპიდან, კანონპროექტის მომზადებით იწყება და შესაბამისად, დაინტერესებულ მხარეებს შორის აზრების გაცვლა კანონპროექტების სხვადასხვა ვარიანტების სახით ხდება. კანონპროექტების დაპირისპირებით საკითხების გადაწყვეტა სრულყოფილ შედეგს არ იძლევა. უკეთესია, თავდაპირველად მუშაობის პროცესსა და ვადებზე მოხდეს შეთანხმება, ძირითადი კონცეფცია მომზადდეს და ეს კონცეფცია შემდეგ საფუძვლად დაედოს კანონპროექტის შემუშავებას. როცა გარკვეულ პროცესში თავიდანვე არ არის უზრუნველყოფილი სხვადასხვა მხარეების მონაწილეობა, ეს პროცესი, როგორც წესი, ბოლომდე დახურული რჩება.

მთავრობამ ღიად უნდა განაცხადოს, რისი მიღწევა სურს მას სხვადასხვა სამინისტროებსა თუ სფეროებში. ეს ხელს შეუწყობს მთავრობასა და პარლამენტს შორის დიალოგის განმტკიცებასაც. თუ მთავრობა მეტ ყურადღებას მიაქცევს გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების გამჭვირვალობის გაზრდას, მას გაუადვილდება **საკუთარი საქმიანობის სისტემატური შეფასებაც,** რაც ასევე მნიშვნელოვანია რეფორმების წარმატებული განხორციელებისათვის. ეს შეფასება უნდა ასახავდეს როგორც პროგრესს – მიღწეულ წარმატებებს, ისე რეგრესს – გამოვლენილ ხარვეზებს და იყოს ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი.

ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა, შექმნას ინსტიტუტები, რომლებიც მოქალაქეებს მთავრობისაგან დაიცავს. საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს. მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს **გრძელვადიანი ხედვა** იმისა, თუ როგორი უნდა იყოს საქართველო რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ - როგორი სახელმწიფოს შექმნა გვსურს. ამ მიზნის მისაღწევად არაერთი მტკივნეული და პოლიტიკურად არამომგებიანი გადაწყვეტილების მიღება იქნება საჭირო, მაგრამ საბოლოო მიზნის არსებობა გადაწყვეტილებების სირთულეს რამდენადმე შეამცირებს. თუ გვეცოდინება, რისი მიღწევა გვსურს, უფრო ადვილი იქნება მისკენ გზის გაკვლევა.

*საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო*




NEWS



### "თიბისი ბანკი" ახალ ოფისში გადადის

პოპულარული ბანკის პოპულარული ნაბიჯი - ასე აფასებენ სპეციალისტები "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობის მორიგ ინიციატივას, რესტავრაცია გაუკეთოს თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობას.

თბილისში ბიზნეს-კომპანიების დაფინანსებით ძველი შენობების რესტავრაციის ტენდენციამ ინტენსიური სახე მიიღო. ამის ერთ-ერთი მაგალითია თბილისში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის შენობის მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ისტორიული შენობისთვის ძველი იერსახის დაბრუნების იდეა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკს" ეკუთვნის და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება და დაფინანსებაც სწორედ მან ითავა.

შენობის სარესტავრაციო სამუშაოები ორი წლის წინათ დაიწყო, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, დასრულდა შენობის ფასადის რესტავრაცია, მოიხსნა ხარაჩოები, დამონტაჟდა შენობის რამის განათება და საუკონოვან არქიტექტურულ ძეგლს ძველი იერსახე დაუბრუნდა.

სულ მალე დასრულდება ნაგებობის ინტერიერის სარემონტო სამუშაოები და რესტავრირებულ შენობაში "თიბისი ბანკის" ახალი სათაო ოფისი განთავსდება. ბანკის ხელმძღვანელობა ახალი ოფისის გახსნის საზეიმო ცერემონიალის გამართვას თებერვლის ბოლოს გეგმავს.

შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივი რეკონსტრუქციის პროექტი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით მომზადდა. პროექტის საინჟინრო ნაწილი კი "ქალქპროექტმა" დაამუშავა, ხოლო შენობის გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა.

### სანდო და კომფორტული ბანკი - იმიჯი, რომლის შენარჩუნებაც უფრო რთულია

"თიბისი ბანკი" 12 წლის წინათ დაფუძნდა. მისი საწესდებო კაპიტალი 500 აშშ დოლარი იყო. მან მალე შეძლო მნიშვნელოვანი პოზიციაც დაეკავებინა და დღეისათვის საქართველოში ყველაზე მსხვილ ბანკს წარმოადგენს, რომლის აქტივებიც 400 მილიონ ლარს აღემატება. დღეს სპეციალისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებზე ორიენტირება ბანკის წარმატებული საქმიანობის უპირველესი ფაქტორები აღმოჩნდა. ბანკის მიერ არჩეული პოლიტიკის წარმატებაზე მეტყველებს კლიენტურის სწრაფი ზრდაც. ბანკის მომსახურეობით საზოგადოების ცნობილი სახეებიც სარგებლობენ.

**"თიბისი ბანკის" კლიენტი 1995 წლიდან ვარ. რამ განაპირობა ჩემი არჩევანი, ვერ გეტყვით, მაგრამ უკვე 10 წელი გავიდა და ისევ ამ ბანკთან ვთანამშრომლობ. ეს ძალიან დიდი დროა. "თიბისი ბანკი" კომფორტული ბანკია, სადაც ფინანსური ინსტიტუტის გარემოა შექმნილი. თავდაპირველად ეს ნიუანსები, ნამდვილად არ გამითვალისწინებია, თუმცა წლების განმავლობაში ამ ბანკის შესაძლებლობებში დავრწმუნდი და მისი ერთგული დავრჩი. ბანკმა პოპულარობა დიდი შრომის შედეგად მოიპოვა, რომელიც ძირითადად მომხმარებლის ინეტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა. ამიტომაც სხვა ბანკისკენ აღარც გამიხედავს, "თიბისი ბანკის" თითქმის ყველა მომსახურეობით ვსარგებლობ, მისი დიდი გულშემატკივარი ვარ. ჩემი მეგობრების 90 პროცენტი ამ ბანკის სერვისებით სარგებლობს",** - აღნიშნავს "თიბისი TV"-ის გენერალური დირექტორი **ლევან ყუბანეიშვილი.**

ყველაზე პოპულარული, სანდო და კომფორტული ბანკის იმიჯის დამკვიდრებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, თუმცა მისი შენარჩუნება უფრო რთული აღმოჩნდა, რაზეც "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა ყოველდღიურად ზრუნავს.

"თიბისი ბანკის" პოპულარობა ყოველდღიურად იზრდებოდა და მან სერიოზული აღიარება მოიპოვა საერთაშორისო საფინანსო წრეებშიც. 2000 წლის სექტემბერში სარეიტინგო კომპანიამ Thomson Financial BankWatch "თიბისი ბანკს' საერთაშორისო რეიტინგი მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ "თიბისი ბანკი" პირველი ქართული კომპანიაა, რომელმაც რეიტინგი მიიღო. 2002 წლის ზაფხულში ბანკი დაჯილდოვდა, როგორც 2001 წლის საუკეთესო ქართული კომპანია. 2002 წლის ბოლოს ბანკს ევროგაერთიანების ფორუმის (EvroMarket Forum-2002) პრემია მიენიჭა.

2002-2004 წლებში "Financial Times Group"-ისა და ჟურნალის "The Bnker" ყოველწლიურ საბანკო რეიტინგებში "თიბისი ბანკი" 3-ჯერ ზედიზედ დასახელდა მსოფლიოს წლის საუკეთესო ბანკებს შორის. 2004 წელს ამერიკულმა ჟურნალმა "Global Finance" მსოფლიოს საუკეთესო ბანკები გამოავლინა სავალუტო ოპერაციების წარმოებაში - "თიბისი ბანკი" აქაც საუკეთესო ბანკად დასახელდა.

"თიბისი ბანკი" ტრადიციებს არც ახლა ღალატობს და, ფინანსური მაჩვენებლების ზრდის პარალელურად, მომსახურების ხარისხისხის ამაღლებაზეც ზრუნავს. ბანკის ხელმძღვანელობა, ახალი ოფისის გახსნასთან ერთად, მომხმარებელს გაუმჯობესებულ კომფორტსა და სერვისებს ჰპირდება.

### "თიბისი ბანკის" ახალი სერვისი - ანგარიშზე თანხის შეტანა ბანკომატის მეშვეობით

ქვეყანაში საბანკო ბიზნესის მოცულობის დინამიურმა ზრდამ, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა, "თიბისი ბანკისთვის" თვალსაჩინო გახადა ბანკის ფილიალების განტვირთვისა და მომსახურეობის საერთო დონის გაუმჯობესების აუცილებლობა.

**"ბანკის პლასტიკური ბარათების მფლობელთა შორის ახალი სერვისების დანერგვასთან დაკავშირებით ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელიც მათი ინტერესების გამოვლენას ითვალისწინებდა. გამოკითხვამ ცხადყო, თუ როგორია კლიენტთა დაინტერესება კონვენტირებადი დეპოზიტის გამოყენებისადმი"** - აღნიშნავს "თიბისი ბანკის" მარკეტინგის დირექტორი **ვაჟა ბერიაშვილი**.

კლიენტთა სურვილის გათვალისწინებით "თიბისი ბანკმა" მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც დამატებითი მომსახურების დანერგვას ითვალისწინებს. ეს არის ბანკომატების მეშვეობით ანგარიშის შევსება ნაღდი ფულადი თანხით და გადასახადების გადახდის განხორციელება. "თიბისი ბანკმა" დაისახა ამოცანა, გადაიტანოს ყველა მიმდინარე ფულადი თანხების (50-დან 5 ათას ამერიკულ დოლარამდე) 10 პროცენტი საბანკო თვითმომსახურეობის ქსელის მოწყობისთვის კონვენტირებადი დეპოზიტის ფუნქციით.

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობის აზრით, ახალი მომსახურების დანერგვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებისაკენ, რაც კლიენტს აძლევს საშუალებას სრულყოფილად განახორციელოს საბანკო სერვისი 24 საათის განმავლობაში.

**"ეს მომსახურება კლიენტს საშუალებას აძლევს, შეიტანოს თანხა კრედიტის დასაფარად და აწარმოოს აუცილებელი გადარიცხვები ფილიალებში მიუსვლელად, ყოველგვარი რიგების გარეშე. ამ ეტაპზე ამ ოპერაციების განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამდენადაც ბანკომატთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ბანკის ფილიალების",** - განმარტავს **ვაჟა ბერიაშვილი.**

ბანკომატის საშუალებით კლიენტს შეუძლია, შეიტანოს თანხა არა მარტო საბარათე ანგარიშზე, არამედ სხვა, ნებისმიერ, მის მიერ არჩეულ ანგარიშზე. დამატებითი კომფორტისათვის შექმნილია საგადასახადო ვალდებულებების რიგი შაბლონები, რომელიც ხელს უწყობს ტრანსაქციის განხორციელების დაჩქარებას. ამასთან, ხდის ამ პროცესს მაქსიმალურად გამჭვირვალეს კლიენტებისთვის. სისტემა მუშაობს მულტისავალუტო რეჟიმში, რითაც "თიბისი ბანკი" კლიენტს სთავაზობს ნაღდი თანხის შეტანას სამი სახის ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი და ევრო).

ამ ახალი მომსახურების შემოღებამ "თიბისი ბანკს" დამატებით კონკურენტული უპირატესობა მიანიჭა - კერძოდ, ის გახდა პირველი ბანკი საქართველოში, უფრო მეტიც ამიერკავკასიაში, რომელმაც თავის კლიენტებს ამ სახის მომსახურება შესთავაზა.

## საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სებ-ის პრეზიდენტის პოსტზე ირაკლი მანაგაძის დარჩენას მხარს დაუჭერს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურაზე უმრავლესობაში მოლაპარაკებები არ დაწყებულა, თუმცა ამ პოსტზე კვლავ ირაკლი მანაგაძის წარდგენას იგი მიესალმებოდა.

როგორც ელენე თევდორაძემ პრაიმ-ნიუსს განუცხადა, სებ-ის საბჭოს კანონით განსაზღვრული, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 7-წლიანი ვადა მარტის ბოლოს იწურება, აქედან გამომდინარე, კანდიდატურებზე საუბარი ნაადრევია.

რაც შეეხება პოლიტიკური ნიშნით ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენებას, ელენე თევდორაძე მიიჩნევს, რომ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უმაღლესი პროფესიონალი იქნება და ქვეყნის საბანკო სექტორის სტაბილურობას პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა დააყენებს.

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ელენე თევდორაძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის 7-წლიან მოღვაწეობას დადებითად აფასებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## კახა ბენდუქიძე: ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოლიტიკური ნიშნით არჩევა დაუშვებელია

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის ხელმეორე ვადით არჩევას მხარს უჭერს სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე.

მან პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პრეზიდენტის მმართველობისას ეროვნულმა ბანკმა საბანკო-საფინანსო სექტორის მდგრადობა და ოპტიმიზება უზრუნველყო. საქართველოს საბანკო-საფინანსო სფეროში მიღწეული წარმატებები სწორად წარმართული მონეტარული პოლიტიკის შედეგია.

კახა ბენდუქიძე აცხადებს, რომ დაუშვებელია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოლიტიკური ნიშნით ან გუნდური კუთვნილებით დანიშვნა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საფინანსო სექტორში მოულოდნელობისა და არასტაბილურობის ეფექტი.

კახა ბენდუქიძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე ეროვნული ბანკის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურაზე კონსულტაციები არ დაწყებულა.

*პრაიმ-ნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საშუალო წნევის გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, ისანი-სამგორის რაიონის მომხმარებელს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. როგორც "თბილგაზის" ტექნიკურმა დირექტორმა გია გოგესაშვილმა განაცხადა, გაზმომარაგების შეწყვეტა აირის გაჟონვამ გამოიწვია. ამჟამად "თბილგაზის" საავარიო და ქსელების სამსახურები გაჟონვის ადგილის ძიებას აწარმოებენ. **"ვაზისუბნისა და მოსკოვის პროსპექტის გაზმომარაგება მალევე განახლდება, რაც შეეხება სხვა მომხმარებლებს, ისინი ბუნებრივ აირს საღამომდე მიიღებენ. ავარიის ლიკვიდაციას ამ დროისთვის ვგეგმავთ,"** - განაცხადა გოგესაშვილმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი თებერვლის ბოლოსთვის ჩაირთვება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა "მედიანიუსს" განუცხადა, ბლოკის ჩართვა 15 თებერვლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ შეკეთებისას აღმოჩენილი დაზიანებების გამო, მისი რეაბილიტაცია თებერვლის ბოლომდე გაგრძელდება. მე-3 ენერგობლოკი ჩართვის შემდეგ 100 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებს, თუმცა, კრიზისულ სიტუაციებში მისი გამომუშავება, შესაძლებელია, 120 მეგავატამდეც გაიზარდოს. მე-3 ენერგობლოკი, სავარაუდოდ, მაისის დასაწყისამდე იმუშავებს. გილაურის განცხადებით, 12 მარტისთვის იგეგმება ენგურჰესის გაჩერება 90 დღით, რათა სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდეს. ეს სამუშაოები ევრობანკის დაფინანსებით განხორციელდება და მას ქართული კომპანიები "საქენერგორემონტი" და "საქჰიდრომშენი" შეასრულებენ. **მედიანიუსი**




P&G

სამომხმარებლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე

აღწერა:

კვალიფიკაცია:

რეზიუმეს გამოგზავნა:
www.pg-ca.com
www.go2pg.com - CBD00002125 Sales/Customer Business DevelopmentAccount Manager,
CV
muradova.n@pg.com ფაქსი - 995 32 94 18 94.
+994 50 350 5855

# მცირე ლიცენზიანტები საბითუმო ბაზრის წევრები ხდებიან

*ქართული მცირე კომპანიები ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ბრუნდებიან. სს. "გორგოტა", შპს. "პატარა კახი" და ი.მ. "ფერმერი" ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის სრულუფლებიანი წევრები კვლავ ხდებიან. ეს გადაწყვეტილება საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა უკანასკნელ სხდომაზე ერთსულოვნად მიიღეს.*

მარიამ ჭაჭვაძე

საბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს წევრების მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების მოტივი, როგორც თავად სხდომის მონაწილეებმა განმარტეს, საოლქო და უზენაესი სასამართლოების განჩინება გახდა, რომლებმაც ცალსახად განმარტეს, რომ ხსენებულ კომპანიებს ლიცენზია ჯერ კიდევ გააჩნდათ. **"ჩვენ კანონი გვავალდებულებს იმას, რომ ეს კომპანიები ბაზრის სრულუფლებიან წევრებად ვაღიაროთ,"** - ასეთი იყო აღმასრულებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობის განწყობა.

ეს ის სამი ენერგოგამანაწილებელი კომპანიაა (ანუ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები"), რომლებსაც გასულ წელს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ, სხვა გამანაწილებელ კომპანიებთან ერთად, ლიცენზია ჩამოართვა. მოგვიანებით, ეს გადაწყვეტილება "გორგოტამ", "პატარა კახმა" და "ფერმერმა" გაასაჩივრეს და საოლქო სასამართლოსგან მისი ბათილად ცნობა მოითხოვეს.

იმის გამო, რომ ეს სარჩელი სასამართლომ განხილვაში მიიღო, ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ხსენებულ გადაწყვეტილებას მოქმედება შეუჩერდა. ანუ, შესაბამისად, ამ სამ გამანაწილებელ კომპანიას ლიცენზია კვლავ გაუგრძელდა, თუმცა სემეკ-ის ზეგავლენისა თუ სხვა ზეწოლის გამო, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ამ კომპანიებს ბაზრის სრულუფლებიან წევრებად არ თვლიდა.

**"საბითუმო ბაზარმა ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის ერთ-ერთი წევრის ხელმოწერილი წერილი მიიღო, სადაც ეს უკანასკნელი ბაზარს არწმუნებდა, რომ თითქოს ლიცენზიები ჩვენ გაუქმებული გვქონდა, ამის გამო ბაზარმა, მიუხედავად საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ვერ აღგვადგინა ბაზრის წევრად, ხოლო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა,"** – ამბობს "მცირე ლიცენზიანტების" უფლებების დამცველი მალხაზ ძიძიკაშვილი.

ელექტროგამანაწილებელი კომპანიებისთვის საბითუმო ბაზრის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის აღდგენა, მალხაზ ძიძიკაშვილის განმარტებით, შემდეგს ნიშნავს: გამანაწილებელი კომპანიები დღეიდან მიიღებენ საბითუმო ბაზრისგან მოხმარებული ელექტროენერგიის შესაბამის ანგარიშ-ფაქტურებს, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების საფასური დროულად გადაიხადონ. მალხაზ ძიძიკაშვილი განმარტავს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი კომპანიები დღემდე ამ უფლებას მოკლებულები იყვნენ. **"სემეკ-ის გადაწყვეტილებით, გამანაწილებელი კომპანიების ნაცვლად, ივლისიდან ეს ელექტროენერგია "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას" ეწერებოდა. საბითუმო ბაზრის მიერ მცირე კომპანიების ბაზრის წევრებად აღდგენის გადაწყვეტილებამ ეს პრობლემაც დაარეგულირა, ანუ გასული წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით მოხმარებული ელექტროენერგია ახლა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას" ჩამოაკლდება და ისევ ამ სამ კომპანიას დაეწერება. ბუნებრივია, ეს კომპანიები თანხას ისევ ძველებურად, ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე გადაიხდიან,"** - ამბობს ადვოკატი ძიძიკაშვილი.

მალხაზ ძიძიკაშვილი, ისევე, როგორც მისი დაცვის ქვეშ მყოფი კომპანიების ხელმძღვანელები, იმედს გამოთქვამს, რომ საოლქო სასამართლოში დაწყებულ დავას ობიექტური გადაწყვეტილება მოჰყვება და ელექტროენერგიის განაწილების ბაზარზე, "თელასსა" და "გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიასთან" ერთად, რამდენიმე ქართული კომპანიაც იქნება წარმოდგენილი. არადა, იმის საშიშროება, რომ ამ ბაზრიდან ქართველი მეწარმეები სულ გაქრებიან, ძიძიკაშვილის თქმით, დღეს რეალურად არსებობს. ეს იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოზე "ძლიერთა ამა ქვეყნისაგან" ზეწოლას ექნება ადგილი.

# ბანკების გაერთიანება-გამსხვილება

საქართველოს საბანკო სისტემით ბრიტანული ბანკი დაინტერესდა. ამის შესახებ ოფიციალური წერილი და ბანკის წლიური ანგარიში ეროვნულმა ბანკმა 2004 წლის დეკემბრის ბოლოსთვის მიიღო.

როგორც "მედია-ნიუსს" ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილემ მამუკა მაჩაიძემ განუცხადა, უცხოური ბანკის ქართულ საბანკო სისტემაში დამკვიდრებას შესაბამისი ლიცენზია სჭირდება.

"ლონდონ ინტერნეშნლ ბენკ ლიმიტედ" ბრიტანული მასშტაბებით მცირე ბანკად ითვლება. მაჩაიძის ინფორმაციით, ბანკის სააქციო კაპიტალი ოთხ მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს, თუმცა, მისივე თქმით, იმ ფაქტს, რომ ქართული საბანკო სისტემით ინგლისური ბანკი დაინტერესდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ეს ბანკი საინვესტიციო მიმართულებისაა და ქართული "ინვესტბანკის" ასპროცენტიანი წილის შესყიდვითაა დაინტერესებული. ამჟამად ეს საკითხი განხილვის სტადიაშია. "ინვესტბანკმა" ლიცენზია 2003 წელს მიიღო. 2004 წლის შედეგებით, ბანკის აქტივებმა 9 მილიონ 300 ათასი ლარი, ვალდებულებებმა კი - 3 მილიონ 200 ათასი ლარი შეადგინა. ფინანსური წელი ბანკმა მილიონ 100 ათასი ლარის ზარალით დაასრულა.

ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსის მოადგილე მიიჩნევს, რომ ახალდაფუძნებული ბანკისთვის ეს გასაკვირი არ არის და განსაკუთრებულ პრობლემასაც არ წარმოადგენს, თუმცა თავად ფაქტი საკმაოდ საინტერესოა.

საგულისხმოა ისიც, რომ 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საწესდებო კაპიტალის ახალი მოთხოვნები ქართული ბანკებისთვის, რამაც მათი გარკვეული ნაწილი "შერწყმებისა" და ახალი პარტნიორების ძიებისთვის განაწყო.

კერძოდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გასულ წელს გამოცემული ბრძანების თანახმად, ყველა კომერციულ ბანკს მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის რაოდენობა 1 მილიონ 400 ათასი ლარით გაეზარდა. ნაცვლად 5 მილიონისა, ბანკის საზედამხედველო კაპიტალი, სულ მცირე, 6 მილიონ 400 ათასი უნდა იყოს, იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა მასზე შესაბამისი ლიცენზია გასცეს.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ზემოთ ხსენებული ბრძანება, საბანკო სისტემის სტაბილური და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, შესაძლო რისკების თავიდან აცილებას, კომერციული ბანკების კაპიტალის ამაღლებისა და მინიმალური კაპიტალის ოდენობის საერთაშორისო ნორმებთან მიახლოებას ისახავს მიზნად.

იმავე ბრძანების თანახმად, უახლოეს სამ წელიწადში კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ზღვარი 12 მილიონ ლარამდე იზრდება.

სხვათა შორის, ევროკავშირის სტანდარტებით კავშირის წევრი სახელმწიფოების კომერციულ ბანკებს საზედამხედველო კაპიტალი მინიმუმ 6 მილიონი ევრო უნდა ჰქონდეს. ამ სტანდარტთან მიახლოებას საქართველოს ეროვნული ბანკი 2008 წლისთვის გეგმავს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში მოქმედ რამდენიმე წვრილ კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის დადგენილი მინიმალური საზედამხედევლო კაპიტალი არ აღმოაჩნდება, რაც ბანკებს გაერთიანება-გამსხვილებას აიძულებს. ამის პირველი პრეცედენტი საქართველოში ამ ცოტა ხნის წინათ დაფიქსირდა, როცა "საქართველოს ბანკმა" და "თბილუნივერსალბანკმა" გაერთიანების შესახებ საზოგადოებას საჯაროდ აცნობეს. ამჟამად ეს პროცესი უკვე დაწყებულია, რომელიც, სავარაუდოდ, უახლოეს რამდენიმე თვეში დასრულდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად რამდენიმე ბანკს შორის აქტიური მოლაპარაკება მიმდინარეობს ახლო მომავალში გაერთიანების შესახებ. ამ ინფორმაციას ეროვნულ ბანკშიც ადასტურებენ, თუმცა ბანკების დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ.

წლის ბოლომდე კომერციული ბანკების რაოდენობის შესაძლო შემცირება ეროვნულ ბანკში საკმაოდ რეალურად ეჩვენებათ და ამას დადებითად აფასებენ.

**"ბანკების გაერთიანება-გამსხვილების ტენდენცია აშკარად შესამჩნევი გახდა დღეს საქართველოში, რაც, პრინციპში, დადებითი მომენტია,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების სამმართველოს უფროსმა მურთაზ კიკორიამ.

*24 საათი*

# კრემლი ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს

*კრემლის გადაწყვეტილებით, 2005 წელს რუსული ბუნებრივი წიაღისეულისთვის გასამართ კონკურსებში უცხოურ კომპანიებს მონაწილეობა აეკრძალებათ. მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ კომპანიებს მიეცემათ, რომელთა აქციონერულ კაპიტალში 51 პროცენტზე მეტი რუსული იქნება.*

დიანა ჩაჩუა

რუსეთი აცხადებს, რომ იგი თავის სტრატეგიულ რესურსებზე კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს. სახელმწიფოს მიერ უცხოელებისგან ადგილობრივი ბუნებრივი წიაღისეულის "დაცვა" მსოფლიოში უნიკალურ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგალითად, მსგავსი სიტუაციაა მექსიკაში, საუდის არაბეთში და კუვეიტში. თუმცა, რუსების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კურიოზულობა იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთში უკვე 15 წელია, დასავლელი ინვესტორების მოზიდვასთან დაკავშირებით აქტიური პოლიტიკა ტარდება.

როგორც ცნობილი გახდა, რუსულ კონკურსებში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ ისეთ კომპანიებს ექნებათ, რომელთა აქციონერულ კაპიტალში 51 პროცენტზე მეტი რუს მოწილეებს ეკუთვნით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უცხოელების მიერ კონტროლირებადი კომპანიები ვერ შეძლებენ იბრძოლონ "Сахалин-3"–ის, ბარენცის ზღვის, ციმბირის რომან ტრებსას და ანატოლი ტიტოვის გაზის და ნავთობის საბადოების ხელში ჩასაგდებად. აღნიშნული კომპანიები ასევე ვერ შეძლებენ, მონაწილეობა მიიღონ ევრაზიის უმსხვილესი ოქროს მომპოვებელი საბადოს "Сухой Лог" –სთვის გამართულ ტენდერში.

ნავთობის, გაზის და სასარგებლო წიაღისეულის სფეროში მომუშავე უცხოური კომპანიები მოსკოვის გადაწყვეტილებაზე მოსაზრებებს ფრთხილად გამოთქვამენ. მაგალითად, როგორც ბრიტანულ სამთომომპოვებელ კომპანია "Highland Gold"–ში განაცხადეს, აღნიშნული აკრძალვით ისინი ძალიან გულდაწყვეტილი არიან. მათი თქმით, სამწუხარო იქნება, თუ ეს გადაწყვეტილება რუსეთის საინვესტიციო კლიმატზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რუსეთის ენერგეტიკის ყოფილმა მინისტრმა იური შაფრანიკმა აღნიშნა, უცხოურ და რუსულ კომპანიებს თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთ. მეტიც, მისი თქმით, რუსეთის ხელისუფლებას აკრძალვების უფლება მხოლოდ რამდენიმე მსხვილ საბადოზე აქვს.

**"არაფერი კარგი ამ გადაწყვეტილებაში არ არის, თუმცა ეს მაინც გასაგებია. რა თქმა უნდა, უცხოელებს დიდი სურვილი აქვთ, რუსულ ბაზარზე თავისუფლად იმოქმედონ, თუმცა რუსების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნის დასასრული სულაც არ არის,"** – განაცხადა "UBS Brunswick"–ის ეკონომისტმა ალ ბრიჩმა.

ექსპერტები დარწმუნებული არ არიან, მოიგებს თუ არა რუსეთი ახალი პოლიტიკის გატარებით. **"როგორი პატრიოტული ნაბიჯებიც არ უნდა გადადგას რუსეთმა საკუთარი კომპანიების დასაცავად, ყველაფერი მაინც ნათელია. ამით იჩაგრება კომპანიები, რომლებსაც შეეძლოთ, რუსული რესურსებისთვის გაცილებით მეტი თანხა გადაეხადათ და, შესაბამისად, მეტი შეეტანათ რუსეთის ბიუჯეტში,"** – განაცხადა "ფაინენშალ თაიმსის" რუსმა მიმომხილველმა არკადი ოსტროვსკიმ.



### საგადასახადო განმარტებები

# მოგების გადასახადი

მანამ, სანამ მოგების გადასახადის განხილვაზე გადავალთ, საჭიროა განვმარტოთ რამოდენიმე ტერმინი, რომლებიც გამოყენებულია მოგების გადასახადის თავში:

**საწარმო** - საწარმოდ ითვლება შემდეგი წარმონაქმნები, რომლებიც ანხორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ან შექმნილნი არიან ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად: საწარმოდ ითვლება, საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირები (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი). უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციები, კომპანიები, ფირმები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები. გაერთიანებები, ამხანაგობები და სხვა მსგავსი წარმონაქმნები.

**მუდმივი დაწესებულება** – საქართველოში უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ანხორციელებს სამეწარმეო საქმიანობას.

მოგების გადასახადი განთავსებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის IX კარში, სახელწოდებით "საშემოსავლო და მოგების გადასახადი".

**მოგების გადასახადის გადამხდელია:**

საქართველოს საწარმო;

უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ანხორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან;

ამხანაგობა და სხვა ანალოგიური წარმონაქმნები მოგების გადასახადს იხდიან მათი მფლობელების წილის პროპორციულად, დასაბეგრი მოგება მიეკუთვნება მათ მფლობელს წილის შესაბამისად და ჩაირთვება მათ ერთობლივ შემოსავალში.

მოგების გადასახადში დიფერენცირებულია, როგორც გადასახადის გადამხდელები, ასევე დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი.

**საქართველოს საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება. იგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.**

სხვანაირად რომ ვთქვათ, მოგების გადასახადით იბეგრება საქართველოს საწარმოს შემოსავლების ერთობლიობა (წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი), რაც მცირდება კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებით (ერთობლივ შემოსავალს აკლდება მის მიღებაზე გაწეული დანახარჯები), გამოქვითვებში შეიძლება შევიდეს პროდუქციის შეძენაზე გაწეული დანახარჯები, მომსახურეობის ხარჯები, ელექტროენერგიის ხარჯები, ხელფასები და მრავალი სხვა. ერთობლივ შემოსავალში შესატან და გამოსაქვით თანხებს მკაცრად განსაზღვრავს საგადასახადო კოდექსი.

უცხოური საწარმოც, რომელიც მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს საქმიანობას და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, წარმოადგენს მოგების გადასახდის გადამხდელს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, საწარმოს დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტიანი განაკვეთით, ხოლო "ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული "არსებული ხელშეკრულებების" განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტიანი განაკვეთით, თუ ეს ხელშეკრულება დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

უცხოური საწარმოს ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მუდმივ დაწესებულებასთან, გადასახადით იბეგრება გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე. რასაც არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლი, კერძოდ: არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში, იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

არის სფეროები, რომელიც თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან.

**მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:**

ა) საბიუჯეტო, საერთაშორისო ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

ბ) ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულობები;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;

დ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ე) სამედიცინო დაწესებულებების (მიუხედავად ორგანიზაციულ-სამართლებ- რივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომელიც მოხმარდება რეინვესტირებას (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) და თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებას;

ვ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ პირის მიერ ამ მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

ზ) 2007 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხდება ამ საქმიანობის ფარგლებში;

თ) 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების მიწოდებით ან/და ჟურნალ-გაზეთებით სარეკლამო მომსახურების გაწევით მიღებული მოგება.

მოგების გადასახადში მნიშნელოვანია ვიცოდეთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ ერთობლივი შემოსავლის ცნება და მასში შესატანი შემოსავლები, გამოსაქვითი დანახარჯების ცნება და ყველა ის ხარჯი, რომელსაც კოდექსი გამოსაქვით ხარჯებში შესატან ხარჯებს უწოდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა წარმოადგენს საწარმოს შემოსავალს და რომელი ხარჯების გამოკლების უფლებას გვაძლებს საგადასახადო კოდექსი.

ყოველივე ამის შემდეგ დგინდება დასაბეგრი მოგება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლებს და ხარჯებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ხოლო დასაბეგრ მოგებას კი ერიცხება მოგების გადასახადი.

ყოველივე ამის შესახებ, შევეცდებით, ეტაპობრივად მოგაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ განმარტებებში.

BR ბანკი რესპუბლიკა




ბანკი "რესპუბლიკა"
ყველაზე ეფექტური
ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

საქალაქო სამსახური

# ახალი გზა და განათებული ქუჩები

*მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს დედაქალაქის ბიუჯეტიდან წელს ყველაზე მეტი თანხა – 98 მილიონ 760 ათასი ლარი ერგო. აქედან 77 მილიონ 590 ათასი ლარი გზების საფარის აღდგენას მოხმარდება. კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ახლად დანიშნული უფროსის ტარიელ ხიზანეიშვილის თქმით, თბილისში წლის ბოლომდე მილიონნახევარი კვადრატული მეტრი გზის მონაკვეთი დაიგება, რაც ბოლო ათეული წლის განმავლობაში არ მომხდარა.*

თამარ დვალი

**- შარშანდელ წელთან შედარებით, რამდენი მილიონი ლარით გაიზარდა თქვენი სამსახურის დაფინანსება?**

- 2003 წელს მხოლოდ საგზაო სამუშაოებისთვის 3 მილიონნახევარი ლარი იყო გამოყოფილი, 2004 წელს - 24 მილიონი. რაც შეეხება მთლიან დაფინანსებას, შარშანდელ ბიუჯეტში 37 მილიონი ლარი გვქონდა, წელს ეს თანხა, თითქმის, გასამმაგებულია. ყველაზე დიდი ბიუჯეტით გამოირჩევა საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოები, რისთვისაც 77 მილიონ 590 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი. ამ თანხით მილიონნახევარი კვადრატული მეტრი გზის მონაკვეთი დაიგება. აღსანიშნავია, რომ წელს უცხოური კომპანიების შემოყვანის პირველი მცდელობა გვაქვს. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება. რამდენიმე კომპანიამ სავარაუდო ფასი უკვე გვითხრა. თებერვლის ბოლოს გვეცოდინება, თუ ვინ შეასრულებს გზის საფარის აღდგენით სამუშაოებს.

**- ამ თანხას ერთი კომპანია მიიღებს, თუ რამდენიმე კომპანიაზე გადანაწილდება?**

- ვეცდებით, რომ რამდენიმე კომპანიაზე გადანაწილდეს. ყველა კომპანიის ინტერესებში შედის, რაც შეიძლება, დიდი დაკვეთა მიიღონ. ალბათ, იქნება მცდელობა მთლიანი თანხა აითვისონ, თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ ამის გარისკვა არ შეიძლება.

**- ამ ბოლო დროს აქცენტი უცხოურ ინვესტორებსა თუ კომპანიებზე კეთდება. თქვენი აზრით, ქართული კომპანიები ვერ შეძლებენ იგივე სამუშაოების განხორციელებას?**

- უცხოურ კომპანიებს საკუთარი ლაბორატორიები, კარგი ტექნიკა და მეტი გამოცდილება აქვთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართულ კომპანიებს ტენდერში მონაწილეობის უფლება არ ექნებათ. ჩვენ არ გვინდა საქართველოში ეს დარგი დაიღუპოს. წლების განმავლობაში მათ დაკვეთები არ ჰქონდათ და, ბუნებრივია, ვერ ვითარდებოდნენ. ჩვენ არაფერს ვითხოვთ მათგან, ოღონდ დააგონ ხარისხიანი გზა და მოგვცენ გარანტიები. სამწუხაროდ, არ ვართ დარწმუნებული, და ქართული კომპანიებიც დამეთანხმებიან, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაოები ვერ იქნება ისეთი ხარისხიანი, როგორიც შეიძლება უცხოურმა კომპანიებმა შემოგვთავაზონ. წინა წლებისაგან განსხვავებით, ეს წელი მობილიზების წელია ქართველი კომპანიებისთვის. მათ იგრძნეს, რომ კონკურენციაა და გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობენ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვერც ერთი უცხოური კომპანია დამოუკიდებლად ვერ გაართმევს თავს ამ სამუშაოებს. აუცილებლად დასჭირდებათ ქვემოიჯარეებად ქართული კომპანიები. ჩვენი სამსახურის ფუნქციაც ის არის, რომ ეს პროცესები ვარეგულიროთ.

**- რომელი ცენტრალური და პერიფერიული ქუჩა გაკეთდება წელს?**

- გეგმაზე ვმუშაობთ და საბოლოოდ ჯერ არ ჩამოვყალიბებულვართ. მტკვრის მარცხენა სანაპირო მთლიანად გაკეთდება. ფირმა "ნუროლის" არქიტექტორები არიან საქართველოში და გვიმზადებენ პროექტს. შესაძლოა, გზასთან ერთად გვირაბიც გავაკეთოთ, რომელიც ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. ვნახოთ, თანხები როგორ გადანაწილდება; ასევე - რუსთაველის, კოსტავას, მელიქიშვილის ჭავჭავაძის, ვაჟაფშაველას და პავლოვის გამზირები. ძალიან სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის მიწისქვეშა კომუნიკაციები.

**- აქამდე გზები ისე უხარისხოდ იგებოდა, რომ ცოტა ხანში ისევ შესაკეთებელი ხდებოდა. ამობობენ, რომ ეს ფულის შოვნის მარტივ გზას წარმოადგენდა. მაგალითად შეიძლება ახვლედიანის ქუჩა მოვიყვანოთ, სადაც დაიგო ქვაფენილი, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მალევე აყარეს.**

- ქვაფენილმა დიდი პრობლემები შეგვიქმნა. ქუჩის დონემ მაღლა აიწია, რის გამოც, სარდაფები წყლით ივსებოდა.

**- ამის გათვლა წინასწარ არ შეიძლებოდა?**

- რა თქმა უნდა, შეიძლებოდა. როცა ვიცით, რომ ქვაფენილი უნდა დაიგოს, საფუძველი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ არ დაზიანდეს შენობების ქვედა ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, სამუშაოები არ შესრულდა ხარისხიანად.

**- როგორც ვიცი, კომპანიას სამუშაოების უმოკლეს დროში დასრულება მოსთხოვეს.**

- მე ახალი დანიშნული ვიყავი, როდესაც ამ ქუჩის დაგება მიმდინარეობდა. ხელმძღვანელს შევხვდი და ვკითხე, თუ შეძლებდა დროულად დაეგო გზა, რაზეც მან მიპასუხა, - ტემპი მაქსიმალური იქნება, ოღონდ თანხები არ მოგვაკლოთო. სამწუხაროდ, მივიღეთ ცუდი შედეგი. ეს არის ბიზნეს ქუჩა და იქ დიდი ხნით გზის გადაკეტვა არ შეიძლებოდა.

**- როგორ ფიქრობთ, გზის ხარისხი იყო ცუდი, თუ თავად ქვაფენილმა არ გაამართლა?**

- ქვაფენილს დავტოვებდით ალბათ, მაგრამ სხვა პრეტენზიებიც იყო. არ შეიძლება, ფეხით მოსიარულეთა ნაწილზე დაგვეგო ბაზალტის ძელაკები. იქ სხვა ტიპის სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო. ამის გამოსწორებაც იყო შესაძლებელი, თუმცა თვითონ ამოცანაც არ იყო კარგად გააზრებული. დონეთა სხვაობა აღარ იყო სავალ ნაწილსა და ტროტუარს შორის, ეს კი საშიშროებას ქმნიდა. როგორც ვიცი, ქვაფენილი იმისთვის გადაწყდა, რომ ეს ქუჩა მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის დარჩენილიყო, რაც ვერ მოხერხდა. ამ ქუჩის დაკეტვა წარმოუდგენელია.

**- თუ შეიძლება ერთგვარი პროგნოზი გაკეთდეს, - საფუძვლიანად გაკეთებული გზა რამდენი წლის განმავლობაში გაძლებს?**

- ასეთი რამ, თითქმის, შეუძლებელია. გზას სჭირდება მოვლა. როგორც მოვუვლით, იმდენ წელიწადს გაძლებს. ამ ერთი კვირის განმავლობაში აქტიურად ვმუშაობდით. ქუჩებში ვყრიდით მარილს და შემდეგ დანით ვილებდით, რითაც ასფალტის საფარი დაზიანდა. მარტო თოვლს არ ვგულისხმობ. მარჯანიშვილის ქუჩა კარგად გაკეთდა, მაგრამ ვიღაცამ წყლის მილების შესაყვანად მთელი გზა გადაჭრა. სამწუხაროდ, ჩვენს სამსახურს არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შემიძლია, შეიძლება წერილი მივწერო ადმინისტრაციულ ინსპექციას. ასეთი რამ უნებართვოდ არ უნდა ხდებოდეს. ჯერ პროექტი უნდა შეთანხმდეს, რაც არასდროს გაკეთებულა. ამ მიზეზითაა თბილისის ქუჩების უმეტესობა გაფუჭებული.



**- თბილისი, რატომღაც, ყოველთვის მოუმზადებელი ხვდება ზამთარს. თოვლის მოსვლისას გზები გაუვალი ხდება...**

- არ ვიცი, რა ხდებოდა წინა წლებში, წელს კი მაქსიმუმი გავაკეთეთ. ძალიან რთულია 1000 ტონა მარილი წინასწარ ვიყიდოთ, რადგან არ გვაქვს მარაგის შენახვის საშუალება, არ გაგვაჩნია ტექნიკა. კეთილმოწყობის სამსახურს ჰყავს 7-8 მანქანა, რომლებიც მაქსიმალური მობილიზაციის დროს მთელი ღამე მუშაობენ. წარმოიდგინეთ, თბილისში არის 2 450 ქუჩა; როგორ გგონიათ, ამ ტექნიკით მათი მომსახურება სრულად და დროულად შესაძლებელია?

**- ტექნიკის შესაძენად რამდენი ლარი გაქვთ გათვალისწინებული წლევანდელ ბიუჯეტში?**

- 700 ათასი ლარი გვაქვს გამოყოფილი. წინა წლებში, ამ კუთხით, ქალაქს თანხა არ დაუჯარხავს და არც უზრუნია. ის, რაც გვქონდა, განიავებულია. უნდა დავსახოთ გეგმა, თუ რა გვჭირდება. ეს მარტივად გადასაწყვეტი პრობლემა არ არის.

**- დედაქალაქისთვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება ნაგავსაყრელები. ამ მხრივ თუ გაკეთდება რამე?**

- ამჟამად ქალაქს ორი ნაგავსაყრელი აქვს, გლდანში და იალღუჯზე - რუსთავისკენ. ნაგვის პოლიგონებზე გვჭირდება ტრაქტორები, ექსკავატორები, თვითმცლელები, გრეიდერები. ეს არის საკითხი, რაზეც გამუდმებით ვფიქრობთ. არსებობს რამდენიმე მოსაზრება, რომელთაგან განსაკუთრებულია გადამამუშავებელი ქარხნის აშენება. ამის განხორციელება მერიას არ შეუძლია. ამ პროექტს, დაახლოებით, 60 მილიონი დოლარი სჭირდება. ჩემი აზრით, ეს იმდენად კარგი საქმეა ეკოლოგიური თვალსაზრისით, რომ ღირს ამ თანხის დახარჯვა. შესაძლებელია, ქალაქმა დახარჯოს რაღაც თანხა და ინვესტორი დოტაციაზე გვყავდეს. მაგალითად, ის ფული, რაც პოლიგონებზე იხარჯება, მოხმარდეს ქარხანას.

**- სანიაღვრე ქსელის მოსაწესრიგებლად ერთი მილიონ 300 ათასი ლარი გაქვთ ბიუჯეტში. რა გაკეთდება ამ თანხით?**

- სანიაღვრე ქსელს მუდმივად სჭირდება გაწმენდა. ისევე როგორც სხვა დარგებზე, წლების განმავლობაში აქაც არ ხდებოდა თანხის გამოყოფა. კომუნისტების პერიოდში იჭრებოდა ჭები, თუმცა ეს იყო ბუტაფორია. გვაქვს ჭები, სადაც არანაირი დამაკავშირებელი ქსელი არ არსებობს. საკმარისია, დიდი წვიმა მოვიდეს, რომ გზა წყლით ივსება. ბევრგან პატარა მილებია ჩადებული, რაც, ასევე, გვიქმნის პრობლემებს. რაც შეეხება ღიად დატოვებულ ჭებს, აქ ქურდობას აქვს ადგილი. ამ სფეროში უმძიმესი მემკვიდრეობა დაგვხვდა. ბევრგან 30-40 წლის წინ ჩაწყობილი მილებია. იქ, სადაც გზა დაიგება, ეს პრობლემაც, შეძლებისდაგვარად, მოგვარდება.

**- მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა კვლავ თქვენს დაფინანსებაზე რჩება?**

- ჯერჯერობით. ამისთვის 500 ათასი ლარი გვაქვს ბიუჯეტში, მაგრამ შეიქმნა შპს "მიწისქვეშა გადასასვლელი", რომელსაც გადაეცემა ყველა ის უფლება, რომელიც დღემდე ჰქონდა ქონების მართვის სამსახურს. ამაში იგულისხმება იჯარის თანხების ამოღება. ეს მთავრობის ახალი ნაბიჯია და ვნახოთ, როგორ გაამართლებს. ამით ხარჯები შეგვიმცირდება.

**- როდის განათდება თბილისის ჩაბნელებული ქუჩები?**

- გარე განათებისთვის 8 მილიონ 700 ათასი გვაქვს გამოყოფილი. აქედან 6 მილიონი ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას უნდა მოხმარდეს. დარჩენილი თანხით ვგეგმავთ ეკონომიური ნათურები შემოვიტანოთ, რაც ექსპლუატაციის ხარჯს შეამცირებს. ელექტროენეგიის დატაცების ფაქტები ჩვენთვის ერთერთ სერიოზულ პრობლემად რჩება. ახლა ვმსჯელობთ სქემაზე, ხომ არ ჩავდოთ მიწის ქვეშ დენის გაყვანილობა. თუმცა, იმდენად ძვირი გვიჯდება ამ სამუშაოების განხორციელება, რომ ისევ ქურდობის დათმობა ჯობს. ყველა პრობლემის მიუხედავად, წელს ბევრ ქუჩას გავანათებთ. პერიფერია და ცენტრი ჩემთვის არ არსებობს. რუსთაველზე და გლდანში მაცხოვრებელს ერთნაირად სჭირდება განათება. არსებობს მეორე ფაქტორიც - ჩვენნაირი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია რუსთაველის, აეროპორტის მაგისტრალის განათება. აქამდე ქუჩების სრულად განათება დაუფინანსებლობის გამოც ვერ ხერხდებოდა. მსოფლიო ბანკის დახმარებით, წელს სათანადო ტექნიკასაც შევიძენთ.

**- ფასადების შეკეთება უკვე დაწყებულია. თუმცა, საკრებულომ აეროპორტის გზაზე საცხოვრებელი სახლების რამდენიმე ფერად შეღებვა არ მოგიწონათ. რა პრინციპით არჩევთ ფერებს?**

- დიდხანს ვფიქრობდით, თუ როგორ შეგვეღება. სამწუხაროდ, ამ კორპუსის მცხოვრებთ სარეცხის გამოფენა გზის პირას უწევთ. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ასეთ სტრატეგიულ გზაზე გამოფენილი სარეცხი ცუდი სანახავია. ჩვენ შევეცადეთ, ამ ფერების თამაშით დაგვებალანსებინა სიტუაცია. ერთ ფერში შეღებვა არ იქნებოდა კარგი. ამაზე დიზაინერები მუშაობდნენ. თქვენ არ იცით, რამხელა პრობლემას ვაწყდებით მოსახლეობის მხრიდან. მაგალითისთვის ერთ ამბავს მოგიყვებით - აეროპორტის გზაზე ორი კორპუსი დგას, აქედან ერთი ლურჯად იყო შეღებილი და მეორეს შეღებვაც ამავე ფერად გვინდოდა. "მთელი ცხოვრება იმ კორპუსის მცხოვრებლებს ცისფერ კოსპუსელებს ვეძახდით და ახლა ისინი დაგვიძახებენო", - ამ მოტივით, ისეთი კამათი წარიმართა, რომ მოსახლეობამ მაგისტრალის გადაკეტვაც კი სცადა. ასე რომ, ეს მომენტიც გასათვალისწინებელია. ძალიან ბევრი ლამაზი კორპუსია თბილისში, მაგრამ, მოუვლელობის გამო, მათი სილამაზე იკარგება. ჩვენ არა მარტო ვღებავთ, საწვიმარ მილებსაც ვცვლით და ვლესავთ. ისტორიულ ნაწილს რაც შეეხება, ვიკვლევთ, თუ რა ფერი იყო ეს შენობა ადრე და ვცდილობთ, იმავე ფერად შევღებოთ.

**- ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე სკამების დამონტაჟება როდის დასრულდება. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი გულშემატკივრებს დაჰპირდა, ეს სამუშაოები სექტემბრის თვეში უნდა დასრულებულიყო. თუმცა, მას შემდეგ ეს ვადა სულ იქით იწევს...**

- ამ საქმისთვის ერთი მილიონი ლარია გამოყოფილი. წელს, დაახლოებით, 40-42 ათასი სკამი უნდა დამონტაჟდეს. ჯერ კომპანია არ არის შერჩეული. მარტში არის თამაში და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მეტ გულშემატკივარს მიეცეს დასწრების შესაძლებლობა.

**- მერიაში საკადრო ცვლილებები იგეგმება. შეეხება თუ არა ეს ცვლილებები თქვენს სამსახურს?**

- ყველაფერს შევცვლით, პირველ რიგში - დებულებას. შეიქმნება ახალი განყოფილებები. ამჟამად 38 ადამიანი გვყავს შტატში და, სავარაუდოდ, 10 ადამიანის გაშვება მოგვიწევს. გვინდა, მერიის დაფინანსებაზე არსებული შპს-ების ნაცვლად, თანხა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს გადავცეთ. მათ დღეს ალტერნატივა არ ჰყავთ, რაც ხარისხზე ცუდად მოქმედებს.

განცხადება

2005 წლის 8 თებერვალს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება". ფონდში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და საქართველოს ნებისმიერ გულშემატკივარ პიროვნებას, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლობისა.

ფონდის საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყნის აღმშენებლობას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას;

ფონდის სტრუქტურა

1. 12-კაციანი მმართველი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი (ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე);

ბატონი გურამ დოჩანაშვილი;

ბატონი ანზორ ერქომაიშვილი;

ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე;

ბატონი ბიძინა კვერნაძე;

ბატონი თამაზ გამყრელიძე;

ბატონი დავით მუსხელიშვილი;

ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი;

ბატონი გიორგი ანდრიაძე;

ქალბატონი რუსუდან ფეტვიაშვილი;

ქალბატონი რუსუდან ყენია.

2. დამფინანსებელთა (შემომწირველთა) საბჭო;

3. რაიონული და უცხოეთში არსებული ორგანიზაციების წარმომადგენლები;

(სამივე ეს რგოლი ქმნის ფონდის სტრატეგიის განმსაზღვრელ გაფართოებულ საბჭოს);

4. ფონს ჰყავს აღმასრულებელი მდივანი (დეკანოზი გიორგი ზვიადაძე. სამდივნოში მოხდება საპროექტო განცხადებების მიღება);

5. აღმასრულებელი მდივანი ქმნის დარგობრივ კომისიებს;

*ფონდის ანგარიშის ნომერია:*
*"სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი"*
*რეკვიზიტები სალარე ანგარიშზე თანხების ჩასარიცხად*
*სს "თი ბი სი" ბანკი, ცენტრალური ფილიალი*
*საბანკო კოდი 220101830*
*მიმღები:*
*"სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი"*
*ანგარიშსწორების ანგარიში - 110700110*

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

**განცხადება**

სსიპ - "სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" აცხადებს სტაჟიორთა კონკურსს შემდეგ განყოფილებებში:

1. დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა;
2. ხელნაწერებისა და ხელწერის ექსპერტიზა;
3. ბალისტიკური ექსპერტიზა;
4. ტრასპლოგიური ექსპერტიზა;
5. ავტო-ტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა;
6. კომპიუტერული, აუდიო-ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზა;
7. დაქტილოსკოპური ექსპერტიზა;
8 ქიმიური ექსპერტიზა;
8.1 ნარკოტიკული, მომწამვლელი ნივთიერებებისა და ფარმაპრეპარატების ექსპერტიზა;
8.2 ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზა;
8.3 ნავთობპროდუქტების ხარისხის ექსპერტიზა;
8.4 კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა;

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლება შესაბამისი სპეციალობით (სამართალმცოდნე, კომპიუტერის სპეციალისტი, ტექნიკური დარგის ექსპერტი, ქიმიკოსი).

სტაჟირების კანდიდატებმა ბიუროს კადრების განყოფილებაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა. განცხადება ბიუროს უფროსის სახელზე;
ბ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ. რეკომენდაცია/შუამდგომლობა;
დ. ავტობიოგრაფია (აქტუალური C.V.)
ე. დიპლომის ასლი;
ვ. ორი ფოტოსურათი; (3x4)
ზ. ცნობა ნასამართლეობის შესახებ;
თ. სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

საბუთების მიღება წარმოებს 2005 წლის 1 მარტამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი. №84 საკონტაქტო ტელეფონი: 23-42-55, 29-04-87



ორი სიტყვით

**ქუთაისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ ქუთაისში "ფორდ-ტრანზიტის" ტიპის მიკროავტობუსი დააკავა, რომლის მძღოლს, ქუთაისელ გელა დგებუაძეს კუსტარულად დამზადებული, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში, დიდი ოდენობით სანელებლები გადაჰქონდა. გაირკვა, რომ გელა დგებუაძეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში კუსტარულად დამზადებული ორი წისქვილი აქვს და სუნელებს სხვადასხვა საშიში მინარევებით ამზადებდა. იგი პროდუქციას თბილისსა და ბათუმში უწევდა რეალიზაციას. წინასწარი ინფორმაციით, აღნიშნული პროდუქტი ნორმაზე გაცილებით მეტ ტყვიას შეიცავს. ამჟამად პროდუქციის ექსპერტიზა მიმდინარეობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გორში განხორციელებულ ტერაქტს "ბოლო ორი წლის მანძილზე მომხდარ ანალოგიურ ფაქტებს შორის ერთადერთი ე.წ. ანონიმური ტერაქტი" უწოდა. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, როგორც წესი, ყველა ტერაქტს ჰყავს ავტორი და ხშირად ხდება დანაშაულის სხვაზე გადაბრალება. მისივე თქმით, გორის ტერაქტი ანონიმურად განხორციელებული ქმედებაა და ამიტომ, რეალური შემსრულებლების გამოვლენა ძნელია. "მიუხედავად ყველაფრისა, მე გაძლევთ პირობას, რომ ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება, თუმცა ფაქტის გამოძიებისთვის დიდი დრო და ენერგიაა საჭირო," - განმარტა მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სწრაფი რეაგირების ბატალიონის უფროსი იური გერგედავა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. შესაბამის ბრძანებას შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა მოაწერა ხელი. გერგედავას, რომელიც ამ თანამდებობაზე, დაახლოებით, ერთი თვის წინათ დაინიშნა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ და ამ საქმეზე ამჟამად მოკვლევა მიმდინარეობს. საქმე ეხება ბატალიონში ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს, რომელზეც, წინასწარი ინფორმაციით, ზედმეტი ხარჯებია გაწეული. სამეგრელო-ზემო სვანეთის სწრაფი რეაგირების ბატალიონის უფროსის მოვალეობას შტაბის უფროსი გოდერძი კორძაია ასრულებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავისა და გარდაბნის პოლიციის თანამშრომლების ერთობლივი ღონისძიების შედეგად, გუშინწინ, გვიან ღამით, რუსთავში, მოქალაქე ზვიად გელაშვილის კუთვნილი ფერმიდან, სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით მოპარული, მაღალი ძაბვის ელექტროსადენები ამოიღეს. გუშინწინვე, სამართალდამცველებმა რუსთავში მოპარულ ელექტროანძებსაც მიაკვლიეს. ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ სადენებს კარგად ორგანიზებული ჯგუფის წევრები ჭრიდნენ, რომელთაც მაღალჩინოსანი პოლიციელი ხელმძღვანელობდა. ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში აღნიშნული მაღალჩინოსნის ვინაობას, ჯერჯერობით, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ აკონკრეტებენ. სამართალდამცველები მხოლოდ იმას აღნიშნავენ, რომ მათთვის დამნაშავეთა ჯგუფის ყველა წევრის ვინაობაა ცნობილი. **ინტერ-პრესი**

# პატიმარი ქალები ახალ ციხეში გადაიყვანეს

*ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა პირობა შეასრულა და მართლაც ევროსტანდარტების შესაფერისი ქალთა ახალი საპყრობილე გახსნა. 108 პატიმარი ქალი - ბრალდებულები და განსასჯელები, რომლებსაც აქამდე ორთაჭალის საპყრობილის, ფაქტობრივად, დანგრეულ ქალთა კორპუსში, საშინელ პირობებში უწევდათ ყოფნა, გუშინ დილით, ახალ, კომფორტულ ციხეში გადაიყვანეს.*

ქალთა ახალი ციხე ყოფილი მატროსოვის, ამჟამად, აბუსერიძე ტბელის ქუჩაზე, ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე მდებარეობს. მისი მშენებლობა გასული წლის სექტემბერში დაიწყო და საპყრობილის მშენებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 270 ათასი ლარი გამოიყო, ხოლო ინვენტარის - ავეჯის, თეთრეულის, ჭურჭლის კომპლექტების, რადიომიმღებებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად თანხა ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდმა გამოყო. საპყრობილე, სადაც 23 საკანია, 120 პატიმარზეა გათვლილი. ახალ



გოჩიტა ბუხაიძის ფოტო

*ქალთა ახალი საპყრობილე ევროსტანდარტებს შეესაბამება.*

ციხეში კომფორტული სამედიცინო და მოსასვენებელი ოთახები, საშხაპეები და სამრეცხაო ოთახია, რომელიც ასევე, უახლესი ტექნიკითაა აღჭურვილი.

იუსტიციის მინისტრის გიორგი პაპუაშვილის თქმით, ქალთა ციხეს საქართველოში ანალოგი არ აქვს. **"ეს საპყრობილე სიახლეა, მასში ყველა პირობაა იმისთვის, რომ პატიმრებმა თავი ადამიანებად იგრძნონ,"** – საპყრობილის გახსნისას განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

**"ახალი ციხეების აშენება და პატიმართა გადანაწილება სწორედ იმის გარანტია, რომ საპატიმროებში მოიშლება პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმართა ფენები,"** – აცხადებდა, ფაქტობრივად, უკვე იუსტიციის ყოფილი მინისტრი გიორგი პაპუაშვილი, რომლის მიერ შედგენილი ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი გეგმის განხორციელება - ციხე-საპყრობილეების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ამჯერად, კოტე კემულარიას მოუწევს.

საქმე ისაა, რომ ქალთა კოლონიის ტერიტორიაზე დაწყებულია არასრულწლოვანთა ციხის მშენებლობაც, სადაც არასრულწლოვანი პატიმრები მოძველებული ინფრასტრუქტურის ორთაჭალის საპყრობილიდან მაისისთვის უნდა გადაიყვანონ. უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს რუსთავის ციხის რეაბილიტაციაც, რომელსაც ევროკავშირი აფინანსებს და რომლის დასრულებაც აგვისტოში იგეგმება. სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ზაჰესის დასახლებაში არსებული, ყოფილი კოლონიის ტერიტორიაზე, სადაც უახლოეს თვეებში 300 საკასაციო პატიმარს გადაიყვანენ. მალე დასრულდება ქუთაისის ციხის მშენებლობა, რომელიც ქალთა ციხის მსგავსად, ევროსტანდარტების შესაფერისი იქნება და სადაც 1500 პატიმარი დასახლდება.

*24 საათი*

მოკლედ

# საერთაშორისო ორგანიზაციები ქართველ პოლიციელებს ქცევის წესებს ასწავლიან

ადამიანის უფლებები და პოლიცია – ეს ის საკითხია, რომლის შესახებაც საუბარი სახალხო დამცველის ოფისში გუშინ გახსნილ სემინარზე დაიწყო და სამ დღეს გასტანს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სწავლა-განათლებისა და პოლიციის სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაუმჯობესებისთვის გამიზნული სემინარი რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის, სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ არის ორგანიზებული.

როგორც გუშინ ომბუდსმენის ოფისში აცხადებდნენ, სამდღიანი სემინარი სახელწოდებით - "ადამიანის უფლებები და პოლიცია" - ერთ-ერთი ნაწილია იმ დიდი პროექტისა, რომელსაც რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი და გაერო ახორციელებენ საქართველოში. სემინარის ორგანიზატორთა განცხადებითვე, პროექტი მრავალ კომპონენტს მოიცავს.

**"დღეს პოლიციის სტრუქტურებში ადამიანის უფლებების დაცვა მტკივნეული საკითხია, რადგან ამ კუთხით სამართალდამცველებს გარკვეული ცოდნა აკლიათ, პოლიციელებმა ზედმიწევნით უნდა იცოდნენ საკუთარი უფლება-მოვალეობები. სწორედ ეს გახლავთ ადამიანის უფლებების მაქსიმალურად დაცვის გარანტი,"** - აცხადებდნენ გუშინ ომბუდსმენის ოფისში შეკრებილები. გუშინვე გაირკვა, რომ დედაქალაქში სამდღიანი სემინარის დასრულების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციები მსგავს ღონისძიებებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩაატარებენ.

**"ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სერიოზული წარმატება აქვს მიღწეული. ამ ეტაპზე უწყება საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს, რათა ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით დამნაშავეების დაფარვა არ მოხდეს და კონკრეტული კრიმინალური ფაქტების გახსნის დროს პრობლემები არ წარმოიქმნას,"** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიუხედავად სტატისტიკური მონაცემებისა, ვანო მერაბიშვილი მაინც ირწმუნება, რომ მისმა უწყებამ ბოლო პერიოდში წამება-ძალადობის ფაქტების მინიმუმამდე დაყვანა შეძლო. მინისტრის განმარტებით, ხშირად პრობლემები იქმნება იმ კონკრეტული ადამიანების უფლებების დაცვის კუთხით, ვისი უფლებებიც კრიმინალების მიერ შეილახა. **"ამ მხრივ, სამინისტრო გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს შეიმუშავებს,"** - აცხადებს შს მინისტრი.

*24 საათი*

# მონიტორინგის საბჭოს შედეგები საგანგაშოა

სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა, პოლიციაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივმა საბჭომ, რომელმაც ბოლო დღეების განმავლობაში თბილისის მასშტაბით პოლიციის განყოფილებების მონიტორინგი განახორციელა, ამ მონიტორინგის მონაცემები და შედეგები გამოაქვეყნა.

წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, პოლიციის განყოფილებების შემოწმებისას სულ 137 დარღვევა დაფიქსირდა. აქედან, ადამიანის უფლებების დარღვევათა საერთო რაოდენობამ - 89, ხოლო პროცესუალურმა 58 შეადგინა. მონიტორინგის განხორციელების პროცესში დაფიქსირდა 28 დაკავებული, რომლებსაც ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდათ. თუმცა, სახალხო დამცველის პრესსამსახურის ცნობით, მათგან მხოლოდ 5-მა დაადასტურა პოლიციის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ზეწოლის ფაქტი, 7 დაკავებული კი მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლის შესახებ საუბრობდა. გარდა ამისა, გაირკვა, რომ უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცველები დაკავებულებს საკუთარ უფლებებს არ განუმარტავდნენ. 4 დაკავებულს არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება, ხოლო 14 პატიმარს ექვმიტანილად ცნობის დადგენილების ასლი არ ჩაბარდა.

მონიტორინგის ჯგუფებმა პოლიციის განყოფილებებში დაკავებულთა რეგისტრაციის ჟურნალის არასწორად წარმოების პრაქტიკაც გამოავლინეს. დაფიქსირდა ჟურნალში არასწორი და არასრული რეგისტრაციის 56 შემთხვევა.

უფლებაშელახულთა უმრავლესობა მამაკაცები არიან. მამაკაცები - 67, ქალები – 2, - ასეთია მონიტორინგის საბჭოს მიერ გამოქვეყნებული უფლებაშელახულთა მონაცემები. მათ შორის არასრულწლოვანებიც არიან.

*24 საათი*

# ადვოკატები ადვოკატთა შესახებ კანონს იწუნებენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში პარლამენტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს.

ადვოკატები უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ "ადვოკატთა შესახებ" კანონს აპროტესტებენ. მათი განცხადებით, აღნიშნული კანონი საქართველოს კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას ეწინააღმდეგება და კანონში მოცემული რამდენიმე მუხლი უშუალოდ ადვოკატთა უფლებებს ლახავს.

როგორც სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის წარმომადგენელმა მანანა კობახიძემ განაცხადა, მათთვის კატეგორიულად მიუღებელია "ადვოკატთა შესახებ" კანონის 35-ე მუხლი, რომლის თანახმად, ადვოკატისთვის ასოციაციის წევრობის შეწყვეტა და საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას შეუძლია.

კობახიძის განცხადებით, აღნიშნული კანონი საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა, რადგან კონსტიტუცია ცალსახად განსაზღვრავს, რომ პიროვნების დამნაშავედ ცნობა და მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ საერთო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება და დასჯის უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს.

ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ კანონი "ადვოკატთა შესახებ" "საშიშ მუხლებს" შეიცავს, რომლებიც იმის საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფომ კონტროლი დაამყაროს თავისუფალი პროფესიის ადამიანებზე, ამ შემთხვევაში - ადვოკატებზე. ადვოკატები საკონსტიტუციო სასამართლოსგან კანონის შესაბამისი მუხლების არაკონსტიტუციურად ცნობას ითხოვენ.

*ინტერ-პრესი*

უცხოეთი

# ჩეჩნეთში ადამიანთა გატაცება "მძევალთა ინსტიტუტის" ჩამოყალიბებას ემსახურება

*ადამიანების გატაცებასა და დაკარგვის თვალსაზრისით ჩეჩნეთში სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუარესდა. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების გაუმჯობესება კი, საქმეში ჩახედულთა თქმით, მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ხალხს ეშინია, გატაცებების შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოებში, პროკურატურაში ან თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციებში განაცხადოს.*

ორიოდ დღის წინ საზოგადოება "მემორიალმა" და მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფმა შეაჯამეს შემაძრწუნებელი მონაცემები იმ ძალადობისა, რისი მსხვერპლიც კვლავაც ხდება ჩეჩნეთში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობა. განსაკუთრებულ პრობლემად კი კვლავაც რჩება ადამიანთა გატაცება. ჩეჩნეთში მომუშავე, ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ გატაცებულთა ოჯახები მომხდარის შესახებ არ აცხადებენ, რადგანაც სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან რეპრესიების ეშინიათ. ამ შიშს კი სრულიად რეალური საფუძველი აქვს. კერძოდ, ადამიანის უფლებების დამცველებს მიაჩნიათ, რომ გატაცებათა უმეტესობა ჩეჩენი მილიციონერების ან რუსი სამხედროებისგან შემდგარი შენაერთების მიერაა ორგანიზებული, უშუალოდ ფედერალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფი, ჩრდილო კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის რეგიონული ოპერატიული შტაბის ბრძანებით.

ამასთან, "მემორიალის" წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ მათ ხელთ არ აქვთ ადამიანის გატაცებათა სრული სურათი, რადგანაც ორგანიზაციის მონიტორინგის რესურსები, გარკვეულწილად, შეზღუდულია და ისინი ვერ ახერხებენ, მოიცვან ჩეჩნეთის მთელი ტერიტორია. მონიტორინგი მხოლოდ ქვეყნის მესამედზე თუ ტარდება. მიუხედავად ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციის მონაცემებით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაცილებით მეტი ადამიანი იკარგება უგზო-უკვლოდ, ვიდრე ეს ოფიციალურად ცხადდება.

"მემორიალის" მონაცემების მიხედვით, 1999 წლიდან, ანუ კონფლიქტის დაწყებიდან, უგზო-უკვლოდ დაკარგულია სამიდან ხუთი ათასამდე ადამიანი. 2004 წელს "მემორიალმა" შეძლო, დაეფიქსირებინა სამოქალაქო პირის გატაცების 396 ფაქტი. 2003 წელს ასით მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა, "მემორიალის" წევრებს ეს იმედის საფუძველს სულაც არ აძლევს. ისინი ამბობენ, რომ გატაცებათა დიდი რაოდენობა საერთოდ არავისთვის ხდება ცნობილი.

მოსკოვის ჰელსინკის ჯგუფის წარმომადგენელი ტატიანა ლოკშინა ჩეჩნეთიდან დაბრუნების შემდეგ ამბობს, რომ კონფლიქტის "ჩეჩენიზაციისკენ" მიმართულმა კრემლის პოლიტიკამ, რომლის ფარგლებშიც რუსეთის ფედერალური ჯარები მოსახლეობაში წმენდის ჩატარებას ჩეჩნებისგან შემდგარ დამხმარე ქვედანაყოფებს ავალებენ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ მათი საზარელი საქმიანობის შესახებ სულ უფრო ნაკლები ინფორმაცია ჩნდება. **"რამზან კადიროვის ხალხი ადამიანების გატაცებას გამოსასყიდის მიღების მიზნით ამჯობინებს. ამიტომაც, გატაცებულთა ახლობლები, გამტაცებლებთან შეთანხმების იმედით, სდუმან,"** - ამბობს ლოკშინა. მისივე თქმით, პრორუსულ ჩეჩნურ ქვედანაყოფებში, რომლებიც "ბოევიკებისთვის" დახმარების გაწევაში შემჩნეულ სოფლებს ტერორში ამყოფებენ, რუსი ოფიცრებიც არიან, რომლებიც ჩეჩენ მილიციონერებს მითითებებს აძლევენ და კიდეც აკონტროლებენ. "მემორიალი" მიუთითებს "სამართალდამცველთა მხრიდან სრულ განუკითხაობასა და დაუსჯელობაზე, რომელშიც ეს გატაცებები ხდება" და ამ ფენომენს სხვას არაფერს მიაწერენ, თუ არა "მძევალთა სისტემის" არსებობას.

ბოლო ხანებში კი ერთი ასეთი ტენდენციაც გამოიკვეთა: პრორუსული ქვედანაყოფები სულ უფრო ხშირად იტაცებენ "ბოევიკების" ნათესავებს, განსაკუთრებით კი, ქალებს. ამ გატაცებების მიზანი ის გახლავთ, რომ მებრძოლები აიძულონ, ჩაბარდნენ. მარტო შარშან, დეკემბერში ასლან მასხადოვის რვა ნათესავია გატაცებული და ისინი ამჟამად უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ითვლებიან. "მემორიალის" მონაცემებით, ისინი ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერის რამზან კადიროვის დაქვემდებარებაში მყოფი, ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებმა გაიტაცეს. არასამთავრობო ორგანიზაცია, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ამ მოვლენების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა რამზან კადიროვი "მამაცობისა და გმირობისთვის" რუსეთის გმირის ვარსკვლავით დააჯილდოვა.

ჩეჩნეთში ადამიანთა გატაცების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ორიოდ დღეში გაირკვა ასლან მასხადოვის ერთ-ერთი გატაცებული ნათესავის ბედი.

35 წლის მოვლადი აგუევი, რომელიც შარშან დეკემბერში გაიტაცეს, ჩეჩნეთის ნოჟაი-იურტის რაიონის შს განყოფილების მორიგის ინფორმაციით, საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება. მისივე თქმით, ჩეჩენთა ლიდერის ძმისშვილის ქმარს, მოვლადი აგუევს უკანონო შეიარაღებული ფორმირების ორგანიზება ედება ბრალად. **"ის ჩეჩნეთის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა ჯერ კიდევ 2004 წლის დეკემბერში დააკავეს, უახლოეს დღეებში აგუევს ბრალდებას წაუყენებენ,"** - აღნიშნა შს რაიონული განყოფილების მორიგემ.

*24 საათი*

# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

## ანკეტა

სახელი, გვარი..........................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........................................

საკონტაქტო ტელეფონი..........................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II". (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

USAID
ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring
The Eurasia Foundation Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# რეცეპტი ენერგეტიკისთვის – რეფორმები უნდა გაგრძელდეს

ექსპერტები თანხმდებიან, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტრუქტურა დღეს ყველაზე უფრო ახლოა იმ მოდელთან, რომელიც ენერგოსექტორის მომავალმა დონორებმა საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციების გზით დაგეგმეს. მიუხედავად ამისა, დარგში დღემდე ვერ მოხერხდა სუბიექტთა ურთიერთობების კომერციალიზაცია, რის მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორადაც ელექტროენერგეტიკის სოციალური დატვირთვა იქცა.

ამის გამო, დღის წესრიგში თავისთავად დადგა საკითხი: როგორ უნდა მოხდეს სექტორის შემდგომი განვითარება?

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს ელექტროენერგეტიკული სექტორის მოწყობის ორი ძირითადი და რამდენიმე შერეული ვარიანტი.

ძირითადი ვარიანტები სექტორის სრულ რეგულაციას და სახელმწიფო ვერტიკალში ინტეგრირებას ან პირიქით – დარგის სრულ დერეგულირებასა და კომერციალიზაციას გულისხმობს.

შერეული ვარიანტების შემთხვევაში კი შესაძლებელია, დარგში გარკვეული სეგმენტები რეგულირებად ნაწილში დარჩეს, ხოლო ნაწილი – ღია ბაზარზე "გაიშვას."

ექსპერტთა დიდი ნაწილის ვარაუდით, არსებობს საშიშროება, რომ საქართველოში ენერგეტიკის დარგის დერეგულირების შემთხვევაში, ელექტროენერგიის ტარიფის თვითდინებაზე მიშვება და, შედეგად, უკონტროლო მატება მოხდება.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ტარიფს ბაზარი თავად დაარეგულირებს – ტარიფის მატება ხანმოკლე იქნება, მოგვიანებით კი, კონკურენტული გარემო კომპანიებს ტარიფის შემცირებისკენ უბიძგებს.

თუმცა, ექსპერტთა ნაწილის აზრით, ტარიფის "გაშვება" ძალიან სარისკოა დღევანდელი საქართველოს პირობებში, როცა ქვეყანაში ჭარბადაა სოციალური პრობლემები და, ამავდროულად, ქვეყნის მთლიანი კაპიტალბრუნვა ახლოსაც ვერ მივა გავლენიანი კორპორაციული თანხების ოდენობასთან. ამ შემთხვევაში, მათი აზრით, ელექტროენერგეტიკული ბაზრის უპირობო გახსნამ, შესაძლოა, კაპიტალის არაკომერციული მიზნით მოზღვავება და ბაზარზე უმართავი პროცესების წარმოშობა გამოიწვიოს. ეს, ამ ეტაპზე, განსაკუთრებით საშიშია საქართველოსთვის, რადგან არსებული საკანონმდებლო ბაზა ელექტროენერგეტიკულ ბაზარს მონოპოლიზაციისგან ვერ იცავს.

ექსპერტთა ამ ნაწილის აზრს, სავარაუდოდ, ენერგოსექტორის ოფიციოზიც იზიარებს და, ამის გამო, მთავრობას ერთგვარი შუალედური – კომპრომისული ვარიანტების ძიება უწევს. იმის გამო, რომ სოციალურად დაუცველ ფენებს ელექტროენერგიის ტარიფი დამატებით ტვირთად არ დააწვეს მხრებზე, მთავრობა ენერგოსექტორის დერეგულირებას არ გეგმავს.

ამ ვითარებაში საქართველოს ენერგეტიკა რეფორმების გზაზე სადღაც შუაში გაჭედილ სუბიექტს წააგავს, რომელსაც აქვს კონკურენტული ენერგოსექტორის მახასიათებელი უწყებები – ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, სახელმწიფო ვერტიკალიდან საპრივატიზებოდ გამოყოფილი (ნაწილობრივ, უკვე პრივატიზებული) გენერაციის ობიექტები და კომერციალიზებული სადისტრიბუციო სექტორი რომლის გიგანტური სეგმენტიც ("საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია") ჯერჯერობით, ისევ სახელმწიფო საკუთრებაშია.

გენერაციის ობიექტების პრივატიზებაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია. "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" კი საპრივატიზებოდ ამერიკელი მენეჯერები ამზადებენ, რაშიც საალრიცხვო სექტორის მოწესრიგება და კომპანიის გამთლიანების გზით მისი "მაზანდის აწევა" იგულისხმება.

სადისტრიბუციო ბაზრის გამთლიანების პროცესში, შესაძლოა, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიისთვის" აჭარისა და კახეთის ენერგოდისტრიბუციო აქტივების შემატებაც გახდეს საჭირო. ეს, ჯერჯერობით, რთული თემაა, რადგან "აჭარის ენერგოკომპანიაც" და "კახეთის ენერგოდისტრიბუციაც" ცალკე იურიდიული სუბიექტებია და, ამდენად, მათი აქტივების თამამად განკარგვის საშუალება მთავრობას, ამ ეტაპზე, არ გააჩნია. ამ ვითარებაში, შესაძლოა, სადისტრიბუციო ბაზრის გამთლიანება მისი ერთიანი მმართველის ხელში კონსოლიდირების გზით მოხდეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აჭარისა და კახეთის სადისტრიბუციო ბაზარზე "პი-ეი კონსალტინგის" მენეჯმენტის შესვლის თაობაზე კონსულტაციები უკვე დაწყებულია.

პარალელურად, დადებითი ძვრები შეინიშნება აღრიცხვიანობის კუთხით. მართალია, "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" გამრიცხველიანება საშემოდგომო რეგიონები, ჯერჯერობით, აბონენტების დონემდე არა აქვს ჩატარებული, "საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" გრძელდება და მალე საბითუმო გამრიცხველიანების პროცესი ბევრად უკვე დასრულებული იქნება.

შედეგად, ენერგოსექტორს აქვს პერსპექტივა, კომერციულად მომგებიან დარგად იქცეს. თუმცა, დარგი ჯერ ისევ რეგულირებადი ეროვნული კომისიის სემეკ-ის მიერ, ხოლო მის პოლიტიკას ოფიციალური უწყება – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო წარმართავს.

დარგს აქვს სეგმენტი, რომელიც სტრატეგიული ობიექტების ნუსხაშია შესული და მისი გასხვისება არ იგეგმება. ესაა "სახელმწიფო ელექტროსისტემა", რომელიც საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის "მთავარ ძარღვად" არის აღიარებული და რომელსაც ირლანდიური "ი-ეს-ბი-აი" მართავს. ეს სტრუქტურა შემოსავლებს ელექტროენერგიის გატარებისა და დისპეტჩერიზებისთვის ტარიფით გათვალისწინებული მარჟიდან იღებს და, საჭიროდ, ახლო მომავალშიც ამ გზით მიიღებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ენერგეტიკის ნამდვილი "მთავარი ძარღვი", ანუ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები – რუსეთთან მაკავშირებელი "კავკასიონი", ქვეყნისშიდა "იმერეთი", "ქართლი-1" და "ქართლი-2" ხაზებად უკვე რუსეთის ენერგოგიგანტის "რაო ეეს როსიის" საკუთრებაა.

იმის გათვალისწინებით, რომ "რაო ეეს როსია" საქართველოში თბოგენერაციის მნიშვნელოვან სეგმენტს – "თბილსრესის" მეცხრე და მეათე ენერგობლოკებს, ელექტროსადგურებს "ხრამჰეს-1"-სა და "ხრამჰეს-2"-ს, აგრეთვე, თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელს "თელასს" ფლობს, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ კომპლექსზე მისი გავლენა უკვე სახეზეა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენერგოსექტორის სტრუქტურიზაციის "იდეალური გეგმა" ვერ განხორციელდა და ეკონომიკის ყველაზე რენტაბელური დარგი მოუქნელ მანქანად იქცა. ამ ვითარებაში კი, ბუნებრივია, ბევრი რამ არის დამოკიდებული მთავრობის მიერ არჩეულ რეფორმატორულ კურსსა და მისი განხორციელების კონკრეტულ გზებზე. თუ მთავრობამ დარგის საბოლოო მოდელის მისაღებ გარანტიებზე არჩევანი ახლავე არ შეაჩეროს და დარგი მონოპოლიების უკონტროლო გავლენისგან შესაბამისი კანონმდებლობით არ დაიცვა, მომავალში ენერგეტიკა, შესაძლოა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე უცხო ზეგავლენის ერთ-ერთ ყველაზე მოქნილ ბერკეტად იქცეს.

# "პი-ეი კონსალტინგი" "ზამთრის გათბობის პროგრამას" აჭარაშიც მოემსახურება

დღეს ბათუმში "პი-ეი კონსალტინგი" საინფორმაციო ცენტრს ხსნის. ცენტრის მიზანია, მომსახურობის ამერიკულ დახმარებას, საქართველოს მოსახლეობისთვის "ზამთრის გათბობის პროგრამის" ნიადაგზე ერთჯერად ტრანშში, რომელიც აჭარის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საშუალებას მისცემს, ზამთარში მომხმარებული ელექტროენერგიის საფასური გადაიხადოს.

როგორც "24 საათი" უკვე წერდა, 15 ათას სოციალურად დაუცველ ოჯახს დენის საფასურს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და აჭარის მთავრობა ერთობლივად გადაუხდის.

თითოეულ ოჯახზე ყოველთვიური დახმარება 30 ლარით განისაზღვრება. სოციალურად დაუცველი ოჯახების გარდა, დახმარებას სამოცდაათამდე ორგანიზაცია – სამედიცინო დაწესებულებები, მოხუცთა თავშესაფრები და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლები მიიღებენ.

პროექტი, ჯამში, 564 ათასი ლარი დაჯდება, საიდანაც 300 ათას ლარს აშშ-ს მთავრობა დაფინანსებს. ამ ეტაპზე დახმარებით სულ 14 800 სოციალურად დაუცველი ოჯახი და 69 დაწესებულება ისარგებლებს.

აჭარის მოსახლეობისთვის "ზამთრის გათბობის პროგრამის" ადმინისტრირება პროგრამის დონორები – აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო და აჭარის მთავრობა "საქართველოს გაერთიანებულ ენერგოკომპანიის" ამჟამინდელ მმართველს, ამერიკულ "პი-ეი კონსალტინგს" ანდობენ. ეს ნიშნავს, რომ "აჭარის ენერგოკომპანიამ", რომელიც აჭარის ტერიტორიაზე დენის განაწილებით არის დაკავებული, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და პროგრამის უფლებამოსილი ბენეფიციარების ნუსხას "პი-ეი კონსალტინგს" შეუთანხმებს.

"პი-ეი კონსალტინგი" ამ ნუსხის საბოლოო ვარიანტს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ხელთ არსებული, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ძველი სიისგან, აჭარის რაიონული სოციალური სამსახურების მიერ მიწოდებული სიისა და აჭარის სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამონათვალისგან შეადგენს.

ახალ საინფორმაციო ცენტრში, რომელიც ბათუმში დღეს გაიხსნება, მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელ ოჯახებს გრძელება შეღავათება. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობას "აჭარის ენერგოკომპანიასთან" პრობლემები შეექმნება, ეს საინფორმაციო ცენტრი მიიღებს მოსახლეობის საჩივრებს. "პი-ეი კონსალტინგი" იმედოვნებს, რომ პროგრამა თავიდან ბოლომდე გამჭვირვალედ წარიმართება. მისი განხორციელების მონიტორინგს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო და აჭარის ხელისუფლება ერთობლივად აწარმოებენ.

მანამდე კი, "აჭარის ენერგოკომპანიამ" საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლის საკითხის განხილვა სთხოვა. რეაბილიტაციის რეჟიმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსთა სამინისტრომ აჭარის ენერგოკომპანიის ამ რეჟიმში ფუნქციონირების წინადადებას მისცა, საწარმო ნებით მოვალეებისაგან ვალებს ხუთი წლის განმავლობაში გადაიხდის, შემდეგ კი, ათი წლის მანძილზე, ვალის რესტრუქტურიზაცია მოხდება.

საბითუმო ბაზრის შეფასებით, კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლა მხოლოდ დადებით შედეგებს მოიტანს, რადგან მას საშუალება მიეცემა, თანხები ქსელის სარემონტო სამუშაოებსა და დენის გადაწოდების დანაკარგების შემცირებას მოახმაროს. ეს, ბუნებრივია, თანხების ამოღების მაჩვენებლებს და სისხ-ის სატრანსფორმაციო ანგარიშზე ფინანსური ნაკადის შედინებას თავისთავად გაზრდის. საბითუმო ბაზარი კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმში გადასვლის უფლებას მხოლოდ ფინანსური ანალიზის წარმოდგენის შემდეგ მისცემს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, პარალელურად, აჭარაში ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით, "აჭარის ენერგოკომპანიას" და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შორის უკვე დაიდება თემა აჭარაში "პი-ეი კონსალტინგის" მენეჯმენტის შესვლის თაობაზე. მოლაპარაკების დეტალები, ჯერჯერობით, შეთანხმებული არ არის.

# დააკმაყოფილებს თუ არა სემეკ-ი "თელასის" მოთხოვნას

*გასული კვირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ მოვლენად საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასის" სატარიფო განაცხადის განხილვა იქცა. განაცხადის თანახმად, "თელასი" კომისიას თბილისელი მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის ტარიფში თავისი წილის 7.207 თეთრიდან 11.140 თეთრამდე გაზრდას სთხოვს, თუმცა თანახმაა, მოსახლეობამ დენის საფასური გაზრდილი ტარიფით მხოლოდ 2006 წლიდან გადაიხადოს. კომისიას განხილვა გასულ კვირაში არ დაუსრულებია. ამ საკითხზე მსჯელობა მომავალი სხდომისთვის გადადდა.*

"24 საათი" უკვე წერდა, რომ თბილისის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასი" არ მალავს, რომ მომავალი თბილისისთვის დენის ტარიფის გაზრდას აპირებს. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან (სემეკ) კომპანია მის მიერ გაწეული ხარჯების დამტკიცებას დაჟინებით ცდილობს.

ეს ხარჯები, რომლებიც სამომავლოდ დენის ტარიფში უნდა აისახოს, არსებულ ტარიფს თითქმის 4 თეთრით გაზრდის. თუ კომისიამ "თელასის" მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაშინ ტარიფის ზრდის აუცილებლობის წინაშე საქართველოს ელექტროენერგეტიკის მთავარი კანონმდებელი, სულ რაღაც, ერთ წელიწადში დადგება.

ამასთან, "თელასს" ტარიფის საშუალებით მანიპულირების დამატებითი საშუალება მიეცემა, რადგან გასული ხარჯების ამოღებას, ის მოთხოვნის სრული უფლებაც ექნება.

ამ ეტაპზე "თელასი" ცდილობს, რომ ტარიფის გაზრდის არაპოპულარული თემით საზოგადოება არ გააღიზიანოს, და აცხადებს, რომ ტარიფის გაზრდას არ ითხოვს. კომპანიის წარმომადგენლები სემეკ-ის წევრებს იქვე მიუთითებენ, რომ კომისიამ შეუძლია, "თელასის" გაზრდილი წილი კომპენსირება ტარიფში სხვა კომპონენტების შემცირებით არის შესაძლებელი.

"ჩვენთვის ახლა საკმარისი იქნება, რომ კომისიამ მას ძველი ტარიფი – 12,18 თეთრი დაუტოვოს, ოღონდ, კომპანიის მიერ გასულ წლებში გაწეული ხარჯები ოფიციალურად ცნოს," – ამბობენ "თელასში" და, იმ შემთხვევისთვის, თუ კომისია მათ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, საერთაშორისო სასამართლო ინსტანციების იმუქრებიან.

მარტივად რომ ვთქვათ, "თელასი" თბილისელ მომხმარებლებისთვის არსებულ ტარიფს ძალაში დატოვებს, თუ იმის გარანტიას მიიღებს, რომ მომავალში თბილისელთათვის დამატებითი თანხების მოთხოვნის გარანტია განადლდება ექნება.

ამასობაში სემეკ-ის პოზიციები არც ისე მყარია. საქმე ის გახლავთ, რომ "თელასი" საკუთარი ხარჯების დემონსტრირებისას თავისი აუდიტორის დასკვნებს ეყრდნობა. სემეკ-ს კი, ჯერჯერობით, არ გაუკეთებია ისეთი საკუთარი განსჯა რომელიც "თელასის" აუდიტორთა მონაცემებს "გადაფარავს".

მაშინ, როდესაც კომისიას გადაწყვეტილების მიღება უჭირს, "თელასის" საქციელს არ იწონებენ დედაქალაქის საკრებულოში და აპირებენ, კომპანიის შორის მიმავალი მიზნების გასაცნობიერებლად მათ ხელთ არსებული ფაქტები აამოქმედონ. "დღემდე იმალებოდა, რომ "თელასი" მომგებიანი ორგანიზაციაა. შეიძლება ითქვას, რომ "თელასი" არაკეთილსინდისიერად იქცევა, ხოლო სემეკ-ი, ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად უნიათოა და, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ნაცვლად, "თელასის" მოთხოვნებს აღვირზე გამომშვებული მიჰყვება," - მიიჩნევს თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და საინვესტიციო კომისიის თავმჯდომარე დავით იოსელიანი და აცხადებს, რომ მიღებული იქნება ყველა ადეკვატური ზომა, რათა თბილისში ტარიფი კიდევ არ გაიზარდოს.

თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა ბერკეტებს ამოქმედებს აპირებს "თელასის" აქციათა 25 პროცენტის მფლობელი თბილისის მთავრობა, რომელიც "თელასის" მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას თავად კომპანიისგან იღებს.

სამაგიეროდ, კონკრეტული წინადადებები აქვს ენერგეტიკის მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივ დამცველ დავით ებრალიძეს. ამ "ბრძოლაში წესების გარეშე" ის თბილისში დენის ტარიფის დაკავებას ითხოვს. ებრალიძე მიიჩნევს, რომ მეთოდოლოგია, რომლითაც "თელასი" ტარიფის დათვლისას სარგებლობს, უკანონო და, ამდენად, გაუმართლებელია. შესაბამისად, ის სემეკ-ს ტარიფის დაანგარიშების სწორ მეთოდოლოგიაზე გარწმუნებას კარნახობს, რის გამოყენების შემთხვევაშიც დღევანდელი მომხმარებლები ტარიფის უკონტროლო ზრდისგან დაზღვეული იქნებიან.

# ენერგობაზრის სუბიექტთა რიცხვმა იმატა

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წევრთა რაოდენობა იზრდება. ენერგობაზრის ადმინისტრირებელი საბჭოს 10 თებერვლის სხდომაზე საბჭოს წევრებმა განიხილეს შპს "ნიკორას" განაცხადი სისხ-ში პირდაპირ მომხმარებლად გაწევრიანების შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, სისხ-ის ადმინისტრირებელმა საბჭომ "ნიკორას" განაცხადი დადებითად დააკმაყოფილა. ენერგოსაბითუმო ბაზრის ადმინისტრირებლმა საბჭომ ბაზრის წევრობა აღუდგინა სამ მცირე გამანაწილებელ ლიცენზიანტს. ესენია: "პატარა კახი," "გორგოტა" და "აბალაკი," რომლებსაც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე განაწილების ლიცენზია ჩამოერთვათ და, სხვა მცირე ლიცენზიანტებთან ერთად, ავტომატურად გაუუქმდათ სისხ-ის წევრობის სტატუსიც. აღნიშნულ კომპანიებს გასაჩივრების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლომ 2004 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სემეკ-ის გადაწყვეტილება მათთვის განაწილების ლიცენზიების ჩამორთმევის თაობაზე 1 ივლისიდან შეჩერებულად ცნო, რის შემდეგაც კომპანიებმა "პატარა კახი", "გორგოტამ" და "აბალაკმა" მცირე გამანაწილებელი კომპანიების სტატუსით საქმიანობა გააგრძელეს. შესაბამისად, საბაზრო წესებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში მათთვის სისხ-ის წევრობის აღდგენის საკითხი დადგა, რაც 10 თებერვლის ადმინისტრირებელი საბჭოს სხდომაზე დადებითად გადაწყდა.

# ენერგობაზარზე ახალი ლიმიტები ამოქმედდა

საბითუმო ბაზარმა 15 თებერვალიდან ელექტროენერგიის მომხმარების შეზღუდვის ბრძანება გასცა. შეზღუდვის აუცილებლობა ენერგობალანსში დეფიციტმა წარმოშვა. თებერვლის პირველ ნახევარში ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის მოსალოდნელი რაოდენობა ხარჯებზე ნაკლები აღმოჩნდა, რის გამოც ბაზარი იძულებული გახდა, ენერგოკომპანიებისთვის დენის მიწოდების შეზღუდვა ებრძანებინა. საბითუმო ბაზრის აღნიშნული, რომ ლიმიტები არსებული რესურსების გათვალისწინებით და ენერგოკომპანიების მხრიდან ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მაჩვენებლების მიხედვით დადგინდა.

შედეგად, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" დედაქალაქის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასს" ელექტროენერგიის მიწოდება 70 მეგავატით შეუზღუდა. ამის შესახებ "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" "თელასს" შეტყობინება პარასკევს დილით გაუგზავნა. თუმცა, ეს შეტყობინება მოულოდნელი აღმოჩნდა "თელასისთვის", რომელმაც განაცხადა, რომ კომპანიამ საბითუმო ბაზარში თვის დავალიანების 9,7 მილიონი მეგავატი ელექტროენერგიის მიწოდებაზე გააკეთა განაცხადი. როგორც "თელასში" ამბობენ, ათი დღის განმავლობაში კომპანია ელექტროენერგიას ბაზარში გაყიდული ენერგიის განცხადების შესაბამისად იღებდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო შეტყობინება, რომ ბაზარმა კომპანიის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მას, 9,7 მილიონი მეგავატის ნაცვლად, 9,1 მილიონი დაუმტკიცა.

შედეგად, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" მიერ დედაქალაქში დაუგეგმავი შეზღუდვები განახორციელდა, რაშიც თბილისის ელექტროგამანაწილებლმა კომპანიამ, ტრადიციულად, თავად "სახელმწიფო ელექტროსისტემა" დაადანაშაულა. "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" კი შეზღუდვების მიზეზად "თელასის" მხრიდან ლიმიტების პერმანენტულ გადაჭარბებას ასახელებენ. მათი ინფორმაციით, "თელასი" მისთვის დადგენილ ლიმიტს სწორედ იმ სადღეღამისო 70 მეგავატით აჭარბებს, რომელიც მას ბაზრის მიერ ახლად დამტკიცებული ბალანსის მიხედვით ეკლება.

შეზღუდვა შეეხო "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასაც", რომელიც, დადგენილი ლიმიტების თანახმად, 4,78 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. "აჭარის ენერგოკომპანიისთვის" დაგეგმილია 0,915 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მიწოდება, "კახეთის ენერგოდისტრიბუციისთვის" კი – 0,24 მილიონი კილოვატსაათის.

როგორც საბითუმო ბაზარში აცხადებენ, შეზღუდვები 15 თებერვლიდან გავრცელდება. 15 თებერვლისთვის კი "თბილსრესში" დაგეგმილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მე-3 ენერგობლოკის ჩართვა, რაც მდგომარეობას გამოასწორებს.

ჩვენი "ძმები" ბასკები



B3

თბილისის "დინამოს" ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.



B4

ამერიკული ტრიუმფი ბრიტანეთში



B8

ბევრი ითქვა და დაიწერა პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოწყობილ შოუზე. ალბათ უნდა თქმულიყო და დაწერილიყო. მაგრამ ვითარება მაინც იმსახურებს უფრო ღრმა დაფიქრებას, რადგან ყველაზე უკანასკნელმა ჯიბგირმაც იცის, რომ მისი შავი საქმეებისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი ხალხმრავალი საზეიმო შეკრებებია. ამასთან, არა აქვს






ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

მნიშვნელობა, ხალხი აგინებს სანახაობას, თუ აღფრთოვანებულია: მთავარია ყურადღება მოადუნოს.

ოჰ, არა, სულაც არ ვადანაშაულებ ვინმეს, მხოლოდ ერთი რამის აღნიშვნა მსურს: ძალიან ბევრ საბაბს გვაძლევენ საერთო ფონზე საკუთარი თავი გემოვნებიან და ინტელექტუალურ ადამიანებად ვიგრძნოთ. აქ კი სახიფათოა, რაღაც მნიშვნელოვანი არ დაიკარგოს, მოულოდნელად არ ამოგვაცალონ ჯიბიდან. მერწმუნეთ, მაშინაც კი, თუ გავა ხანი და დამნაშავეებს "სარჩობელაზედ" ვიხილავთ, სასიხარულო ამაში არაფერი იქნება...

ამიტომ დღევანდელ მიმოხილვას "24 საათის" ერთი შეხედვით თითქოსდა უმნიშვნელო წერილით დავიწყებ: **ბექა სისაური**, 7 თებერვალი, *რელიგიური დაპირისპირება სკოლაში*. ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში ერთ-ერთი პროტესტანტული აღმსარებლობის წარმომადგენელმა ცოლად შეირთო თავისი თანაკლასელი გოგონა. ამას მოჰყვა ის, რასაც გვამცნობს დილიკაურის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, თვითონაც პროტესტანტი: **"ბიოლოგიის მასწავლებელი ნაილი ოდიკაძე გვეუბნებოდა, რომ თითქოს ჩვენი პრინციპია, მაინცდამაინც მართლმადიდებლებზე ვიქორწინოთ და ამით ჩვენი მრევლი გავამრავლოთ. იგი აფრთხილებს გოგონების მშობლებს, რომ მათმა შვილებმა ჩვენთან არ იმეგობრონ. რადგან გოგონების სარწმუნოებრივ მრწამსს თურმე საშიშროება ემუქრება"**. თვით ბიოლოგიის მასწავლებლის პასუხი განმაცვიფრებლად უტიფარია: **"მე ამ ქორწინების შესახებ არ ვიცოდი. რომ მცოდნოდა, ჩავერეოდი, რათა ქორწინება არ შემდგარიყო... რელიგიურ ნიადაგზე კი ბავშვებისათვის არასოდეს შეურაცხყოფა არ მიმიყენებია"**.

სულ მცირე, ორი შეკითხვა შეიძლება დაისვას. 1) რატომ უნდა ნიშნავდეს სარწმუნოებისადმი ერთგულება პარალელურად იმასაც, რომ საკუთარ მოყვასებს ისევე განიხილავდე, როგორც ძაღლებს ან ცხენებს: ოღონდ ჯიში არ აიჭრას! თურმე მართლმადიდებლობა გენეტიკური ნიშანია და არა ღვთის შექმნილი ადამიანის თავისუფალი არჩევანი. 2) ნეტა რა ჰგონია ამ მასწავლებელს შეურაცხყოფა? — ალბათ დედის გინება. თუმცა, რაც შეეხება შეურაცხყოფას, მისი კვალიფიკაცია განსაკუთრებით ძნელი ხდება საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიის დაწყების შემდეგ. მართლაც, დეპუტატი პარლამენტის თანამშრომელთა წინაშე უსამართლოდ და უწყალოდ სცემს დაცვის თანამშრომელს, ამის შემდეგ დამნაშავეს ღიმილით უქნევენ თითს, დაზარალებულს კი არწმუნებენ, არ იჩივლოს. ეჰ, რამდენი გვინახავს ასეთიც და ამაზე უარესიც! ამასაც გაუძლებდა ქართველი კაცის ჭირთა დამთმენი ბუნება. მაგრამ როდესაც დამნაშავეს საჯაროდ აცხადებენ ჩვენი დროის გმირად (ბოდიში მოუხდია თურმე!), ეს უკვე მართლაც ავსებს ჩვენი მოთმინების უძირო ფიალას. კიდევ კარგი, ჯერ მომხდარის გამო დაბნეულები და გაოგნებულები ვართ, მაგრამ სულს მოვითქვამთ და იმასაც გავიხსენებთ, რა ზარ-ზეიმით აწერდნენ ხელს ეს ჩვენი რჩეულები სადეპუტატო იმუნიტეტის გაუქმებას.

ამას მართლაც გაიხსენებს ხალხი. ჩემი პირადი მეხსიერება კი ოდნავ უფრო დატვირთულია და შემიძლია ისიც გავიხსენო, როგორ გვეუბნებოდა პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, თუ ეს თქვენი სემინარისტები მართლაც მომხრენი არიან სამართლებრივი სახელმწიფოსი, რატომ არ იჩივლებენ, როგორც წესი და რიგიაო! ახლა კი გვაქვს პასუხი: არ იჩივლეს და მართლებიც გამოდგნენ, რადგან თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, სამართლებრივ გადაწყვეტას არა თუ შინაგანად არ უჭერთ მხარს, არამედ გარეგნულადაც აკანონებთ...

როგორც არ უნდა განვიხილოთ მთელი ეს დავიდარაბა, სამართლებრივ სახელმწიფოსთან მას იმდენივე კავშირი აქვს, რამდენიც ალბათ თეთრ კიტელსა და აქსელბანტებს იუსტიციასთან. არა, არა! — კარგად დაუკვირდით, რასაც ვამბობ: მიხეილ სააკაშვილი მართლაც არაჩვეულებრივი მინისტრი იყო იმ წლებში, მაგრამ სამინისტროს კარების წინ დაყენებული ვოდევილურად გამოწყობილი ყარაული მხოლოდ ჩრდილავდა საზოგადოების თვალში მის მიღწევებს. ახლაც ისე გამოვიდა, რომ პრეზიდენტმა გაცილებით უფრო წარმატებით შეუქმნა ფონი დავით გამყრელიძეს, ვიდრე შეძლო საკუთარი მიღწევების წარმოჩენა. ამ უკანასკნელთა სახე საერთო ორომტრიალში იკარგება.

მაგრამ შინაარსსა და ფორმას შორის უთანხმოება, რომლის შესახებაც ასევე ბევრი ითქვა გასულ კვირას, არც ისე უწყინარი რამაა. ერთი სიტყვით, სააკაშვილი საუცხოო მზარეულია, მაგრამ ცდილობს თავისი წვნიანი საცერით მოგვართვას სუფრაზე. ასე რომ, ცარიელი კარტოფილები გვრჩება, დაღვრილი წვენის ადგილზე შექმნილ სიცარიელეში კი სულ სხვა რამ იბუდებს. კიდევ უარესი — სხვა რამ იქმნება.

აი, თუნდაც ეს უსაშველოდ გრძელი ტექსტი ვნახოთ, რომელსაც "24 საათი" ამ ბოლო კვირის განმავლობაში სუფრის კოვზებით კი არა, მართლაც რომ ჩაფებით გვასმევდა — ყოველდღე თითო-თითო გვერდს. და ეს შოკური თერაპია ჯერაც არ დასრულებულა. შოკისა რა მოგახსენოთ, თავისთავად, **ვიქტორ რცხილაძის** *ორი საქართველო* მართლაც ერთი დიდი სისულელეა, მაგრამ მისი მთავარი ძალა სიგრძეშია. როგორიც არ უნდა იყოს, საკმაოდ გრძელი ტექსტი ყოველთვის შეიცავს დისკურსის შესაქმნელად საჭირო რაოდენობრივ რესურსს. ასე შექმნა, მაგალითად, სოლჟენიცინის, თავისთავად, ორდინარულმა ნარკვევმა "არქიპელაგი გულაგი" რუსული ანტიტოტალიტარული დისკურსის მნიშვნელოვანი წილი.

კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორმაც იცის, რომ მრავალსიტყვაობა მისი უმთავრესი, უფრო მეტიც, ერთადერთი იარაღია. რადგან ფორმა ნამდვილად ძნელი გასარჩევია: თავიდან ავტორი გვთავაზობს პოსტულატს — არსებობს ორი საქართველო, თეთრი და შავი, მერე აგებს საფრთხობელას სახელად "ისლამი" (თურმე "შავი საქართველო" ისლამის მიმართ ლოიალობა ყოფილა), მერე თავგანწირვით ექვეთება ზვიად გამსახურდიას ისტორიოსოფიულ შეხედულებებს და რუდოლფ შტაინერის მოძღვრებას შეუტევს (ამ დროისთვის "ორი საქართველოს" კონცეფცია უკვე თითქმის მიტოვებულია), მერე კვლავ გვიმტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდიას არაფერი გაეგებოდა ისტორიისა და ენათმეცნიერების, მერე მელ გიბსონის ფილმს იცავს ქართველი ებრაელების კრიტიკისაგან, მერე ნოდარ ნათაძესა და აკაკი ბაქრაძეს ესხმის თავს... "24 საათი" კი ყოველი ამგვარი პორციის შემდეგ წარბშეუხრელად გვამცნობს: **"გაგრძელება შემდეგ ნომერში"**.

დავანებოთ თავი იმას, რომ ავტორი, ძირითადად, ღია კარის მტვრევითაა დაკავებული (ნეტა ვის უნდა აინტერესებდეს დღეს ანთროპოსოფიის კრიტიკა ან ნოდარ ნათაძის მტვერმოდებული წიგნის განხილვა?): აქ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საფრთხე იმალება, რომლის გამჟღავნება მხოლოდ თვითონ ავტორის პორტრეტის დადგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ტექსტი გადატვირთულია სხვადასხვა ციტატებით, ისტორიული და ლიტერატურული გადახვევებით, მრავლადაა ერთობ არაპროფესიულად შედგენილი ბიბლიოგრაფიული ცნობები. ყოველივე ამან უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ უაღრესად ერუდირებულ ადამიანთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში კი ავტორს ვერ მოუხერხებია საკუთარი ცოდნის მიმართ დამოკიდებულების გამომუშავება და როგორც ოდესღაც უკვე ვამბობდი სულ სხვა საბაბით, მისი პროფესიონალიზმი თითქმის მთლიანადაა დეტერმინირებული იმ საქონლით, რომელსაც დახლზე გამოფენენ ხოლმე თბილისში ყველაზე ინტელექტუალური წიგნით მოვაჭრენი — არტური და გრიშა (ანბანის მიხედვით). არა, ჰეგელის "ისტორიის ფილოსოფია", მოსკოვში 1935 წელს გამოცემული, სულ სხვა მხრიდანა აქვს ნაშოვნი, მაგრამ ეს არ შველის.

მაგალითად, რომელი მეცნიერული თვალსაზრისის საფუძველზე გვიმტკიცებს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია "სატანისტური" იყო? **"ცნობილი ჟ. დე მესტერი ასე აფასებდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას: რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის გილიოტინიზაცია, უნდა ყოფილიყო ინკვიზიცია"**. ჟოზეფ დე მესტრი (დე მესტერი კი არა!) კათოლიკე კონსერვატორი იყო და XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. რაც არ უნდა ცნობილი იყოს, ჩვენი ავტორი იმდენად მაინც ვერ იცნობს, რომ მისი გამონათქვამი მის პიროვნულ და ისტორიულ კონტექსტში განიხილოს. ან რას ამტკიცებს ეს გამონათქვამი? რომელი პასაჟიდანაა უწყალოდ ამოგლეჯილი?

უფრო ცხადი რომ გახდეს, აი, კიდევ ერთი მაგალითი: ავტორს მოჰყავს ინგლისის დედოფლის, ელისაბედ I-ის წერილი სულთან მურადისადმი, სადაც გვირგვინოსანი ქალბატონი თავის ადრესატს ასე ახასიათებს: **"დაუმარცხებელი და ყველაზე უფრო ძლევამოსილი დამცველი ჭეშმარიტი რწმენისა კერპთაყვანისმცემელთაგან"**. თურმე ნუ იტყვით და ავტორმა ელისაბედი ისლამისადმი სიმპათიებში ამხილა! სინამდვილეში კი ჩვენი ყოვლისმცოდნე მწერალი დენოტაციასა და კონოტაციას ვერ არჩევს ერთმანეთისგან, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ჰგონია, რომ ყოველ სიტყვას მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს და სიტყვები არც ერთად დგომისაგან იცვლიან ამ მნიშვნელობას და არც გარემოებებს ემორჩილებიან. მისი აზრით, ელისაბედს ასე უნდა მიემართა სულთნისთვის: "შე ურწმუნო და ურჯულო, ჭეშმარიტ ქრისტიანთა მტარვალო!". ამ შემთხვევაში ალბათ ელისაბედი ნიკოლოზ დვალთან ერთად რომელიმე კალენდარში მოიპოვებდა ადგილს, სამაგიეროდ, ჩვენი ეპისკოპოსები "ლინკოლნებითა" და "ლენდროვერებით" ვერ იგრიალებდნენ.

ამიტომაცაა ჩვენს ავტორს უჭირს მეტაფორული და რაციონალური ენის ერთმანეთისგან გარჩევა. დამტკიცება აღარ სჭირდება იმას, რომ დოსტოევსკიმ თავისი რომანის სათაური, "ეშმაკნი" პუშკინის ომონიმური ლექსის კვალობაზე შეარჩია. ეს გამოხატავს მის დამოკიდებულებას რევოლუციონერებისადმი, მაგრამ სულაც არ ნიშნავს, თითქოს დოსტოევსკიმ ერთხელ და სამუდამოდ დაამტკიცა, რომ მუშათა უფლებებისათვის მებრძოლი ადამიანები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით სატანის მსახურები არიან.

ასევე დავით გურამიშვილის "ქართლის ჭირიც" გამოხატავს ქართველი პოეტის პირად და, შესაბამისად, ქართველთა გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებას იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებისადმი, მაგრამ ვერ გამოდგება იმისთვის, რომ ჩვენ ამ დამოკიდებულების მიხედვით განვსაზღვროთ პოლიტიკა კავკასიელი ხალხების მიმართ. დიახ, ბატონო, ყოფილა საქართველოში ლეკიანობა, მაგრამ განა ეს საბაბია იმისათვის, რომ დღეს, მაგალითად, ჩეჩენ ლტოლვილთა ბედზე იმოქმედოს?

ოჰ, როგორი კოხტაპრუწაა ჩვენი ავტორი! მუსლიმთან თავისი ურთიერთობის გახსენება რომ დასჭირდა აუცილებლად დასძინა — "პროქართულად" იყოო განწყობილი. აბა, სხვანაირად როგორ შეიბღალავდა სულს! ანთროპოსოფს ელაპარაკება და იქვე გვამცნობს, ჩვეულებრივი კი არა, გულწრფელი ანთროპოსოფი იყოო. აბა, სხვანაირად ხომ არ გაისვრებოდა უსჯულოსთან საუბრით! თან არაორაზროვნად გვიმტკიცებს, რომ გულწრფელობა მეტად იშვიათი ხილია ანთროპოსოფთა შორის.

ყოველ წუთში გვესმის ბ-ნი რცხილაძისგან: "თავის დროზე მკაცრად გავაკრიტიკე", "მკაცრად დავგმე" და ა. შ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ნარცისია, მაგრამ რა ფასი აქვს ამ კრიტიკას? ადამიანს თავი მეცნიერად მიაჩნია და არ იცის, რომ ყოველგვარი კრიტიკა მეცნიერულ დისკურსში შეყვანას ნიშნავს. და რადგანაც მეცნიერული მეტაენის შესაძლებლობები მისთვის უცნობია, პირდაპირი მნიშვნელობით "აკრიტიკებს" ზვიად გამსახურდიას ტექსტებს და სინამდვილეში კარს უხსნის მათ იქ, საიდანაც მათი გაგდება სწადია.

მაგრამ განა მარტო კელტებზე, პელაზგებსა და წმინდა გრაალზე ბოდვას ეხსნება მეორე სუნთქვა ბ-ნი რცხილაძის ტექსტით. მარტო ეს რომ ყოფილიყო, არც კი შევიწუხებდი თავს. საქმე გაცილებით უფრო მძიმედაა. რა საჭიროა თავის შეკავება? — ტექსტი საქართველოს კონსტიტუციის დარღვევაა, რადგან რელიგიური შუღლისკენ მოწოდებას წარმოადგენს. კერძოდ, ისლამის დემონიზაციას. ამას თვითონაც ამჩნევს და თავს იზღვევს: ისლამურ ქვეყნებთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს სახელმწიფოებრივ დონეზე და არა საეჭვო კავკასიური სახლის მეშვეობითო. თითქოს ხალხებს შორის ნორმალური ურთიერთობა მარტო ოფიციალური პროტოკოლით ამოიწურებოდეს. ბ-ნი რცხილაძე ლამის სიამაყით იხსენებს, მის ბავშვობაში (1947 წელს) ქვით ხელში როგორ გამოეკიდებოდნენ ხოლმე სოფლელი ბიჭები გზად მიმავალ ლეკებს. ნეტა რაა ამაში მოსაწონი? "საეჭვო" კავკასიური სახლი, ბ-ნო რცხილაძევ, სწორედ იმისთვის არსებობს, რომ საქართველოში არავინ არავის აღარ გამოეკიდოს ქვებით არც ეთნიკურ და არც რელიგიურ ნიადაგზე. ვისაც ჰგონია, რომ ადამიანებს შორის ცივილური ურთიერთობის დამკვიდრება "საეჭვოა", გაზეთში აქვეყნებდეს კი არა, "მარშრუტკაშიც" ჩუმად უნდა იჯდეს.

კიდევ ერთი: ავტორის აზრით, რახან წარსულში ზოგიერთ რუსულ სოფელში მამამთილი რძალთან ცხოვრობდა, რუსები ქრისტიანები კი არა, წარმართები ყოფილან. ამის დასამტკიცებლად ხან ტურგენევს იშველიებს, ხან როზანოვს და ხან გორკის, მაგრამ სხვისი ტექსტების წაკითხვის რცხილაძისეული უნარი ზემოთ უკვე ვაჩვენეთ. საინტერესოა, ქართველების ყოფაში ნაკლებს ხედავს წარმართულს? მაგრამ იმის დამტკიცება სწადია, რომ მხოლოდ ქართველებია ჭეშმარიტი ქრისტიანები, თანაც ეს ჭეშმარიტი ქრისტიანობა ქართველობასთანაა გაიგივებული.

სწორედ ამგვარი ბოდვა იკავებს ადგილს ჩვენს ირგვლივ, სწორედ ამგვარი მარაზმატული დისკურსის დამკვიდრებას უწყობს ხელს საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება, რომ შეწყდეს საზოგადოებრივი დისკუსია ეკლესიაში, კერძოდ, საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებზე. კიდევ ერთი განსხვავება ძველ ხელისუფლებასთან: ვერ ვიხსენებ, ედუარდ შევარდნაძეს ასე აშკარად, ღია ტექსტით დაემკვიდრებინოს რომელიმე ტაბუ — აი, თუ გნებავთ, ზემოხსენებული საცერის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნასვრეტი, რომელშიც ჩვენი ახლად წარმოქმნილი სახელმწიფოებრიობის წვნიანი ილვრება. თურმე ვიღაც-ვიღაცეები "ქულებს იწერენ" საპატრიარქოს კრიტიკით! ვინ არიან ნეტავ. რამდენადაც ვამჩნევ, ქულებს უფრო საპატრიარქოს ქება-დიდებითა და მის ირგვლივ ხელების სავსავით იწერენ.

მათ გაპარპაშებას უწყობს ხელს პრეზიდენტის ყურით მოთრეული "ბლაგოჩესტიე". შედეგად, "კურიერის" ექვსსაათიან გამოშვებაში გვესმის ქართველი მღვდლის შეურაცხმყოფელი არმენოფობიული გამოსვლა, ცხრასაათიან, ყველაზე მნიშვნელოვან გამოშვებაში კი სიუჟეტის ამ ფრაგმენტს ჭრიან.

არა, ბატონებო, "ქულების დაწერა" სულაც არ მსურს — მაინც ვერ გამოვიყენებ. მე გაცილებით უფრო მოკრძალებული მიზანი მაქვს — მხოლოდ ის მაინტერესებს, მას შემდეგ, რაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად კათოლიკოს-პატრიარქს აირჩევენ, ჩაითვლება თუ არა მდინარე იორდანეს ყოველწლიური წუთიერი აღმასვლა რევოლუციურ აღმოჩენად გეოლოგიის დარგში?

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# ერთსა და იმავე მდინარეში მეასედ...



ვგრძნობ გარდაქმნების აუცილებლობას, მაგრამ, ამავდროულად, ისევ და ისევ "ვრჩები" იმ საზოგადოების ნაწილი, რომელიც თვლის რომ თურმე უნარშეზღუდული ბავშვები ცენტრიდან მოშორებით უნდა სახლობდნენ.

2003 წელს ტელევიზიაში ვმუშაობდი. ერთ-ერთი სიუჟეტის დასამზადებლად სწორედ უნარშეზღუდულ და დიაბეტიან მოზარდთა რეაბილიტაციის ფონდს ვესტუმრე, რომელიც მუსკომედიის თეატრის რამდენიმე ოთახს იკავებდა. ჯერ კიდევ მაშინ, მსახიობი და ამ პროექტის ორგანიზატორი გოგა პიპინაშვილი გასახლების ალბათობაზე საუბრობდა და სწორედ მისგან შევიტყვე რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა შენობაში უწყლობა იყო. მაშინ როცა ART HALL-ის სტუდიაში პირველი ემოციური შთაბეჭდილება, დიაბეტიანი ბავშვების დაუოკებელი წყურვილის სურვილი გახლავთ, - კოკა-კოლის ბოთლებში დაგროვილ წყალს გადამეტებული სიხშირით რომ ესწრაფვიან.

არტ-სტუდია თეატრალურ ცხოვრებასთან ერთად, ჟურნალისტიკის სფეროსაც მოიაზრებს, სადაც რადიო და პრესა იგულისხმება. იქ არ არსებობს დიფერენცირება უნარშეზღუდულსა და ჯანმრთელს შორის, რადგან სცენაა საერთო. მათ სტუდიას აქვს ჰიმნი. ჩემი სტუმრობის დღეს კი სადღესასწაულო ტორტიც იყო, დაარსების შვიდი წლის აღსანიშნავად, თუმცა ტკბილეული ძალიან ცოტას ეჭმეოდა.

მოკლედ, ხდება ხოლმე ასე. საზოგადოება სხვადასხვა შესაძლებლობების ადამიანებისაგან შედგება. მთავარი ასეთ დროს დამოკიდებულება გახლავთ. გამაოგნებელია, მაგრამ ერთსადაიმავე მდინარეში ასჯერ, უთავმოყვარეოდ შესულ საზოგადოებას, რომელმაც ვერც მდინარეები აარჩია სათანადოდ (ნევა, ნილოსი, მტკვარი), ანგარებიანი ქორწინებით პატივაყრილსა და "ინდუსტრიის მიერ საბოლოოდ დამხობილს", ალბათ, აღარც მოეთხოვება ღირსების შეგრძნება.

ასე იყო ყოველთვის: ინვალიდის ეტლს რომ შევნიშნავდით თეატრში, იმ წამსვე თავს იჩენდა დისკომფორტი. ტრანსპორტსა და ქუჩაში ხომ საერთოდ თვალს ვერ ვუსწორებთ მთლიანობადარღვეულ სხეულს. ჩვენთვის ეს მძიმეა!

არადა, ერთადერთი, რაც ასეთ დროს ავადმყოფს მდგომარეობას უმსუბუქებს არის უშუალო კონტაქტი და იმ საზოგადოებაში გაწევრიანება, სადაც ასე ძნელი აღმოჩნდა მოხვედრა. უშუალო კონტაქტი, ყველაზე ეფექტურ საშუალებად, აღიარეს იმ ქვეყნებმაც ასე რომ შევხარით. კონტაქტი და არა სტანდარტები.

ადამიანს საკუთარი გამოცდილებით დაგროვილი ჭეშმარიტებანი ისე ღრმად სწამს, რომ აღარც აინტერესებს რეალურად, რატომ არ ბრუნდება მდინარე უკან და არ ერთვის სათავეს; რატომ არ ახტება მოწყვეტილი ვაშლი უკან, რომ თავისსავე ტოტს შეეუღლოს. ასე იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არ გვყოფნის მოთმინება, რათა ეს ყველაფერი ვირწმუნოთ.

ასეთივე ძნელი დასაჯერებელი აღმოჩნდა ის, რომ უნარშეზღუდულ და დიაბეტით დაავადებულ ბავშვებს, გულისგადასაყოლებლად თეატრი რომ მოუწყვიათ, ქუჩაში დარჩენით კი არა, უარესი - ცენტრიდან მოშორებით ემუქრებიან.

მალე ორი წელი გახდება, რაც ART HALL ყურადღების მიქცევას ცდილობს, მაგრამ უშედეგოდ. სიხარბის ათასნაირი ნაკვალევი ჩნდება იმათ სახეზე - არანაირი სასწაულის დასაჯერებლად რომ არ არიან მზად. ჩვენ ვერაფერი გავიაზრეთ მთლიანობაში და რაც მთავარია, სწორად. ვერც პატრიოტიზმი და ვერც კოსმოპოლიტიზმი.

ერთხელ, ამსტერდამის აეროპორტში, ქართველი გავიცანი, ახალგაზრდა 29 წლის ყმაწვილი. ამერიკიდან მოფრინავდა. ერთწლიან ნიუიორკულ ცხოვრებას სასოწარკვეთაში ჩაეგდო უცნობი, რომელმაც გული გადამიშალა და ამომწურავად მიამბო, თუ როგორ იქარწყლებდა ნოსტალგიის მტკივნეულ გრძნობას: ქართულ რესტორანში ვსადილობდი, ღვინოს ვსვამდი და საღამოობით ჩემების გამოგზავნილ ვიდეოკასეტას - ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საღამოს ვუყურებდიო. ახალგაზრდას ეს გონია პატრიოტობაც და საუკეთესო საშუალებაც - მონატრებასთან გასამკლავებლად.

ეს ერთი მხარე. მეორეს კი ისინი იკავებენ ვინც კოსმოპოლიტობა შეიგრძნო "სათანადოდ": არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ ნაციონალური შტრიხებით, მით უმეტეს, არქიტექტურაში, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო იდეოლოგიის ინტერესებთან და ასე, თამამად - რატომაც არა! ქალაქის შუაგულში უნდა ჩავდგათ მანჰეტენი. მანჰეტენი ხომ გსმენიათ? აქ აღმოცენდება ცათამბჯენები, ყველამ რომ შენიშნოს. ამ დროისთვის კი ჩვენ საზოგადოებას საგულდაგულოდ ეყოლება გადამალული უნარშეზღუდული ბავშვები.

# მადლობა სიყვარულისთვის

## "მომავლის სახლის" საჩუქარი

სოფო კილასონია

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში "მომავლის სახლის" ორმა აღსაზრდელმა დაოჯახება გადაწყვიტა. ახალგაზრდებმა, რომლებსაც იმ "ოჯახის" გარდა, სადაც აღიზარდნენ, სხვა არავინ და არაფერი გააჩნდათ, თავად გადაწყვიტეს ოჯახის, ოღონდ უკვე ნამდვილის შექმნა. ამაში მათ დახმარება სჭირდებოდათ, რომლის აღმოჩენაც "მომავლის სახლს" არ შეეძლო. თუმცა, ახლა მათ უკვე პატარა გოგონა ჰყავთ და საკუთარ ბინაშიც ცხოვრობენ. სწორედ იმ ბინაში, რომელიც მათთვის პაატა ბურჭულაძემ შეიძინა. ასე დაიწყო ქართველი ბანისა და "მომავლის სახლის" ბავშვების მეგობრობა. მას შემდეგ ბატონ პაატას იმაზეც უზრუნია, რომ აღსაზრდელებს უკეთეს პირობებში ეცხოვრათ და სულ ახლახან ამ ბავშვთა სახლის ახალდაოჯახებულთათვისაც შეუძენია საცხოვრებელი ბინა.

სანამ პაატა ბურჭულაძის სახლში მისი თანაკლასელები და თბილისელი მეგობრები შეიკრიბებოდნენ, სანამ ნიუ იორკში მიღება გაიმართებოდა, უფროსი მეგობრის საიუბილეო თარიღი "მომავლის სახლის" ბავშვებმა აღნიშნეს. 12 თებერვალს სამხატვრო აკადემიის მცირე საგამოფენო დარბაზი ბავშვებითა და მათი ნამუშევრებით, ნახატებითა და ფოტოებით შეივსო. პატარებმა ლექსებით, მშვენივრად შესრულებული სამეჯლისო ცეკვებითა და მოდების ჩვენებით გაახალისეს მათთან მისული დამთვალიერებელი. გამოფენა გახსნა აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ, რომელმაც გიორგი ქართველიშვილისა და



*პაატა ბურჭულაძე ლუჩანო პავაროტისთან ერთად.*

თეონა ბულბულაშვილის ნამუშევრები გამოარჩია. ორივე კოლაჟის პრინციპითაა ტილოზე შესრულებული და მუსიკასთანაა კავშირში. გიორგი, რომელიც 15 წლისაა, იურისტობას აპირებს, თუმცა, აკადემიის რექტორი მისი მხატვრული ჩანაფიქრით მოხიბლული დარჩა. ტილოზე წარმოდგენილ კომპოზიციაში ნიჟარებია გამოყენებული, რაც ბატონმა გიამ მუსიკასა და კოსმიურ ჰარმონიას დაუკავშირა. "დიდი სიკეთეა ის, რასაც პაატა ამ ადამიანებისთვის აკეთებს. ბავშვებმაც სიკეთეს სიკეთით უპასუხეს, მათ მოაწყვეს მშვენიერი გამოფენა. ესაა ნამდვილი საჩუქარი. მოხიბლული დავრჩი მათი არტისტიზმითა და ნიჭიერებით. ძალიან კარგია, ასეთი რამ რომ ხდება. ბავშვები თავიდანვე ეჩვევიან, რომ მათი სულის გადარჩენა სწორედ კულტურასა და ხელოვნებასთან შეხებით შეიძლება."

როგორც ბავშვების პედაგოგებმა გვითხრეს, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ბატონმა პაატამ ბავშვებისთვის გააკეთა, ისაა, რომ მათ სიყვარული, სითბო და თანადგომა აგრძნობინა, რაც, მათი აზრით, ნებისმიერ მატერიალურ დახმარებაზე უფრო საჭირო და აუცილებელია.

"მომავლის სახლის" აღსაზრდელები სიხარულით ულოცავდნენ იუბილარს დაბადების დღეს და ყველა, როგორც ერთი, მადლობას უთვლიდა დახმარებისა და სიყვარულისთვის. 12 თებერვალს აკადემიაში გამართული გამოფენის ავტორები ერთგულ მეგობარს საკუთარ სითბოს, ნიჭსა და შემოქმედებას, ანუ ყველაზე მთავარს, ყველაზე მნიშვნელოვანს, რაც მათ აქვთ, საჩუქრად უგზავნიდნენ.

# რატომაც არა ნაციონალური "ბრენდი"

თეონა ჯაფარიძე

*მე როგორც "ინფორმაციული ტერორიზმით შეცდომაში შეყვანილი მასმედიის წარმომადგენელი", რეალობაში გარკვევას შევეცადე, ჩვენი გაზეთის 31 იანვარის ნომერში მხატვართა კავშირის მიერ გამოქვეყნებული სტატია "ნაციონალური "ბრენდი" და რეალობა" კიდევ ერთხელ გადავიკითხე და სტატიის ერთ-ერთ ადრესატთან - "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის" დამფუძნებელთან, მხატვარ ილიკო ზაუტაშვილთან დაგროვილი კითხვებით გავემართე. ჩვენი საუბარი შეგნებულად არ შეეხო სტატიის ძირითად ადრესატს "ჯმთ ჯგუფს", მის ბიზნეს-საქმიანობასა თუ იურიდიულ სამართალმემკვიდრეობას. ჩვენი საუბარი უფრო სახელოვნებო პროცესების ახალებურ მართვასა და ამ მართვაში რევოლუციური ცვლილებების აუცილებლობას შეეხო.*



იური ლობოდინის ფოტო

*ხელოვნების ნაციონალური ცენტრის გახსნაზე.*

**ილიკო ზაუტაშვილი**: - "მე თავად მხატვარი ვარ და კავშირში ბევრი ჩემი კოლეგაა. დიდ პატივს ვცემ ბატონ გია ჯანბერიძეს, მაგრამ მხატვათა კავშირის აქტიურობაში ეჭვი მეპარება, იმიტომ რომ ეს ორგანიზაცია ყოველთვის იყო (მხატვართა გარკვეულ წრეებისთვის) ჩინოვნიკური და ნომენკლატურული. ეს ბრალდება პიროვნულად არავის ეხება, ეს მხოლოდ წლების მანძილზე იქ ჩამოყალიბებული ტლანქი სტრუქტურის ბრალია.

თუ კავშირს ფუნქციონირება უნდა, ის არ უნდა იყოს დოტაციური ორგანიზაცია. ის დამოუკიდებელი უნდა იყოს, უნდა შეეძლოს გრანტების მოპოვება. თუ მხატვართა კავშირი სიცოცხლისუნარიანია, მის ბაზაზე არსებულ უნიკალური ლითოგრაფიის სახელოსნოს ერთი პატარა - ათი ათასდოლარიანი გრანტი აამუშავებდა.

31 იანვრის სტატიაში "მხატვართა კავშირი" თავის თავს "91-92 წლებში განვითარებული მოვლენებით დაზარალებულს" უწოდებს და მთავრობისგან კომპენსაციას ითხოვს. ჩვენ კი (ხელოვნების ნაციონალური ცენტრი) მთავრობისგან არაფერს ვითხოვთ და სახელმწიფოს მხარდაჭერა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრის საქმიანობა ქვეყნის კულტურული პოლიტიკის ახალ კონტექსტს მიესადაგა.

ავიღოთ კულტურის სამინისტრო. მან უკვე მთლიანად შეცვალა მართვის სტრუქტურა და გრანტულ სისტემაზე გადავიდა. ვფიქრობ, დასრულდა კომუნისტური ეპოქა, როცა მხატვარი მთავრობისგან მოწყალებას ელოდა. დღეს უკვე პირიქით ხდება. მაგალითად, "ჯმთ" ჯგუფი თავად მოვიდა ჩვენთან. ცხადია, ის არ მალავს თავის ბიზნესინტერესებს. "ჯმთ"-ს მიაჩნია, რომ ბიზნესცენტრი და არტცენტრი ერთიმეორის შემავსებელი ელემენტებია, უნდა გაკეთდეს საერთო გეგმა და ჩაიდოს ინვესტიციები.

ყურადღებას გავამახვილებ მხატვართა კავშირის მიერ გამოქვეყნებული სტატიის ერთ დეტალზე, სადაც საუბარია "მხატვრის სახლის" ადგილზე **"საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის"** აგების თაობაზე. ამ დასახელებაში (საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრი) უკვე არაკომპეტენტურობას ვხედავ. ჩვენს კონცეფციაში ის განისაზღვრება, როგორც შემოქმედებითი, საგანმანათლებლო, სამუზეუმო, კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც არის ბაზისი და რომელზეც იქმნება ხელოვნების თანამედროვე ცენტრი, თანამედროვე მუზეუმი, მუზეუმის ინფრასტრუქტურა და საერთოდ ცენტრის შემადგენელი ნაწილების ინფრასტრუქტურა. ჩვენ მიერ მოფიქრებული ცენტრის იდეა, კონცეფცია და სტრუქტურა დიდი ხნის ნაფიქრია და ის დასავლეთის წამყვან სამუზეუმო, საგალერეო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ჩვენი (და პირადად ჩემი) 20-წლიანი მუშაობით მიღებული გამოცდილების შედეგია. ამიტომ მე არავის იდეის აღება არ მჭირდება. 15 წლის მანძილზე მხატვართა ერთი ჯგუფი, მხატვართა კავშირისგან დამოუკიდებლად (ამ ორგანიზაციის პასიურობის გამო) ან მონაწილეები ვიყავით, ან ვკურატორობდით საკმაოდ პრესტიჟულ საერთაშორისო გამოფენებში. ამიტომ ცენტრის იდეა, კონცეფცია და სტრუქტურა ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილების შედეგია.

"მხატვრის სახლი" - რასაკვირველია, სამწუხაროა, რომ ეს ულამაზესი შენობა აღარ არსებობს რუსთაველზე, მაგრამ დრო აღარ იცდის, რომ უკან ვიხედოთ და წარსულში ვეძებოთ დამნაშავე. რეფორმები შეეხო პოლიტიკას და ეკონომიკას, ახლა კულტურის ჯერი დადგა. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოდ გვეჩვენება 31 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის სათაურის ("ნაციონალური "ბრენდი" და რეალობა") ირონიული ტონი, რადგან თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნები თრიალეთის თასის ვებ-საიტს, კატალოგსა და ექსპოზიციაზე ეფექტურ განათებას ანუ "ბრენდს" მოითხოვს და არა მხოლოდ ცარიელ თრიალეთის თასს."

# "ტუნელი"

სანდრო ნავერიანი

თბილისში კიდევ ერთი ღამის კლუბი გაიხსნა. კიდევ ერთი და მორიგი იმიტომ, რომ თბილისში ხშირად იხსნება და ასევე ხშირად იხურება კლუბები, მაგრამ კლუბი, რომელზეც ახლა უნდა გელაპარაკოთ, ყველაფრით გამოირჩევა დანარჩენებისგან. მთავარი კი, რითაც კლუბი "ტუნელი" დანარჩენებისგან განსხვავდება მომავალში ევროპული დონის კლუბად ჩამოყალიბების პერსპექტივაა.

"ტუნელი" არ გამოირჩევა არც ძვირად ღირებული სავარძლებითა და შუშის ინტერიერით, რომელიც ქართულ კლუბებში საჭიროზე მეტად აქტუალურია. "ტუნელის" ინტერიერის შექმნაზე, შეიძლება ითქვას, არავის უზრუნია და ვფიქრობ (ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემი აზრია), არ უზრუნიათ იმიტომ, რომ არ იყო საჭირო: "ბომბაუბეჟიშჩე", რომელიც მეორე (ალბათ, პირველსაც) მსოფლიო ომს ემსახურებოდა და რომელზეც, ჩემმა კოლეგამ მითხრა - 37 წელში შიგ ხალხს ხვრეტდნენო,




ქორფა თავშესაფარს ჰგავს და, რომ, კედლიდან ჩამოცვენილი სალებავი, დისკომფორტს ვერაფერი შეგიქმნით, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ძალიან მალე ყველაფერს გამოასწორებენ. ისე, მართალი რომ გითხრათ, მე "ტუნელში" არაფერს არ გამოვცვლიდი იმიტომ, რომ ეს არის ისეთი კლუბი, როგორიც ყოველთვის მინდოდა, რომ საქართველოში ყოფილიყო: არ არის დატვირთული ზედმეტი, ევროპული, ვითომ "პანტოვი" ატრიბუტებით, ჭერზე არ არის აკრული სარკეები, შესასვლელში არ აგია ფეხსაწმენდი, რომელსაც welcome აწერია და რაც მთავარია, ამ კლუბში შესვლისას არ გექმნებათ წარმოდგენა, რომ ევრორემონტიან ათოთახიან სახლში შედიხართ, სადაც ჩვეულებრივი სააბაზანოდან დაწყებული ჯაკუზით დამთავრებული ვიღაც ჟიგოლოს სახლს გავს.

მას შემდეგ, რაც "აჭარა მიუზიქ ჰოლი" გაიხსნა (თუმცა ახლა დახურულია), ჩვენ, ქართველებს გვეგონა, რომ ეს არის ძალიან მაგარი კლუბი, რომელიც მაღალი დონის კლუბის სტანდარტებში ჯდება, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. კლუბი, რომელსაც არ აქვს "chill out" - ი, ის არ ითვლება მაღალი დონის კლუბად. მართალია, ჯერჯერობით არც "ტუნელს" აქვს ასეთი განტვირთვის მუსიკალური დარბაზი, მაგრამ ისევ და ისევ ხელმძღვანელობას ვენდობი და გეტყვით იმას, რაც მითხრეს: "chill out"-იც იქნება და ყველაფერიო, უბრალოდ ცოტა დრო გვჭირდებაო.

მოკლედ, "ტუნელი", ჩემის ღრმა რწმენით, ძალიან მალე ისეთი კლუბი იქნება, როგორიც სადღაც საფრანგეთებში და ჰოლანდიებში გვინახავს, ისეთი, რომელშიც ნებისმიერი ასაკის ადამიანი დიდი სიამოვნებით წავა და იქ ყოფნით უფრო დიდ სიამოვნებას მიიღებს.

დაბოლოს, მინდა უშუალოდ მუსიკას შევეხო, რომელიც "ტუნელში" ჟღერდა და გაიჟღერებს. შაბათს "ტუნელში" ჰოლანდიელი დიჯეები "ფიტალიკ ლაივი" (fitalic live) აჯაზებდა. მათი მუსიკით არავინ უკმაყოფილო არ დარჩენილა, პირიქით, ყველამ აღიარა, რომ ჰოლანდიელმა დიჯეებმა ძალიან მაგრად "შეიყვანეს". მომავალ შაბათს "ტუნელში" მუნ ფეისი (MOON FACE) დაუკრავს, იმის შემდეგ კი, რენდოლ ჯონსი (randall jones). თუ მართლა გაინტერესებთ, მაშინ "ტუნელი" გირჩევთ წახვიდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ, როგორია და პერსპექტივაში როგორ კლუბად ჩამოყალიბება ემუქრება.

# ჩვენი "ძმები" ბასკები

სანდრო ნავერიანი

*"ჩემი ესპანეთი, თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, თავისი კარმენსიტებითა და დონ ხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, დონ კიხოტითა და სანჩო პანსათი, რესპუბლიკანელებით, "ბანდერა როსათი", გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით." ვისაც ნოდარ დუმბაძის მოთხრობა "კორიდა" წაგიკითხავთ, კარგად გეხსომებათ ეს სიტყვები, უფრო სწორად, სიზმარი ესპანეთზე, რომელიც ჯვებე დუმბავას ესიზმრება ხოლმე. ამ წერილის წერა ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ამბავმა გადამაწყვეტინა. საქმე იმაშია, რომ ჩემი მეგობარი დაახლოებით სამი წელია, რაც სან-სებასტიანში ცხოვრობს. სწავლით თავს იკლავს-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ მთლად "ბომჟივით" იყოს, როგორც უცხოეთში წასული ქართველების დიდი რაოდენობაა. საინტერესო პიროვნებაა, მეტად ცნობისმოყვარე და რაც მთავარია, არასოდეს ავიწყდება, რომ საქართველოს შვილია და ყველაფრის მიუხედავად, საქართველოს ყოველთვის სიამაყით იხსენიებს, ამაყობს იმით, რომ გურჯაანელია და ცდილობს თავის გარშემო მყოფებსაც აგრძნობინოს, რომ ის ქართველია, მაშასადამე საამაყო ქვეყნის შვილი. ყველაფერი ამის შემდეგ გადავწყვიტე პატარა ექსკურსია ჩაგიტაროთ და აგიხსნათ, თუ რატომ არ არიან ბასკები ქართველები.*



ბილბაო



მილა და პაკო რაბანი



დოლორეს იბარური

### შესავალი

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი მეგობარი ნოდარი (სახელს და გვარს შეგნებულად არ ვასახელებ და შემდგომში მას ნოდარით მოვიხსენიებ) სამი წელია, სან სებასტიანში ცხოვრობს. მასთან არც თუ ხშირად ვკონტაქტობ, მაგრამ უკანასკნელი სატელეფონო საუბარი ერთობ სამწუხარო გამოვიდა. თურმე, ჩემს მეგობარ ნოდარს და მის სან სებასტიანელ მეგობრებს ქეიფი წამოუწყიათ. რამდენიმე ქართულ-ბასკური სადღეგრძელოს შემდეგ, ჩემმა მეგობარმა ნოდარმა თავის ბასკ მეგობრებს განუცხადა, რომ ბასკები და ქართველები ძმები და დები ყოფილან, რომ ბასკები ერთ დროს საქართველოდან ესპანეთში გადახვეწილან და მას შემდეგ გამხდარან ბასკები. ნოდარის ასეთი სიტყვების შემდეგ მისმა თანამესუფრეებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და ბასკური სიამაყით განუცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში ბასკები და ქართველები ერთი ნაგრამის შთამომავლები არ არიან. ნოდარმა კავკასიური ცივსისხლიანობა გამოავლინა და ერთ-ერთ თანამესუფრეს ხელუკუღმა ასცხო. შემდეგ რაც მოხდა, ალბათ, ადვილი მისახვედრია. ჩემი მეგობარი ნოდარი სასწაულად სცემეს და ზედ ბასკურადაც აპურჭყეს - ესეც შენი ქართველობაო.

### ცნობილი ბასკები

**სებასტიან ელკანო** - ერთ-ერთი იმ ცხრამეტთაგანი მეზღვაური, რომელიც პირველივე დედამიწის გარშემო მოგზაურობიდან სახლში დაბრუნდა. ბასკები თვლიან, რომ ის ერთადერთია, ვინც დედამიწას გაუსწრო. და მართლაც, ექსპედიციის მეთაური, მაგელანი ფილიპინებზე მოკლულ იქნა და ერთადერთი გემი, რომელიც სამშობლოში დაბრუნდა იყო "ვიქტორია", ბასკი-ოფიცრის მეთაურობით.

**დოლორეს იბარური** - პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე ცნობილი რევოლუციონერი ქალი, რომელსაც უფროსი თაობა იცნობს ფსევდონიმით პასიონარია (ცეცხლოვანი). დაიბადა პროვინცია ბისკაიაში. სამამულო ომის პერიოდში ხელმძღვანელობდა ესპანეთის კომუნისტურ პარტიას და იყო ორგანიზატორი ფრანკისტული მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრებებისა. ომის შემდეგ ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. მისი შვილი **რუბენ იბარური** საბჭოთა კავშირის გმირია, დაიღუპა სტალინგრადთან.

**პაკო რაბანი** - ცნობილი კუტურიე, იწინასწარმეტყველა, რომ 1999 წლის ზაფხულში პარიზში ჩამოვარდებოდა რუსული ორბიტალური სადგური. საერთოდ, პაკო რაბანი, ასეთი უცნაურობებით გამოირჩევა, მაგრამ არასოდეს მისი წინასწარმეტყველება თუ ამდაგვარი რაღაცები არ მართლდება, ერთადერთი რაც მას კარგად გამოსდის სუნამოების წარმოებაა.

### ბასკების ცნობილი ქალაქები

**ბილბაო** - ქალაქი რომანტიკული სახელით და პორტის მტვირთავის იერით. ადრე, ამ ქალაქში ტურისტები საერთოდ არ ჩადიოდნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც ბილბაოში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გუგენჰაიმი ააშენეს, ტურისტების ნაკლებობას აღარ განიცდიან. ბილბაოელები ცნობილი არიან იმით, რომ ძალიან ბევრს სვამენ, უფრო სწორად, სმა უყვართ. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მე-14 საუკუნის დასაწყისში ქალაქის დამაარსებელი დონ ლოპეს დე არო ძალიან ბევრს ფიქრობდა იმაზე, თუ რა სახელი დაერქვა ქალაქისთვის. ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, გადაწყვიტა დავთვრებიო. ჰოდა, მიადგა ღვინით სავსე კასრს და სანამ ბოლომდე არ გამოცალა, არ მოისვენა. ქალაქისთვის სახელი კი მაინც ვერ მოიფიქრა. გაბრაზებულმა ცარიელი კასრი ზღვაში გადააგდო. კასრის ზღვაში ჩავარდნამ ხმა გამოიწვია, რომელიც ასე ჟღერდა: "ბილ", შემდეგ კი, "ბაო". ამის შემდეგ დონ ლოპეს დე არომ სიხარულისგან წამოიძახა "ბილბაო".

**სან სებასტიანი** - ქალაქი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალს მასპინძლობს. ქალაქი, რომელიც უსაზღვროდ არისტოკრატიული და უსაზღვროდ ძვირიანია. ქალაქი, რომელიც ფრანგულ სოფლებს გაგონებს, უბრალოდ, ერთადერთი განსხვავება ის არის, რომ სან სებასტიანს სამი მხრიდან ატლანტის ოკეანის ხმაურიანი ტალღები ენარცხებიან. მოგეხსენებათ, ესპანელებს ფეხბურთი ძალიან უყვართ და გამონაკლისი არც სან სებასტიანელი ფეხბურთის ქომაგები არიან, მაგრამ მათ ერთი მეტად უცნაური თვისება აქვთ - თავისი საყვარელი გუნდის (სან სებასტიანის "რეალ სოსიედადი") წარმატებას მაშინ აღიარებენ, თუ "რეალ სოსიედადი" დანარჩენ ბასკურ კლუბებზე წინ გავიდა ესპანეთის ჩემპიონატში, ანუ, მნიშვნელობა არ აქვს პირველზეა, თუ მეთერთმეტეზე, მთავარია "ბილბაოს ატლეტიკზე" წინ გავიდეს.

### ბასკები

ამბობენ, იმისათვის, რომ ქალაქი იცნო მასში დაკარგვაა საჭიროო. ვინმე იკითხავს - კი, მაგრამ დაკარგვა რას ნიშნავსო? მაგალითად, დალევ ერთ-ორ ბოთლ ჩაკოლის და სახლს ვეღარ მიაგნებ. იმდენს იბოდიალებ, ბოლოს გეცოდინება ყველა სასტუმრო, ყველა რესტორანი, ტავერნა - ბარი, მოკლედ, ყველა კუთხე კუნჭული ზეპირად გეცოდინება. იმ შემთხვევაში, თუ ისე დაიკარგეთ, რომ დამთვრალხართ და ბევრი სიარული გეზარებათ, მაშინ, გააჩერეთ ნებისმიერი ბასკი და ჰკითხეთ, სად მდებარეობს ის სასტუმრო, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ. თუ მან თქვენ გაგიგოთ, აუცილებლად მიგაცილებთ იქამდე, სადაც თქვენ გინდათ და თუ თქვენი ენა ვერ გაიგო, მაშინ გამვლელს გააჩერებს და სთხოვს, რომ მან მიგასწავლოთ გზა. ბასკები, ყველასგან განსხვავებით, ზედმეტად მოსიყვარულეები და ყურადღებიანები არიან.

ვთქვათ, ბარში შედიხართ. მაგიდას სამი კაცი უზის, კარტს თამაშობს. ბართან ერთი ტიპი ზის და ღვინოს შეექცევა. თქვენ გაინტერესებთ, სად მდებარეობს სასტუმრო "რიცი". ბარში შესულმა საჯაროდ ითხოვეთ, რომ ვინმემ მიგასწავლოთ, როგორ მიხვიდეთ სასტუმრომდე. კარტის მოთამაშეებმა თავაზიანად შემოგთავაზეს მათთან ერთად ბანქოს თამაში, ბართან მჯდომმა კი მასთან ერთად იმ ერთი ბოთლი ღვინის გამოცლა შემოგთავაზათ. თქვენ კარტის თამაშზე უარს ამბობთ - მიზეზად არცოდნა მოგაქვთ, ხოლო, ღვინის მსმელს დიდი მოწიწებით მადლობას გადაუხდით და ეტყვით, რომ თქვენ კიდევ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი. ამის შემდეგ, ორივე მხარე - კარტის მოთამაშეები და ღვინის მსმელი - აუღელვებლად შემოგთავაზებენ დახმარებას და დანიშნულების ადგილამდე ყოველგვარი ანგარების გარეშე მიგიყვანენ.

რაც შეეხება ტერორისტულ დაჯგუფება "ეტას" და იმ ჭორებს, რომელიც სან სებასტიანში და ბილბაოში ყოფნას საშიშად თვლიან, ეს ყველაფერი ისეთივე ჭორებია, როგორიც ის, რომ ვანო მერაბიშვილის ცოლმა ნატო გელაშვილისგან ათას დოლარად სიმღერა იყიდა და ქართველ მსმენელს მოატყუებს, ჩემი სიმღერააო. ერთადერთი რაც საშიშია, ბილბაოს ჩინური კვარტალია და მისი საშიშროებაც იმაში მდგომარეობს, რომ სეირნობისას შეიძლება, თავში ქოთანი დაგეცეთ ან ვიღაცამ გვერდზე ჩაგიქროლოთ და ჩანთა მოგტაცოთ.

### რატომ არ არიან ბასკები ქართველები?!

სამოცდაათიანების დასაწყისში ქართველებმა ჩავთვალეთ, რომ ჩვენი და ბასკური ენა ერთმანეთის ნათესავები არიან. ათობით ენათმეცნიერულმა ინსტიტუტმა დაიწყო ბასკურ და ქართულ ენებში მსგავსებების ძებნა და მსგავსებებიც აღმოაჩინეს. მაგალითად: ბასკებსაც და ქართველებსაც უყვართ დიდი ქუდები, რომელსაც ჩვენში სამოციანი წლების განაბები იხურავდნენ. ბასკური და ქართული ცეკვები ერთმანეთს ჰგავს - ფეხების ციბრუტივით ტრიალი, ტანი და ნიკაპი ერთ ადგილას გაჩერებული და ამაყი გამოხედვა. ბასკებსაც და ქართველებსაც ღვინის სმა უყვართ. ქართველებსაც და ბასკებსაც უყვართ ცხვრის ხორცი. მაგრამ... დღეს, ყველა განათლებული და მეცნიერი ადამიანი თამამად აცხადებს, რომ ქართულ და ბასკურ ენებს შორის არავითარი მსგავსება არ არის, და თუ რომელიმე ბასკური სიტყვა ქართულს ჰგავს, ეს არაფერს არ ნიშნავს. ამას გარდა, ბასკებსა და ქართველებს შორის იმდენი განსხვავებაა, რომ ვერავინ ვერ დათვლის, მაგალითად: ბასკებს ძალიან უყვართ სიდრი, ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ მთელი გორი ვაშლს მიაქვს, სიდრი არც კი გაგვისინჯავს (ყოველ შემთხვევაში, მე არ გამისინჯავს და არც გამიგია ვინმესგან, რომ გაესინჯოს). ბასკურ სამზარეულოში არ არის არანაირი კერძი, რომელსაც მწვადის, ხინკლის ან ჩანახის გემო დაჰკრავდეს. როდესაც სამი ბასკი რესტორანში დასალევად შედის, ქართველივით, ნამდვილი კავკასიელივით, ერთი ბასკი იხდის, მაგრამ მათ აქვთ ტრადიციისმაგვარი რამ, რაც იმაში აისახება, რომ თუ რესტორანში სამი ბასკი შედის, მაშინ ისინი სამ რესტორანს მოივლიან და სამივეში სხვადასხვა გადაიხდის. ჩვენთან, შევალთ რესტორანში და წავიდააა, ვისაც ფული აქვს, იმას მეორე დღეს ზარმაცების ხაშის საჭმელადაც კი არ დარჩება ერთი-ორი ლარი. მოკლედ, ბასკებს და ქართველებს შორის არავითარი ნათესავური კავშირი არ არსებობს, უბრალოდ, ისიც შეიძლება, ერთმანეთს რაღაც რაღაცებში ვგავართ.

**P.S.** ვინმე იფიქრებს, მთელი ბასკეთი შემოვლილი აქვსო, მაგრამ არ დაიჯეროთ, უბრალოდ, ღმერთმა მოგვცა ინტერნეტი, რომელიც უზომოდ დიდ ინფორმაციას მოიცავს ნებისმიერ თემაზე, რომელიც გაინტერესებთ. ჰოდა, მეც გავხსენი "გუგლი" და ამოვყარე ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა ბასკებზე გამეგო. ასე რომ, ჩემს მეგობარ ნოდარს (და საერთოდ ყველას) ვურჩევდი, ნუ მოძებნის ბასკებსა და ქართველებს შორის მსგავსებებს და იმ თუთაშხიაზე თქვას ჩემი ნათესავიაო, რომელზეც ზუსტად იცის, რომ ლაზია.

**P.P.S.** "ჩემი ესპანეთი, თავისი ბასკებით, ანდალუზიის ღამეებით, თავისი კარმენსიტებითა და დონ ხოსეებით, კასტანეტებითა და ალეგროებით, მცხუნვარე მზით, დონ კიხოტითა და სანჩო პანსათი, რესპუბლიკელებით, "ბანდერა როსათი", გარსია ლორკათი და ქვეყნიერების მამით, სერვანტესით."


## ისარგებლეთ ლაი-ლაი & იკითხეთ 24 საათი

1. აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს
2. შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი
3. კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).
4. კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

24 საათი 3 ლაი-ლაი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | ლაღიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

14 თებერვალი, ორშაბათი, 2005 წელი. №33 24 საათი



ნინო ტიკარაძე

### ბრძოლა წესების გარეშე

კინკლაობა, ჩხუბი, ზოგჯერ სისხლიანი გაწევ-გამოწევა სპორტის სამყაროს თანმდევი ელემენტია. ამ მხრივ არც ფეხბურთი გახლავთ გამონაკლისი. არ დაიჯეროთ, როცა ამბობენ, ამა და ამ გუნდში ასეთი და ასეთი ჰარმონია და ურთიერთგაგება სუფევსო (არ გამიწყრეთ, ყველას არ ვგულისხმობ!). ჩხუბობენ მოედანზე და მის ფარგლებს გარეთ. წარმოდგენის გმირები ამა თუ იმ კლუბის გულშემატკივრები ან მოწინააღმდეგე გუნდების ფეხბურთელები, ხანდახან კი თანაგუნდელებიც არიან.

რამდენიმე წლის წინათ "ბარსელონას" ერთ-ერთი ვარჯიშის დროს ერთმანეთში ვერ მორიგდნენ მარკ ოვერმარსი და ლუის ენრიკე. საქმე ის გახლავთ, რომ ოვერმარსმა ენრიკეს ბურთი აართვა, რამაც ეს უკანასკნელი გააღიზიანა. "დაზარალებულმა", "ეს როგორ გამიბედაო", - და თანაგუნდელს მუშტის ქნევით ეცა. ინციდენტი ცუდად დამთავრდებოდა, სხვა ფეხბურთელები დროულად რომ არ ჩარეულიყვნენ.

ეს, როგორც მოგახსენეთ, რამდენიმე წლის წინათ იყო, მაგრამ ანალოგიური შემთხვევა ახლახან მოხდა. ამჯერად მოქმედების ადგილი გერმანია გახლავთ, მოქმედი პირები კი - ბუნდესლიგის კლუბ "შალკეს" ფეხბურთელები დელურა და კამფუსი. ჩხუბი, რომელიც ფოტოგრაფებმა აღბეჭდეს და გაზეთებშიც გამოამზეურეს, მცირეხნიანი და, რაც მთავარია, უსისხლო იყო. გაურკვეველ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) მიზეზთა გამო ვარჯიშის დროს ხსენებულმა ფეხბურთელებმა მუშტი-კრივი გამართეს. სხვა ფეხბურთელები მაშინ გამოფხიზლდნენ, როცა მოჩხუბრები ერთმანეთს იდაყვებს ურტყამდნენ.

მწვრთნელებმა ეს ინციდენტი სავსებით ბუნებრივად მიიღეს, მეტიც, მოიწონეს კიდეც. მათი აზრით, ჯან-ღონით სავსე ფეხბურთელებს ფეხის ვარჯიშთან ერთად არც მკლავის გავარჯიშება აწყენთ. პრინციპში, არც "აწყინა". დელურამ და კამფუსიმ ერთმანეთს მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიში უფრო ენერგიულად გააგრძელეს.

### ეძიებდე და ჰპოვებდე

პაუზის შემდეგ სათამაშო მოედანს დაუბრუნდა ბრაზილიის ეროვნული ნაკრებისა და მილანის "ინტერის" თავდამსხმელი ადრიანო. პაუზა არც მთლად მოკლეხნიანი იყო. ფეხბურთელმა იტალიის ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი გამოტოვა. თუმცა, ამის გამო მაინცდამაინც დანაღვლიანებული არ ჩანს. ალბათ, გულდასაწყვეტიც არაფერია. პირად ცხოვრებაში პრობლემის მოგვარებას კარიერაში ანტრაქტის გამოცხადება დასჭირდა. სირთულეები გადაილახა და ცხოვრებაც ჩვეული ტემპით გაგრძელდა.

ახლა ერთი-ორი სიტყვა პრობლემის შესახებ: რამდენიმე ხნის წინათ ბრაზილიელი ფორვარდი საცოლეს სინტიას დაშორდა. ეს ფაქტი ფეხბურთელისთვის იმდენად მტკივნეული აღმოჩნდა, რომ ქალებისგან თავის შორს დაჭერა და მარტო ცხოვრება გადაწყვიტა, მაგრამ განდეგილობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

აბა, როგორ?! ბრაზილიელი ფეხბურთელი რომ ტემპერამენტიანი იქნება, ეს გასაკვირიც არავისთვის არ უნდა იყოს.

მოკლედ, იტალიელი ჟურნალისტების თვალს არ გამოჰპარვია, რომ "ინტერის" ბრაზილიელი ლეგიონერინაირნაირი ქალბატონების საზოგადოებაში ჩნდებოდა ხოლმე.

ქრონოლოგიურად მივყვეთ. პირველად "ობიექტი" მალაზიაში შენიშნეს სასიამოვნო გარეგნობის გოგონასთან ერთად. რამდენიმე დღის შემდეგ დისკოთეკაზე დაინახეს ქერათმიან მოდელ ვერონიკასთან ერთად. ასე გრძელდება დღემდე.

ჩანს, ადრიანოს საცოლის ძებნა გადაუწყვეტია. ჯერჯერობით კი კანდიდატურას ეძებს.

### ცეცხლს ნუ ეთამაშები, დაგწვავს!

მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი იმ ფეხბურთელთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ხშირ-ხშირად იცვლიან კლუბებს. 2004 წლის დასაწყისში იგი ტურინის "იუვენტუსიდან" ესპანეთის "ბარსელონაში" გადაბარგდა, ამჟამად კი მილანის "ინტერის" ღირსებას იცავს.

მოკლედ, გასულ კვირას დავიდსი იტალიელი რეპორტიორების საკბილო გახდა. ისინი ფეხბურთელს მილანის ერთ-ერთ ღამის კლუბში გადააწყდნენ. ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ ფეხბურთის ვარსკვლავებსაც უნდათ ისე გაერთონ, როგორც სხვები ერთობიან. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ჟურნალისტთა ყურადღება მიიქცია არა საკუთარი პერსონით, არამედ საქციელით - ძალიან აქტიურად ეარშიყებოდა ცნობილ ტურინელ მოდელს აფეფ ჟნიფენს. არც ეს უნდა ყოფილიყო გასაკვირი. ფეხბურთელებსაც უყვართ ქალბატონების კამპანიაში დროსტარება. თუმცა, საარშიყო ობიექტის არჩევაში კი მწარედ შეცდა.

ხსენებული ლამაზმანი 2001 წლიდან მილანის "ინტერისა" და საავტომობილო რეზინების მწარმოებელი ფირმა "Pirelli"-ის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერის მარკო ტრონკეტის მეუღლე გახლავთ. სხვათა შორის, "Pirelli" სპონსორობას უწევს იმ კლუბს, რომელშიც დავიდსი თამაშობს, ე.ი. შეფის ცოლს გაეარშიყა.

როგორ ფიქრობთ, ასეთ დამაინტრიგებელ კადრებს ხელიდან გაუშვებდნენ პაპარაცები? ნურას უკაცრავად. ჯერჯერობით თუ არაფერი, იცის, მალე გაიგებს ტრონკეტი დავიდსის თავხედობის ამბავს. აი, მაშინ იკითხოს "დამნაშავემ", კლუბის დატოვება თუ მოუწია.

თუმცა, არც ეგ იქნება პრობლემა. ახალი საფეხბურთო კლუბის პოვნას რაღა უნდა?

### იგი წავა და სხვა მოვა...

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "ინტერის" ფორვარდ კრისტიან ვიერიზე წერა რომ ხშირ-ხშირად მიწევს, ეს ჩემი ბრალი სულაც არ გახლავთ. მშფოთვარეა, ამიტომაც საინტერესოა ამ ადამიანის არა მხოლოდ კარიერა, არამედ პირადი ცხოვრებაც. მართლაც, იტალიელთა (და არა მარტო იტალიელთა) კერპი ფეხბურთის სამყაროში ჩადენილი საგმირო საქმეების პარალელურად სასიყვარულო ისტორიებითაც გახლავთ ცნობილი. ბობო, როგორც მას ეძახიან, ძალიან ხშირად იცვლის მეგობარ გოგონებს, მაგრამ თქვენ წარმოიდგენეთ, ის კი არ მიდის, მისგან მიდიან.

იყო დრო, როცა ვიერი სამაგალითო შეყვარებულად ითვლებოდა. სამი წელიწადი იგი ცნობილ ტოპმოდელს ელიზაბეტ კანალისს ხვდებოდა. წყვილის სიყვარულით აღფთოვანებას ვერ მალავდნენ იტალიელი ჟურნალისტები, მაგრამ რად გინდა? ერთხელაც მათ ურთიერთობას წერტილი დაესვა.

ის დღე იყო და ის დღე, ბობომ გოგონების ცხვირსახოცებივით ცვლა დაიწყო. თუმცა, გასული წლის ბოლოს ბრაზილიელ ფოტომოდელს ფერნანდა ლესას შეხვდა და მექალთანეობასაც დროებით შეეშვა. ფეხბურთელმა სატრფოსთან ერთად აღნიშნა შობა-ახალი წელი. დაკვირვებულ თვალს არ უნდა გამოეპაროს ის ფაქტი, რომ მშვენიერი ფერნანდა და ასევე მომხიბლავი ელიზაბეტი ცოტათი, მაგრამ მაინც ჰგვანან ერთმანეთს. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ურთიერთობამ ფლირტის საზღვრები გადალახა და რომანის ჩარჩოებში მოექცა, მაგრამ იდილიას ხშირად არღვევდა ვიერის არცთუ მთლად მსუბუქი ხასიათი, შესაბამისად, მრავლად იყო "ყვითელი ბარათებიც" ფერნანდასგან, უფრო ადრე კი - ელიზაბეტისგან. ბობო ეჭვიანობდა მიზეზით და უმიზეზოდ.

ბრაზილიელი ფოტომოდელისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა კრისტიან ვიერის მიერ ერთ საღამოს გაკეთებული არჩევანი - შეყვარებულთან ყოფნას მან მეგობართან ფილმის ყურება ამჯობინა. ჰოდა, შეურაცხყოფილმა ქალმა გუდა-ნაბადი აიკრა და სახლიდან წავიდა. თქვენ წარმოიდგინეთ, განშორება მაინცდამაინც არ გაუჭირდა. როგორც შემდეგ გაირკვა, თადარიგი ადრევე დაეჭირა და ვიერის შემცვლელიც მოეძებნა - ბრაზილიელი ბიზნესმენი.

ლესა ძველ შეყვარებულს ჟურნალისტების პირით დაემშვიდობა: "ნახვამდის, ბობო. ნამდვილ სიყვარულს შევხვდი. შენი ნებისმიერი საქციელი ჩემთვის უცხო გახდა. თითქოს ჩემთან იყავი, ამ დროს კი ფიქრებით სხვაგან დაფრინავდი. დავიღალე".

ფერნანდა და მისი ახალი სატრფო საზოგადოებაში ხშირად ჩნდებიან. წყვილი ძალიან ბედნიერი ჩანს. თუმცა, არც ვიერი ტოვებს მიტოვებულისა და მარტოსულის შთაბეჭდილებას.

ფეხბურთი

# თბილისის "დინამოს" ახალი ბრალმდებელი გამოუჩნდა

## გერმანიაში აგორებული სკანდალი საქართველოს მოსწვდა

მიხეილ აბაიშვილი

გერმანელი არბიტრის რობერტ ჰოიცერის სახელი (ის ეგრეთ წოდებულ "ჩაწყობილ თამაშებთან" დაკავშირებულ ხმაურიან სკანდალში გაეხვია) საფეხბურთო სამყაროს ისევ პირზე აკერია. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ჰოიცერის "გულახდილობებში" თბილისის "დინამოც" სკანდალურ კონტექსტშია მოხსენიებული.

ამ მსაჯმა საკუთარი ინიციატივით მიმართა პროკურატურას, რომელთანაც გულახდილად და შესაშური მონდომებით თანამშრომლობს. მის მიერ მიცემულმა აღიარებითმა ჩვენებებმა შოკში ჩააგდო არა მხოლოდ გერმანული, არამედ მთელი ევროპული საფეხბურთო სამყარო. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გერმანიის პროკურატურამ ჰოიცერის დაპატიმრება მაინც მიზანშეწონილად ჩათვალა. როგორც რუსული ინტერნეტგამოცემა "ჯჭ◇ ჭ. " იტყობინება, შავი საქმეების ჩამდენმა საფეხბურთო "შავოსანმა" არა მხოლოდ გერმანიის ტერიტორიაზე, არამედ მის ფარგლებს გარეთაც მომხდარ "გარიგებულ თამაშებზეც" მისცა აღიარებითი ჩვენება, მათ შორის, თბილისის "დინამოს" მონაწილეობითაც. ჰოიცერის თქმით, "ხორვატიულ მაფიას სერიოზული გავლენა აქვს გერმანიის, ინგლისის, ხორვატიისა და საბერძნეთის ფეხბურთზე. სწორედ ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის შეკვეთით ათენში ჩატარებული უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მატჩი "პანიონისსა" და თბილისის "დინამოს" შორის "ჩაწყობილი", წინასწარ ფიქსირებული იყო".

ამ ფაქტზე კომენტარი ვთხოვეთ თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობას. იმის გამო, რომ კლუბის მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი გუშინ სამსახურებრივი მივლინებით უცხოეთში იმყოფებოდა და თბილისში მხოლოდ დღეს ბრუნდება, კომენტარი კლუბის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ გააკეთა.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თბილისის "დინამოს" ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ.

"საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის სახელით კიდევ ერთხელ ვაფიქსირებ, რომ "თბილისის "დინამოს" არანაირ გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია. ჩვენ ადრეც განვაცხადეთ, რომ ამ საკითხში ვენდობით მხოლოდ უეფას ოფიციალურ გამოძიებას და ველით მის ვერდიქტს. დარწმუნებული ვართ, უეფას გამოძიება დაადასტურებს ჩვენს სიმართლეს. როდესაც ეს ვერდიქტი გამოქვეყნდება, ყველა იმ ორგანიზაციას თუ კერძო პირს, რომელიც თბილისის "დინამოს" ჩირქს სცხებს, ცილისწამებისთვის პასუხს მოვთხოვთ", - განუცხადა "24 საათს" ლევან სალუქვაძემ.

შეგახსენებთ, რომ 2004 წლის 1 დეკემბერს ჩატარებული ეს მატჩი ბერძნების გამარჯვებით, 5:2 დასრულდა, თუმცა, პირველი ტაიმი "დინამომ" 1:0 მოიგო. ამ შეხვედრაში მონაწილე გუნდებს ეგრეთ წოდებულ "ტაიმ ბოლშიც"("ტაიმ ბოლი" ბუკმეკერული ტერმინია და ნიშნავს პირველ ტაიმში ერთი გუნდის, ხოლო მთლიანად მატჩში - მეორის გამარჯვებას. "ტაიმ ბოლის" მსურველებს ტოტალიზატორები მაღალ ფსონებს სთავაზობენ,-რედ.) სდებდნენ ბრალს, რის შედეგადაც, არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთ ტოტალიზატორს 50 მილიონი დოლარი წაუგია. ტოტალიზატორების მოთხოვნით და ცნობილი საინფორმაციო სააგენტო BBC-ს ინფორმაციაზე დაყრდნობით, უეფამ ამ საქმის გამოძიება დაიწყო, მაგრამ სამხილების არარსებობის გამო არც "დინამოს" და არც "პანიონისის" წინააღმდეგ არავითარი სადამსჯელო სანქცია არ მიუღია.

საქმესთან დაკავშირებული ეს ახალი გარემოება - გერმანელი არბიტრის ჩვენება საკმაოდ სერიოზული სამხილია და არ არის გამორიცხული, უეფამ ამ ჩვენებას ანგარიში გაუწიოს. თუ ასე მოხდა, იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რა მკაცრი სადამსჯელო სანქციები გატარდება არა მხოლოდ თბილისის "დინამოს", არამედ ზოგადად ქართული საკლუბო ფეხბურთის მიმართ.

"24 საათი" იმედს იტოვებს, რომ "დინამოს" წინააღმდეგ აგორებული კამპანია სხვა არაფერია, თუ არა პროგრესის გზაზე შემდგარი თბილისის "დინამოს" წინააღმდეგ არაკეთილმოსურნეების მიერ წამოწყებული ბინძური კამპანია, რომლებსაც არ ეპიტნავებათ ქართული კლუბის ევროპულ საფეხბურთო ელიტაში დაბრუნების წარმატებული მცდელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებული ინფორმაცია ჯერჯერობით მხოლოდ რუსულ ინტერნეტგამოცემებშია, თბილისის "დინამომ" კი სულ რამდენიმე დღის წინ ესპანეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში რუსების ეროვნული სიამაყე, "სახალხო გუნდად" შერაცხული მოსკოვის "სპარტაკი" დაამარცხა.

# დამოუკიდებლობის 15 წელი: ნახტომი პროგრესისკენ

მიხეილ აბაიშვილი

1990 წლის 15 თებერვალი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. მთავარი საკითხი: საქართველოს გამოყოფა ერთიანი საკავშირო სივრციდან და ეროვნული ჩემპიონატის დამოუკიდებლად ჩატარება. დამსწრე 490 დელეგატიდან ამ იდეას მხარი დაუჭირა 469-მ 21-ის წინააღმდეგ. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთიც სწორედ ამ დღიდან იღებს სათავეს.

მას შემდეგ ზუსტად 15 წელი გავიდა. დღეს ბევრს არც ახსოვს იმდროინდელი მოვლენები. ზოგს ისიც ჰგონია, რომ საკავშირო სივრციდან გამოსვლა და დამოუკიდებელი გზით წასვლა ერთი არაფრით გამორჩეული და თავისთავადი მოვლენა იყო. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არა საფეხბურთო, არამედ სწორედ ეროვნული დამოუკიდებლობისკენ გადადგმული პირველი, არცთუ მოკლე ნაბიჯი სწორედ 1990 წლის 15 თებერვალს, სწორედ ამ დამფუძნებელ ყრილობაზე გადაიდგა.

ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მონაწილე, დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ამჟამად ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტი, ზურაბ პეტრიაშვილი დღესაც ემოციებს ვერ მალავს, როცა იმ დღეებზე საუბრობს.

"შეიძლება ვინმემ გადაჭარბებულად მიიჩნიოს ეს გამონათქვამი, მაგრამ, მერწმუნეთ, საბჭოთა იმპერიის საძირკველს სწორედ 1990 წლის 15 თებერვალს, ქართული ფეხბურთის დამფუძნებელ ყრილობაზე გამოეცალა პირველი აგური. ეს ნაბიჯი რომ მომაკვდინებლად სახიფათო იყო, იმპერიალისტურმა ძალებმა პირველივე დღეს ნათლად დაინახეს და დაიწყეს ბრძოლა. პირველად უკვე 16 თებერვალს, პროგრამა "ვრემიაში" ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა მაიოროვმა "გაგვაფრთხილა:" ამით ქართველები თვითიზოლაციაში მოექცევითო და თითიც დაგვიქნია. კრემლმა ადგილობრივი ძალები აამუშავა - ზოგი შეგნებულად, ზოგიც შეუგნებლად, გააფთრებით იბრძოდა დამოუკიდებლობის აქტის წინააღმდეგ. ვიტალი კოლოსკოვმა, რომელსაც დღეს ჩვენს მეგობრად მოაქვს თავი, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში, ფიფასა და უეფაში საქართველოს გაწევრიანება რაც შეიძლება გაჭიანურებულიყო. სწორედ მისი ძალისხმევით, ეს პროცესი ორ წელიწადზე მეტხანს გაჭიანურდა", - განაცხადა "24 საათთან" საუბარში პეტრიაშვილმა.



ვახო ბესელიას ფოტო

ზურაბ პეტრიაშვილი: "საბჭოთა იმპერიის საძირკველს სწორედ 1990 წლის 15 თებერვალს, ქართული ფეხბურთის დამფუძნებელ ყრილობაზე გამოეცალა პირველი აგური."

ბევრი დღესაც მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან გამოყოფამ ქართული ფეხბურთის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა და უკან დახია, თუმცა, ზურაბ პეტრიაშვილი აბსოლუტურად სხვა აზრზეა, რის დასტურადაც არგუმენტები მოყავს.

"ნამდვილად არ მინდა, დავაკნინო საბჭოთა პერიოდში ქართული ფეხბურთის მიღწევები. ჩემი საფეხბურთო კარიერა იმ წლებს ემთხვევა და სხვებზე უკეთ ვიცი, რა სიმაღლეებს მიაღწია მაშინ ჩვენმა ფეხბურთმა. დღეს ზოგი ისევ იმეორებს, რომ რადგან "სპარტაკს" და "ზენიტს" არ ვეთამაშებით, ქართული ფეხბურთის დონემ დაიწია. საბჭოთა პერიოდში თბილისის "დინამო", პრაქტიკულად, საქართველოს ნაკრები იყო. ვინმეს შეეძლო წარმოედგინა, რომ "დინამო" თანაბარ დონეზე ეთამაშებოდა იტალიის, დანიის ნაკრებებს და მათთან ფრეს გაახერხებდა? ვინმეს შეეძლო ევარაუდა, რომ თბილისის "დინამო" რუსეთის, ბულგარეთის, პოლონეთის და, რომელი ერთი გავიხსენო, ნაკრებებს დაამარცხებდა? ანდა, ავიღოთ სულ ბოლო მაგალითი. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოდან ხუთასზე მეტი ფეხბურთელია გასული, ხოლო ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელები წარმოადგენენ, დღევანდელი თბილისის "დინამო", სელექციისა და დაკომპლექტების თვალსაზრისით, საქართველოს მესამე ან მეოთხე გუნდად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთმა მესამე გუნდმა პოლონეთის ჩემპიონი არათუ დაამარცხა, არამედ უეფას თასის გათამაშებიდან გამოთიშა. ვინმეს შეეძლო ეს ევარაუდა? ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ დამოუკიდებლობის გზაზე შედგომით ქართულმა ფეხბურთმა პროგრესისკენ საგრძნობი ნახტომი გააკეთა. რა თქმა უნდა, მიღწეული არ გვაკმაყოფილებს და უფრო მეტი გვინდა. პირადად მეც მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთს გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ პოტენციალის გამოვლენას და ამოქმედებას ხელშეწყობა, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და ყველა დონეზე თანადგომა უნდა", - ასე ფიქრობს ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტი.

თუმცა, მარტო ფიქრით რომ საქმე არ კეთდება, ზურაბ პეტრიაშვილმა სხვებზე არანაკლებ კარგად იცის. სწორედ ის გახლავთ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის დაფუძნების მთავარი ინიციატორი. ეს საქმე კი მხოლოდ იმიტომ წამოიწყო, რომ ქართული ფეხბურთის ყველა პრობლემური საკითხი საზოგადოების, ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მოექცია. ქომაგთა ლიგის ფუნქციონირების არცთუ დიდი ხნის მიუხედავად, ამ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ არაერთი პრობლემა წამოწია, ხოლო ზოგიერთის გადაწყვეტისთვის რეალური საფუძველიც შექმნა. დასტურად ეროვნული სტადიონის მაგალითიც იკმარებს. ქომაგთა ლიგამ თბილისის საკრებულოს ეროვნულ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებისთვის მილიონ სამასი ათასი ლარი გამოაყოფინა. თანხა ბიუჯეტში კი არის გათვალისწინებული, მაგრამ მეორე პრობლემა წარმოიქმნა: ეს ფული თავისთვის არის, სტადიონი - თავისთვის. მერია და საკრებულო კი არაფერს აკეთებენ, რომ გამოძებნონ სამუშაოს შემსრულებელი, თანხა გადაურიცხონ და საქმე რეალურად გაკეთდეს.

"იმისთვის, რომ მხოლოდ წარსულით არ ვიცხოვროთ და ქართული ფეხბურთი უფრო სწრაფ ტემპში განვითარდეს, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ. 15 თებერვალს, ანუ დამფუძნებელი ყრილობის 15 წლის იუბილეზე, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა შეიკრიბება ჭადრაკის სასახლეში. მოწვეული გვყავს მთავრობის წარმომადგენლები და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სრული შემადგენლობით. ვიწვევთ იმათაც, ვისაც ქართულ ფეხბურთზე გული შესტკივა. განვიხილავთ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის მიერ განვლილ გზას, ვისაუბრებთ პერსპექტივებზე და შევეცდებით, სწორედ ის "რაღაც" მოვიფიქროთ და დავსახოთ, რაც ქართულ ფეხბურთს შეუქცევადი პროგრესის, სწრაფი განვითარების გზით წაიყვანს", - ასეთია ქომაგთა ლიგის უახლოესი გეგმები.

სხვათა შორის, ამავე შეხვედრაზე გაირკვევა ის კონკრეტული საკითხიც, თუ რატომ აჭიანურებს საკრებულო ტენდერის გამოცხადებას და ეროვნულ სტადიონზე სკამების დამონტაჟებას. არადა, 26 მარტს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ევროპის ჩემპიონის, საბერძნეთის ნაკრების მასპინძლობა მოუწევს. ამ თამაშზე დასწრება, დარწმუნებული ვარ, სულ მცირე, 60 ათას გულშემატკივარს ენდომება. მერიისა და საკრებულოს უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო მატჩს მხოლოდ 28 ათასი გულშემატკივარი დაესწრება. შედეგად, თავად მერია და ფედერაცია ბილეთების რეალიზაციიდან შემოსულ სოლიდურ თანხას, ხოლო ეროვნული ნაკრები - მის მხარდამჭერ 30 ათას ხმას დაკარგავს.

ინფოთეკა

### მიდომ მოიბოდიშა

ინგლისის "ტოტენჰემ ჰოტსპურის" ფორვარდმა მიდომ კვირას ბოდიში მოუხადა ეგვიპტის ნაკრების მწვრთნელს დისციპლინის დარღვევისთვის. ამის გამო ფეხბურთელი 2004 წლის ივლისში ნაკრებიდან გარიცხეს.

"იმის თქმა მსურს, რომ ინგლისიდან ეგვიპტეში სპეციალურად ჩავედი იმისთვის, რომ ჩემი შეცდომებისთვის ბოდიში მომეხადა და ეროვნულ ნაკრებში დავბრუნებულიყავი," - განაცხადა მიდომ.

შეგახსენებთ, რომ მიდო ეგვიპტის უმთავრესი გუნდიდან მწვრთნელმა მაკო ტარდელიმ დაითხოვა. მაშინ ფეხბურთელმა ნაკრებში თამაშზე ტრავმის გამო უარი განაცხადა, მაგრამ ამის შემდეგ "ტოტენჰემის" შემადგენლობაში "რომას" წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

### პასიური ოფსაიდი უქმდება?

ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა განაცხადა, რომ 26 თებერვალს ფიფას სხდომაზე, რომელიც კარდიფში გაიმართება, განიხილავენ პასიური თამაშგარე მდგომარეობის გაუქმების საკითხს.

"პასიური ოფსაიდის გაუქმება შემტევ ფეხბურთს გასაქანს მისცემს. თუ მსაჯი მხოლოდ იმ ფეხბურთელს დააკვირდება, ვისთანაც ბურთი მიდის, მას თამაშგარე მდგომარეობის ზუსტად დაფიქსირება ბევრად უფრო გაუადვილდება," - განაცხადა ბლატერმა.

### ანრი: "კარიერას "არსენალში" დავასრულებ"

"საფრანგეთის ნაკრების ფორვარდმა ტიერი ანრიმ განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულება ლონდონის "არსენალში" სურს. "მე "არსენალში" დარჩენა მინდა, მაგრამ ეს საკითხი ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ჩემი მომავალი მხოლოდ ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ფეხბურთი ამოუცნობი ფენომენია," - განაცხადა ანრიმ, რომლის კონტრაქტიც 2007 წელს იწურება.

### ოუენი ხშირად ითამაშებს

მადრიდის "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ განაცხადა, რომ მაიკლ ოუენი ხშირად გამოვა "სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში. "მართლაც ოუენს უკმაყოფილების საბაბი აქვს. უნდა გითხრათ, რომ ის უფრო ხშირად ითამაშებს. რაული და რონალდო სასტარტო შემადგენლობაში ყოველთვის არ ითამაშებენ. ოუენი უმაღლესი კატეგორიის ფეხბურთელია. ის ინგლისის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა. შეუცვლელი იყო "ლივერპულის" შემადგენლობაშიც, მაგრამ ჩვენ რაული და რონალდო გვყავს," - განაცხადა ლუშემბურგომ.

### ეტო`ოს ბანანები დაუშინეს

"ბარსელონას" შავკანიანმა ფორვარდმა სამუელ ეტო`ომ განაცხადა, რომ "სარაგოსას" კარში გატანილი გოლის შემდეგ შესრულებული ცეკვა გულშემატკივართა რასისტულ გამოხდომებზე პასუხი იყო. "მე მაიმუნივით ვიცეკვე, რადგან გულშემატკივრები ისე მეპყრობოდნენ, როგორც მაიმუნს," - განაცხადა ეტო`ომ. გატანილი გოლის შემდეგ "სარაგოსას" ფანებმა კამერუნის ნაკრების 24 წლის ფორვარდს ბანანები დაუშინეს. მატჩის არბიტრმა მენდესმა კი თავის მოხსენებაში ჩაწერა, რომ გულშემატკივრები კარგად იქცეოდნენ.

### ბენიტესი კმაყოფილია

ინგლისის "ლივერპულის" მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა განაცხადა, რომ ის კმაყოფილია იმით, თუ როგორ მიმდინარეობს ხაბი ალონსოს რეაბილიტაციის პროცესი და იმედოვნებს, რომ ჯიბრაილ სისეც მალე დადგება ფეხზე. "ვფიქრობ, რომ ხაბი ალონსო სეზონის ბოლოს თამაშს შეძლებს. ამჟამად ის ფიზიოთერაპევტთან მუშაობს. მისი მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, - განაცხადა ბენიტესმა, - სისე კი სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშობს და თებერვალში სირბილსაც დაიწყებს. მე მისი მჯერა".

ფეხბურთი

# დევიდ ბექჰემი - მადრიდში, როგორც სახლში

***დევიდ ბექჰემი***
***დაიბადა*** *1975 წლის 2 მაისს*
***სიმაღლე:*** *182 სმ*
***წონა:*** *75 კგ*
*ნახევარმცველი*
***კლუბები:*** *"მანჩესტერ იუნაიტედი" (მანჩესტერი, ინგლისი, 1993-2003), "რეალი" (მადრიდი, ესპანეთი, 2003)*
***ტიტულები:*** *ინგლისის ჩემპიონი - 1996, 1997, 1999, 2000, 2001, 2003, ინგლისის თასი - 1996, 1999, ინგლისის სუპერთასი - 1996, 1997, ესპანეთის სუპერთასი - 2003, ჩემპიონთა თასი - 1999, საკონტინენტთაშორისო თასი - 1999, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელი (უეფა) - 1999, ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ნახევარმცველი (უეფა) - 1999, ინგლისის წლის საუკეთესო სპორტსმენი - 2001, ინგლისის ნაკრებში ჩატარებულ 78 მატჩში გაიტანა 15 გოლი*



ის ბედნიერია და თავს უკეთ გრძნობს. ამბობს, რომ გაცილებით კარგად თამაშობს, ვიდრე შარშან და დასძენს, რომ გუნდი უწინდელთან შედარებით უფრო ორგანიზებულია.

გაზეთ "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი არ მალავს: "გუნდს რწმენა დაუბრუნდა, ჩვენ გაცილებით სერიოზულად ვეკიდებით საქმეს. ჩემი აზრით, დღეს გარდამტეხი მომენტი გვიდგას - "რეალმა" თავისი თამაში იპოვა და ვფიქრობ, სეზონის ბოლომდე ვერავინ შეგვაჩერებს".

დღეს გთავაზობთ სწორედ ბექჰემის ინტერვიუს, ფეხბურთელისა, რომელზეც ამბობდნენ, რომ სეზონის დასრულებისთანავე სამეფო კლუბს გამოეთხოვებოდა.

**- რა არის იმის მიზეზი, რომ დევიდ ბექჰემი ახლა უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე ახალ წლამდე?**

- ყველაფერში მწვრთნელია "დამნაშავე" - ფეხბურთელებს მეტად გვტვირთავს, ხშირად ინდივიდუალური პროგრამითაც გვავარჯიშებს. დაცვაში ვალტერ სამუელს და ივან ელგერას აქცევს გამორჩეულ ყურადღებას, ნახევარდაცვაში - გუტის და თომას გრავესენს... გუნდიც უფრო ორგანიზებულია... მგონი, ჩვენი საიდუმლო გავთქვი.

**- დაივიწყებდით თუ არა სიამოვნებით 2004 წელს?**

- ხელაღებით ნამდვილად ვერ გავწირავ. იყო მომენტები, რომლებსაც სიამოვნება არ მოუტანია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ახლა წლეულს მოსაპოვებელ წარმატებებზე უფრო ვფიქრობ, ვიდრე გასულ წელიწადზე. მინდა, ესპანეთში ცხოვრებით ვისიამოვნო, მთლიანად დავიხარჯო "რეალის" თითოეულ შეხვედრაში... იცით, ახლა ძალიან ბედნიერი ვარ და არ მინდა გუნება-განწყობილება უსიამოვნო წარსულზე ფიქრით გავიფუჭო. 2004 წელი უკვე წარსულია. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- რაზე ფიქრობთ, როცა "რეალის" სასარგებლოდ საჯარიმო დარტყმა ინიშნება?**

- პირველ რიგში, ჩვენ, ფეხბურთელები ვწყვეტთ, ვინ დაარტყამს: მე, რობერტო კარლოსი, ზინედინ ზიდანი თუ ლუიშ ფიგუ. თუ არჩევანი ჩემზე შეჩერდა, ბურთს ისე ვასწორებ, როგორც მინდა, ვუყურებ ცოცხალ კედელს და მეკარის მოძრაობას. უშუალოდ დარტყმამდე საბოლოოდ მაქვს გადაწყვეტილი, თუ რომელ კუთხეში დავარტყამ. როგორც წესი, მეკარისგან ყველაზე შორ წერტილს ვირჩევ. სხვათა შორის, "ნუმანსიასთან" თამაშის წინა დღეს საჯარიმო დარტყმებზე ორი საათი ვვარჯიშობდი და ალბათ, ამიტომაც გამოვიდა ის გოლი ძალიან ლამაზი.

**- თქვენს მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმები, მეტწილად, ძალიან სახიფათოა. რატომ?**

- რაიმე საიდუმლოზე საუბარი არ შეიძლება - ყოველთვის მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობდი და ვიცოდი, რომ მაქსიმალურ შედეგს მხოლოდ ასე მივაღწევდი. "მანჩესტერ იუნაიტედში", ნაკრებსა და მადრიდში, ყოველთვის ვხვეწდი ამ დარტყმას და შესაძლოა, ამიტომაცაა, რომ მეტოქე ფეხბურთელებს ყოველთვის ეშინიათ ჩემი საჯარიმოების.

**- ახალ წლამდე ხშირად გაკრიტიკებდნენ. როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

- ხშირად უსამართლოდ მსაყვედურობდნენ, მაგრამ ამაზე არ ვრეაგირებდი. როცა სამსახურის გამო ყურადღების ცენტრში ექცევი, კრიტიკა მუდმივად თანამდევია - ამას დიდი ხანია შევეგუე, მაგრამ, ისევე როგორც სხვა რამეში, კრიტიკაშიც ზომიერებაა საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში ლანძღვა გამოვა. როცა მაკრიტიკებენ, ვცდილობ, უკეთესად ვითამაშო. მიმაჩნია, რომ კრიტიკოსებს სწორედ ასე გავცემ საუკეთესო პასუხს.

**- "რეალის" ფეხბურთელებს გამორჩეულ ყურადღებას აქცევენ. ნუთუ თქვენი კლუბი ასე პოპულარულია მთელ მსოფლიოში?**

- მხოლოდ ჩვენდამი გამოჩენილი ყურადღებით ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, რომ "რეალი" ყველაზე პოპულარული კლუბია მსოფლიოში. შესაძლოა, არც სხვა გრანდების წევრებს აკლიათ პოპულარობა. ესპანეთში ჩამოსვლამდე "მანჩესტერ იუნაიტედში" ვთამაშობდი და მერწმუნეთ, იქაც არანაკლებ ყურადღებას ვგრძნობდი. ჩემი აზრით, ისევე როგორც "მანჩესტერ იუნაიტედი", "რეალიც" ძალიან პოპულარულია. ალბათ, მარტო ევროპაში კიდევ მოიძებნება ათი-თხუთმეტი კლუბი, რომელთაც ჟურნალისტები თუ გულშემატკივრები მოსვენებას არ აძლევენ.

**- თუ მოგწონთ "რეალის" მეტსახელი "გალაქტიკო"?**

- ამაზე სერიოზულად არასდროს მიფიქრია. ეს გულშემატკივრებმა და პრესამ მოიფიქრეს... ჩვენ, ფეხბურთელები, ხშირად ვხუმრობთ ამაზე, მაგრამ ესაა და ეს, მეტი არაფერი. ჩვენ ვართ გუნდი და ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- ორიოდე თვის წინ ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ სამეფო კლუბის ამ შემადგენლობამ კარგა ხანია გადაიარა მწვერვალი და მიწაზე ეშვება. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?**

- მგონი, ვინც ეს თქვა, "ბარსელონას" და "ატლეტიკოს" გულშემატკივარი იყო... როგორ შეიძლება უცქირო ზიდანის, ფიგუს, რობერტო კარლოსის, ოუენის, რონალდოს და კასილასის თამაშს და თქვა, რომ ისინი ველარაფერს მოიგებენ? ეს აბსურდია და მეტი არაფერი. ვინც ჩახედულია "რეალის" სამზარეულოში, დამეთანხმება, რომ ისეთი განწყობა, როგორიც ახლაა, კარგა ხანია "რეალში" არ ყოფილა. ჩვენ არა მარტო ჩემპიონთა ლიგის, პრიმერადივიზიონის მოგებაც გვსურს!

**- თუ ჩემპიონატში გამარჯვებას აპირებთ, წაფორხილების უფლება აღარ გაქვთ - "ბარსელონას" კვლავ ჩამორჩებით, ფინიშამდე კი სულ უფრო ცოტა დრო რჩება...**

- მართალი ბრძანდებით - ისეთი ტემპი გვაქვს აღებული, ქულები არ უნდა დავკარგოთ. ჩემი აზრით, დღეს "რეალი" უკეთ თამაშობს, ვიდრე პრიმერადივიზიონის ყველა სხვა კლუბი. აქედან გამომდინარე, კატალონიელებთან ჩამორჩენის მიუხედავად, მგონი, ჩემპიონობის ყველაზე რეალური კანდიდატები ვართ.

**- თქვენი თანაგუნდელები აცხადებენ, რომ კლუბის ახალი მწვრთნელი ვანდერლეი ლუშემბურგო ძალიან გტვირთავთ, ვიდრე წინამორბედი მწვრთნელები. მოგწონთ თუ არა ახალი სტილის წვრთნები?**

- კარგია თუ არა ესა თუ ის ვარჯიში, ამას ფეხბურთელს არავინ ეკითხება და პასუხისგან მეც თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთს დავძენ - შედეგები კარგია, აქედან გამომდინარე, სწორ გზაზე ვდგავართ. სხვათა შორის, ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ლუშემბურგოს დატვირთვებს ვერ ვუძლებთ - ყველაფერი ჩინებულადაა!

**- შობის წინა დღეებში "რეალში" არაერთი ცვლილება მოხდა. არიგო საკისა და ვანდერლეი ლუშემბურგოს გამოჩენა თქვენთვის სიურპრიზი იყო?**

- რა თქმა უნდა! "მანჩესტერ იუნაიტედში" თითქმის 15 წელი ვთამაშობდი და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ სერ ალექსი მწვრთნიდა, "რეალში" კი, შესაძლოა, ყველაფერი სამ დღეში შეიცვალოს. ახლაც ასე მოხდა - საკის და ლუშემბურგოს დუეტს არავინ ელოდა - ეს ნამდვილი მოულოდნელობა იყო!

**- მთავარ მწვრთნელად ლუშემბურგოს დანიშვნიდან ცოტა ხანში გავრცელდა ხმები, თითქოს თქვენსა და მწვრთნელს შორის უსიამოვნება მოხდა, რის გამოც კლუბს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებდით. ამაზე რას იტყვით?**

- არ ვიცი, რატომ ვრცელდება ასეთი ინფორმაციები. მსგავსი რამ არ მითქვამს და მჯერა, არც მწვრთნელი იტყოდა. "რეალიდან" წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ, აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, მეტიც, მსურს, კარიერა მადრიდში დავასრულო და გული მწყდება, რომ მსგავსი რამ მესმის. ეს ძალიან ცუდია და ვინც ამას აკეთებს, ჯობს, კარგად დაფიქრდეს.

**- რაც დრო გადის, მადრიდში თქვენი პოპულარობა მატულობს...**

- მართალია. როცა აქ ჩამოვედი, ვიგრძენი რომ მოვხვდი იქ, სადაც მელოდნენ, მაგრამ დღეს მადრიდს სულ სხვა თვალით ვუყურებ. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ გულშემატკივრები ასეთ სიყვარულს მაგრძნობინებდნენ. აქაურობით მოხიბლული ვარ! იცით, მე და ვიქტორიამ გადავწყვიტეთ, მესამე ბავშვი მადრიდში დაიბადოს!

**- ესპანურის სწავლა, როგორც ჩანს, გიჭირთ. გამართულად მაინც ვერ საუბრობთ...**

- ასეა. სიმართლე გითხრათ, გულმოდგინედ არ ვსწავლობ - რაც ფეხბურთელს სჭირდება, ის ვიცი. დანარჩენ შემთხვევებში ზოგადი ფრაზებით შემოვიფარგლები, რომელიც პირველ თვეს დავიზეპირე. სხვათა შორის, შვილები ჩემზე უკეთ საუბრობენ ესპანურად.

**- ამბობთ, რომ აქაურობა ძალიან მოგწონთ, თამაშობთ საუკეთესო კლუბში, თავს ბედნიერად გრძნობთ... კარიერის დასასრულზე თუ გიფიქრიათ?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. "რეალთან" კონტრაქტი ჯერ არ მეწურება, არც იმ ასაკში ვარ, უფეხბურთოდ ცხოვრებაზე ვიფიქრო... ჯერ არ გადამიწყვეტია, რას ვიზამ კარიერის დასრულების შემდეგ, მაგრამ ერთი რამ კარგად ვიცი - სანამ ფეხბურთს გამოვეთხოვები, მინდა, რაც შიძლება ბევრი ტიტული მოვიგო!

**მოამზადა**
**ლაშა გელაშვილმა**

სათხილამურო სპორტი

# სრიალი ინაუგურაციით დასრულდა

ბიბა ბურასაშვილი

*სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატზე, ბორმიოსა და სანტა კატერინას ფერდობებზე, ბევრი რამ მოხდა: ისტორიულიც და საარაკოც. თითზე ჩამოსათვლელმა მოწინავე ქვეყნებმა პოზიციები შეინარჩუნეს, ხოლო ზეპური სათხილამურო სამყაროს წარმომადგენლებმა მაჩანჩალებს მასტერკლასები ჩაუტარეს...*

...იასონ აბრამიშვილი, თენგიზ ბაქრაძე და სოფიო ახმეტელი ბორმიოსა და სანტა კატერინას მსოფლიო ჩემპიონატს უსახელოდ დაემშვიდობნენ. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ტრიოსგან რაიმე წარმატებაზე არც არავის უოცნებია. მხოლოდ დავაფიქსირეთ: სამთოსათხილამურო სპორტი საქართველოსთვის უცხო ხილი არაა. ქართული სამეული მსოფლიო ჩემპიონატს ტექნიკურ დისციპლინებში - გიგანტურ სლალომსა და სლალომში საასპარეზოდ ეწვია.

რაკი მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრით სტარტზე ჯერ გიგანტური სლალომით მოსაპარეზეთა გასვლა იყო გათვალისწინებული, ქალთა შორის პირველად ასპარეზობა სოფიო ახმეტელს მოუწია. ორი ცდის ჯამში მან 41-ე ადგილი დაიკავა. მდგომარეობის გამოსწორებას პარასკევს სლალომში შეეცადა, მაგრამ მეორე ცდაზე დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ერთი დღით ადრე გიგანტურ სლალომში იასონ აბრამიშვილი და თენგიზ ბაქრძეც გავიდნენ სტარტზე. ბაქრაძე პირველივე ცდისას გამოეთიშა რბოლას. აბრამიშვილმა კი საკმაოდ მომთხოვნ ტრასაზე 46-ე შედეგით გადაკვეთა ფინიშის ხაზი. რაც შეეხება შაბათის სლალომს, აქ ბაქრაძემ პირველი ცდა ვერ დაამთავრა, აბრამიშვილი კი მეორე ცდაზე დაისაჯა დისკვალიფიკაციით.

ერთი სიტყვით, ქართველთაგან საუკეთესო შედეგი ახმეტელს აქვს. თუ გავითვალისწინებთ აბრამიშვილის ასაკს (16 წლისაა) და იმასაც, რომ ვაჟთა შორის ბევრად დიდია კონკურენცია, 46-ე შედეგი, ალბათ, უკეთეს მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

გამოსარჩევი და ყურადსაღები კი ხორვატი იანიცა კოსტელიჩისა და შვედი ანია პერსონის დუელი გახლდათ. მათი ასპარეზობა ერთგვარად პირად დაპირისპირებას ჰგავდა. თუ რატომ, ამისთვის პატარა ექსკურსი გახლავთ საჭირო. სანტა კატერინაში გათამაშებულ ხუთ "ოქროს" ისინი დაეპატრონნენ.

კოსტელიჩმა კომბინაციისა და დაშვების გარდა, პარასკევს სლალომიც მოიგო, ხოლო პერსონმა სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში იყოჩაღა!

სხვათა შორის, 1987 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც სუპერგიგანტი ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების ოფიციალური პროგრამის ნაწილი გახდა, პირველი შემთხვევაა, როდესაც ხუთივე ოქროს მედალს ორი სპორტსმენი ეუფლება.

თუ ხორვატისა და შვედის ადრეულ შედეგებსაც გადავავლებთ თვალს, მათ შორის დუელი უფრო თვალშისაცემი გახდება. იანიცა და ანია მსოფლიო თასის ბოლო გათამაშებათა საერთო ჩათვლის გამარჯვებულები არიან, შესაბამისად, 2003 და 2004 წლებში.

...სკანდინაველმა მსოფლიო თასზე 1998 წლის დეკემბერში სლალომში მიაღწია პირველ გამარჯვებას. პერსონის პირველი გამარჯვებიდან რამდენიმე კვირის თავზე კოსტელიჩის ჯერიც დადგა: 1999 წლის იანვარში იანიცამ კომბინაცია მოიგო. 2001 წლის თებერვალში სენტ ანტონის მსოფლიო ჩემპიონატზე სლალომში პირველი ცდისას იანიცას ყირამალამ ანია პერსონი დანარჩენებისთვის მიუწვდომელი გახადა და ჩემპიონობაც პირველად დააგემოვნა. თუმცა, სლალომში მოპოვებულ "ოქროს" მალე გიგანტურ სლალომში მოპოვებული "ბრინჯაოც" მიუმატა. მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ სეზონის მიწურულს კოსტელიჩმა სლალომის ზედიზედ რვა მოგებითა და ორჯერ კომბინაციაში გამარჯვებით სტატუს კვო აღადგინა - ხორვატი მსოფლიო თასის საერთო ჩათვლის გამარჯვებულად გამოცხადდა.

...სოლტ ლეიკ სიტის (2002) ოლიმპიურ თამაშებზე ხორვატმა სამი "ოქროთი" ჰეთთრიკი შეასრულა.

ან უკვე სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მომდევნო წელს სენტ მორიცის მსოფლიო ჩემპიონატზე ორი "ოქრო", მოგვიანებით კი მსოფლიო თასის გათამაშებათა დედოფლის გვირგვინიც დაისაკუთრა. რაც შეეხება ანია პერსონს, სკანდინაველი სენტ მორიცის მსოფლიო ჩემპიონატზე "ოქროს" ამარა დარჩა. პერსონი 2004 წლის მსოფლიო თასზე შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას... მოიგო 11 ეტაპი და საერთო ჩათვლის გამარჯვებაც მას დარჩა.

პერსონი და კოსტელიჩი ახლაც იბრძვიან მსოფლიო თასის უმთავრესი ტიტულისთვის, მაგრამ გამარჯვებულის გამოსავლენად 13 აპრილამდე მოგვიწევს მოცდა, მანამდე კი დუელი ბორმიოსა და სანტა კატერინას ფერდობებზე შედგა.

გადამწყვეტი იყო სლალომისტთა ასპარეზობა. რადგან პარასკევამდე სკანდინაველსა და ხორვატს ორ-ორი ოქროს მედალი ჰქონდათ, გასარკვევი იყო, ვის დარჩებოდა მესამე, მთლიანობაში კი ჩემპიონატის მეხუთე ოქროს მედალი.

ბედმა კოსტელიჩს გაუღიმა და ორი წლის წინათ ამავე რანგის ასპარეზობაზე დაუფლებული ტიტული შეინარჩუნა. მეორე და მესამე ადგილები კი ფინელმა ტანია პოუტიაინენმა და ჩეხმა სარკა ზაჰრობსკამ დაიკავეს. სხვათა შორის, ზაჰრობსკას მიერ მოპოვებული "ბრინჯაო" ჩეხეთისთვის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი მედალია. გარდა ამისა, ჩეხი მოთხილამურის ასპარეზობა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი სარკას 20 წლის იუბილეს დაემთხვა. რაც შეეხება კოსტელიჩის დუელიანტს, იგი პირველივე ცდისას გამოეთიშა რბოლას.

ვაჟებმა ქალი სლალომისტებისგან შაბათს ჩაიბარეს ესტაფეტა.

ბენიამინ რაიხი, რომელმაც ავსტრიულ ყულაბაში სამი მედლის - ოქროს (კომბინაციაში), ვერცხლის (გიგანტურ სლალომში) და ბრინჯაოს (სუპერგიგანტში) ჩახჩხრიალება მოასწრო, მეოთხე მედალსაც შესწვდა, ამასთან, ოქროს. სხვათა შორის, შეჯიბრებამდე რაიხი იმათ შორის სახელდებოდა, რომელსაც ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდა. მოცილეებად კი თანაგუნდელებს მანფრედ პრანგერს, რაინერ შონფელდერსა და იტალიელ ჯორჯო როკას მიიჩნევდნენ. პროგნოზი გამართლდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას მხოლოდ პრანგერი გამოეთიშა (მეორე ცდისას), დანარჩენებმა კი, შესაბამისად, გაინაწილეს ადგილები. რა თქმა უნდა, საფრთხე ამერიკელი ბოდე მილერისგანაც იგრძნობოდა, ისევე როგორც მოქმედი ჩემპიონის, ივიცა კოსტელიჩისგან, მაგრამ, პრანგერისა არ იყოს, ამერიკელი მეორე ცდაზე გამოეთიშა რბოლას, ხოლო კოსტელიჩმა პირველი ცდა ვერ დაასრულა.

და კიდევ, სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატების 74-წლიან ისტორიაში გუშინ პირველად გაიმართა გუნდური ასპარეზობა. ორიოდე სიტყვით სიახლეზეც: შეჯიბრება ორი სრიალისგან შედგება. სუპერგიგანტი და შემდეგ სლალომი. თითოეული სრიალი ოთხ ნაწილადაა გაყოფილი: ორჯერ ქალები გადიან სტარტზე და ორჯერ - ვაჟები. გამარჯვებული კი ორივე დისციპლინაში დაგროვილი ქულების შეჯამებით ვლინდება. ბევრისთვის მოულოდნელად, გამარჯვება გერმანელებს დარჩათ. მოულოდნელად იმიტომ, რომ ინდვიდუალურ დისციპლინებში მსოფლიო ჩემპიონატზე აშკარად მოიკოჭლეს. გერმანელებს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ავსტრიელები და ფრანგები. ავსტრიელთა მიერ საინაუგურაციო ასპარეზობაში მოპოვებული "ვერცხლი" ბენიამინ რაიხისთვის მეხუთე მედალი გამოდგა. ჩემპიონატის ყველაზე უხვმოსავლიანი სპორტსმენიც ისაა. ამ მაჩვენებლით რაიხი გაუტოლდა ნორვეგიელ ლასე ჩუსს, რომელმაც 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ასევე ხუთი მედალი მოიპოვა. მოულოდნელი გამოდგა ფრანგთა მესამე ადგილიც. მეოთხეზე კი აშშ-ის გუნდი გავიდა, არადა, მათგან მეტს მოელოდნენ, მაგრამ სუპერგიგანტში დაშვებულმა შეცდომებმა გააუარესეს მათი მდგომარეობა.

ინფოთეკა

### ფერგიუსონს სულშერის იმედი აქვს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ კიდევ აქვს ნორვეგიელი ოლე გუნარ სულშერის იმედი, რომელიც ამ სეზონს მუხლის ტრავმის გამო ტოვებს. "ჩვენ მისი დაბრუნების დიდი იმედი გვაქვს. მიმაჩნია, რომ სულშერს შანსი უნდა მივცეთ. მან კლუბისთვის ბევრი გააკეთა და მომწონს, როგორც ადამიანი," - განაცხადა ფერგიუსონმა.

### მაკედონიელთა მწვრთნელი გადადგა

კვირას თანამდებობიდან გადადგა მაკედონიის ნაკრების მწვრთნელი დრაგან კალატრაროვსკი. "კალატრაროვსკი შეხვდა მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხარალამპი ხაძი-როსტესკის და მას გადაწყვეტილების შესახებ მოახსენა," - ნათქვამია ფედერაციის განცხადებაში. 44 წლის სპეციალისტი მაკედონიის ნაკრებს 2004 წლის აგვისტოდან წვრთნის. მისი ბოლო თამაში კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში ფრე - 0:0 იყო ანდორის ნაკრებთან.

### საფინამ მორესმო დაამარცხა

პარიზში დასრულდა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი 585 000 დოლარი იყო. ფინალში რუსმა დინარა საფინამ ტურნირის მასპინძელი ამელი მორესმო სამ სეტში - 6:4, 2:6, 6:3 დაამარცხა.

### 60 ქულა ერთ მატჩში

ალენ აივერსონმა NBA-ის სეზონის ახალი რეკორდი დაამყარა შედეგიანობის მიხედვით. "ფილადელფიას" მცველმა "ორლანდო მეჯიკთან" მატჩში 60 ქულა მოაგროვა. "ფილადელფიამ" მეტოქე - 112:99 დაამარცხა.

TV-სპორტი

**ორშაბათი. 14 თებერვალი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "უდინეზე"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ოსასუნა" - "რეალი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ სიტი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
18:00 გერმანიის ჩემპიონატი. "არმინია" - "ბავარია"
19:45 საფეხბურთო უიკ ენდი
20:30 სახელოვანი ტელეპროგრამა
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. A3-67 - პსვ

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:10 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "პარმინის ფორმულა"
10:45 საჭადრაკო მიმოხილვა
11:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი საფრანგეთში. ფინალი
13:35 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიასა და კანადაში
14:10 ჰოკეი. ევროტური. "შვედური თამაშები". ჩეხეთი - რუსეთი
16:25 ბილიარდი. "US Open". პირველი ნაწილი
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:45 ამერიკული ფეხბურთი. Pro Bowl. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახელოვანი ტელეპროგრამა
21:15 "ჰოკეი-პლუს"
21:30 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
23:30 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
01:00 "ჰოკეი - პლუს"

**EUROSPORT**
10:30 შეჯდუის რალი
11:00 მძლეოსნობა. გერმანიის დიდი პრიზი
12:45 მულტისპორტი. იტალია-2006
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი ოტალაიში
14:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. იტალია - პორტუგალია. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:30 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. უნგრეთი - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 ბობსლეი. მსოფლიო თასი აშშ-ში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:00 მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი ჩეხეთში. რუსეთი - ჰოლანდია. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი. ევროგოლები
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
03:15 ახალი ამბები

# რა განსაცდელი ელის საქართველოს

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. N 27,28,29,30,31,32.**

ვიქტორ რცხილაძე

მაინც, პრეზიდენტის მთავარი შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთმანეთში ურევს ხელისუფლების მორიგებას ზვიადისტებთან (თანაც არა მთელ ზვიადისტურ სპექტრთან, არამედ მათ ნაწილთან, თუნდაც დიდ ნაწილთან) და ეროვნულ შერიგებას.

ეროვნული შერიგება გულისხმობს კონსენსუსის მიღწევას მთელ პოლიტიკურ სპექტრთან, პოლიტიკურად აქტიური საზოგადოების გაერთიანებას გარკვეული ფასეულობებისა და პლატფორმის გარშემო. დღეს ვაკვირდებით საპირისპირო ტენდენციებს... პრეზიდენტის ლანძღვა-გინება პოლიტიკური ოპონენტების მიმართ იქამდე მივიდა, რომ "ვარდრევოლუციის" აქტიურმა მხარდამჭერმა "არასამთავრობო ორგანიზაციების" წარმომადგენლებმაც კი ამაზე შეშფოთება გამოთქვეს (გაზეთი "24 საათი", ა/წ 16 ოქტომბერი). ასე ვერავითარ კონსენსუსს ვერ მივაღწევთ. ხდება საზოგადოების პოლარიზაცია, დაპირისპირება ღებულობს მახინჯ ფორმებს (როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის). ქვეყანაში მკვიდრდება მმართველობის ავტორიტარული სტილი, ხდება ოპოზიციური აზრის იგნორირება, ელექტრონული მასმედია მაამებლურად აშუქებს მოვლენებს.

შემაშფოთებელია პოლიტიკური პატიმრების მომრავლება (რომ აღარაფერი ვთქვათ საპყრობილეებში წამების ფაქტებზე). რა თქმა უნდა, საპყრობილეში ბევრი დამსახურებულად მოხვდა (კორუფცია)... მაგრამ კანონი უნდა კანონობდეს ყველასათვის, რაც ნიშნავს, რომ თუკი დაიჭერ ერთ ყოფილ მინისტრს, მაშინ აუცილებლად დასაჭერია აბსოლუტურად ყველა ყოფილი მინისტრი (თუ თანამდებობის სხვა მაღალი პირი), რადგან არც ერთს არ ჰქონია მაშინ სოროსული დაფინანსება, ხოლო 200-ლარიან ხელფასზე რომ ვერც ერთი ვერ იცხოვრებდა, იმთავითვე გასაგები იყო. ის მინისტრი კი, ვინც არასახელფასო და არადეკლარირებული შემოსავლებით ცხოვრობს, ავტომატურად "მწიფეა" დაპატიმრებისათვის (არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენი მოიპარა - სახელმწიფო თანხების მიმთვისებელი, ბევრის თუ ცოტასი, ყველა ისჯება კანონით). მოკლედ, აშკარაა კანონის სელექტიური გამოყენება ხელისუფლების მიერ, რაც როგორც იურიდიულად, ისე მორალურად დაუშვებელია. როდესაც კანონის სიმკაცრე მხოლოდ ცალკეულ პირებზე ვრცელდება, ეს პირები ძალაუნებურად (და სამართლიანადაც) აღიქმებიან პოლიტპატიმრებად. ...არავის ეგონოს, რომ ამ ტენდენციებს ვერ ხედავენ დასავლეთში: საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ "ვარდრევოლუციით" გამოწვეული იმედიანი ტონი დასავლურ პრესაში უკვე კარგა ხანია შეიცვალა - დღეს საქართველოს დემოკრატიული იმიჯი გარკვეულწილად ეჭქვეშ დადგა, რაც შეუძლებელს გახდის საქართველოს [illegible]

ექტური მიზეზების გამო ჭირს ქვეყანაში (განსაკუთრებით წარმოებაში) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა (რას იზამ, ობიექტურად არასტაბილურ რეგიონში ვიმყოფებით, რაც აშინებს პირველ რიგში დასავლურ ბიზნესს, რუსულს - გაცილებით ნაკლებად), საჭიროა შიდა საინვესტიციო რეზერვების გამოყენება, ქართველ ბიზნესმენს კი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ყოფილი ჩინოვნიკია, უბრალოდ ეშინია ფულის "გამოჩენა" - არავინაა დღეს სახელმწიფო რეკეტისაგან დაცული. მაგრამ ვიმეორებ, თუკი დღევანდელ ხელისუფლებას მპარავ ყოფილ ჩინოვნიკთა დაჭერა-დაშანტაჟება ურჩევნია, მაშინ ეს უნდა მოხდეს კანონის სრული დაცვით, რაც გულისხმობს, რომ კანონი ისევ და ისევ ყველასათვის ერთი უნდა იყოს და შესაბამისად ყველა უნდა დაისაჯოს. ამ საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ეროვნული შერიგების რეალური მიღწევა, რადგან აღარ იარსებებს საფუძველი უსამართლობის განცდისა.

მხოლოდ ჭეშმარიტი ეროვნული შერიგება, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ კონსენსუსს რიგი საკითხების გარშემო, ისევე როგორც ოპოზიციის, განსხვავებული აზრის პატივისცემას, შეიძლება გახდეს ქვეყნის აღმავლობის საწინდარი. დღევანდელ ნერვულ, უფრო მეტიც, ნევროზულ ატმოსფეროში შეუძლებელი იქნება ისეთი დიდი გეგმების განხორციელებაზე ფიქრიც კი, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა: აფხაზებთან და ოსებთან პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული შერიგების კურსი (რასაც მთლიანად მხარს ვუჭერ) სრული ფიქცია იქნება, თუკი დღევანდელი ხელისუფლება გამოავლენს უუნარობას, საერთო ენა გამონახოს თავად ქართულ საზოგადოებასთან. დღეს ხშირად გაიგონებთ მმართველი პარტიის წარმომადგენლების მხრიდან ოპონენტების მიმართ ნიშნისმოგებით ნათქვამს: სად იყავით ნოემბრის აქციების დროს, რატომ არ დადექით "ხალხის გვერდით"-ო, ახლა თქვენ არაფერი გესაქმებათ პოლიტიკაშიო. მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა დამღუპველი პოზიცია ეროვნული კონსოლიდირებისათვის, მაგრამ პერსპექტივაში თვით რევოლუციონერთათვისაც. ის ადამიანები, ვინც არ "დადგნენ" ნოემბრის მიტინგებზე, სულაც არ თანაუგრძნობდნენ იმჟამინდელ კორუფციულ რეჟიმს (ასეთი ნორმალური ადამიანი არც მეგულება, გარდა ერთი მუჭა რეჟიმს შეზრდილი კორუფციონერებისა), მათ უბრალოდ სხვაგვარად ესმოდათ საქართველოს განვითარება.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ერთს ვახსენებ. ცნობილი დისიდენტი ვალერი ჭალიძე, (იხ. მასზე ჩემს წიგნში "პროზა. რელიგია. კრიტიკა". თბილისი 2001 წ. - "ვინ არის ვალერი ჭალიძე?") ამხელდა რა სოლჟენიცინს შოვინიზმში, წერდა, რომ როდესაც საქმე ეხება ქებასო, იქ სოლჟენიცინისათვის მარტოდენ რუსებია - ვთქვათ, ვინ ასახელა ჩვენი კულტურა საზღვარგარეთ? რუსულმა ბალეტმა! ან, ვინ დაიპყრო პირველად კოსმოსი? რუსმა და რუსულმა კოსმო- [illegible]

ინტერვიუს "იზვესტიაში" (14 აპრილი 2004 წ.): "9 апреля забыть непросто. Но после понятного гнева за эти годы люди поняли: на площади Свободы атаковали не русские войска, а армия советской империи, кровавой и беспощадной. Эта армия с такой же хладнокровной жестокостью давила и убивала и русских в Новочеркаске, и литовцев в Вильнюсе, и чехов в Праге, и венгров в Будапеште. Мы теперь ясно различаем русское и советское. И, честно говоря, я сам поражен, с какой скоростью произошло это потепление в сердцах людей!"

აქ ძალაუნებურად გაგახსენდება "ვარდების რევოლუციის" დროს პარლამენტის წინ გამოსული იგორ ივანოვი, ეს შავბნელი მსახური რუსეთის იმპერიისა და ის ფაქტი, თუ ხალხს როგორ აძახებინეს მის სასიყვარულოდ "იგორ, იგორ!" რაც შეეხება ზემომოტანილ ტექსტს, "ნოვოჩერკასკის" მაგალითი, რომელიც რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ცენტრი იყო ანტიბოლშევიკური, კაზაკური მოძრაობისა, ვერაფერი მოსატანია, რადგან იქ ხალხი გამოვიდა მარტოდენ სოციალური მოთხოვნებით, მაშინ როდესაც ყველა სხვა შემთხვევაში სწორედ რუსეთისაგან თავის დაღწევის მცდელობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ დავუშვათ და ეს მართლაც ალბათ ასეა, რომ სააკაშვილი ამას რუსეთისათვის გულის მოგების მიზნით აცხადებს. ჩემი აზრით, ამ კითხვაზე კორესპონდენტისათვის სულაც დუმილით უნდა "გვეპასუხა" და მისთვის გვერდი აგვევლო. რადგან პრინციპი - პრინციპია და ასეთი მაამებლობა კარგს არაფერს გვპირდება (მერამდენჯერ!), რაც შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

ახლა კმარა პრეზიდენტზე და ორიოდ სიტყვით ოპოზიციაც ვახსენოთ. მე ვერაფრით ვერ დავუჯერებ ისეთ ოპოზიციონერს, რომელიც ბრალს დებს სააკაშვილს "ავტორიტარიზმში", ხოლო თავად საკუთარ "შტაბბინაში" ზ. გამსახურდიას პორტრეტი უკიდია. ასევე გულის ამრევია ისეთი ოპოზიციონერი, რომელიც ბოლო დრომდე მის მეგობრად ითვლებოდა და მხოლოდ ახლა "აეხილა თვალები" და ხმამაღლა გაჰკივის, რომ სააკაშვილის ბიძა ჩეკისტია, რომ თავად სააკაშვილი კგბ-ს ჯარში მსახურობდა და ა.შ. თუ რამდენად იქცევა ასეთი პოზიცია "სერიოზულ ძალად", ამას მომავალი დაგვანახებს. აქვე ვიტყვი, რომ პირდაპირ მაოცებს ის დაჟინება, რომელსაც ქართველი ტელეკორესპონდენტები იჩენენ მოსკოვში საქართველოს მოძულე პოლიტიკოსებიდან ინტერვიუს აღებაში. გავიგეთ, ბატონო, უკვე მრავალგზის, თუ რა აზრის ბრძანდება ჩვენზე ჟირინოვსკი, ზატულინი, ნიკონოვი და ათასი პოლიტიკური ნაგავი. არა! მაინცდამაინც მათ იწვევენ "სადისკუსიოდ" (ერთი ფაფახიანი გიჟის გამოჩენა მარტო რად ღირდა ეკრანზე!), მათზე ვითომ "იმარჯვებენ" და უფრო ხშირად მარცხდებიან და სხვა. ეს რაღაც მაზოხიზმის მსგავსია და მიდის მათი მხრიდან საქართველოს ლანძღვა-გინება საქართველოშივე. მართალია, ეს ნაგვები [illegible]

შემდგარი სახელმწიფოა" და სხვა.

აი, ერთი შეხედვით, ყოველივე ის, რასაც საქართველოსთვის განსაცდელი "შიგნიდან" შეიძლება ეწოდოს. მაგრამ არსებობს უფრო ღრმა შრეები განსაცდელისა. თუ გავიხსენებთ წინა თავებს, როდესაც ვსაუბრობდით "პირველცოდვაზე" და ადამიანში დაბუდებულ "რადიკალურ ბოროტებაზე" და ამავე დროს გვეცოდინება, ფრენსის ფუკუიამას მოსწრებული სიტყვით თუ ვიტყვით, რომ "ცნობიერება არის მიზეზი და არა შედეგი და მას ძალუძს განვითარება მატერიალური სამყაროსაგან დამოუკიდებლად", მაშინ ნებისმიერი მორალურად და პოლიტიკურად საშიში იდეოლოგიის გავრცელება უდიდესი განსაცდელის მომტანია ჩვენი ერისთვის. აქ ისევ მივადექით ფაშიზმის მიერ სულთა დაუფლების პრობლემას საქართველოში და მის ნაირსახეობას - რელიგიურ ნაციონალიზმს, რაც, ბუნებრივია, მარტო ე.წ. ჯუჯა "სამხრეთ ოსეთით" არ შემოიფარგლება. მაგრამ სანამ ამ ვითარებას განვმარტავ, მინდა ორი სიტყვით შევეხო იმ პიროვნებებს, ვინც ამ მოვლენას ებრძვის მაინცდამაინც საქართველოს ეკლესიაში, რადგან ეკლესიის გარეთ, ე.წ. "პოლიტიკოსებში", იგი უფრო მეტად გაფურჩქვნილა.

აქ პირველ რიგში გამოვყოფ დეკანოზ ბასილ კობახიძეს, რომელიც ამ მხრივ დიდი აქტიურობით გამოირჩევა. სამწუხაროდ, მისი დაწერილი არაფერი წამიკითხავს და რევოლუციის წლისთავზე მხოლოდ ტელეეკრანზე მისი გამოსვლების ტექსტით უნდა დავკმაყოფილდე. დეკანოზი სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას რელიგიურ ნაციონალიზმზე - "ეროვნულ ქრისტიანიზმზე", მაგრამ, ამის საპირისპიროდ, არასრულფასოვანი მაგალითები მოჰყავს. ვგულისხმობ წამდაუწუმ საფრანგეთის მაგალითის მოხმობას, რომ აი, ჩემი იქ ყოფნის დროსო "დაადგინეს", რომ ჟაკ შირაკი ეკლესიაში არ უნდა შევიდეს "როგორც პრეზიდენტი", არამედ როგორც კერძო პირიო. სააკაშვილი პატრიარქს ხელზე რომ ემთხვია, ყოვლად დაუშვებელია პრეზიდენტისგან - მან ხომ ამით თავის აღმსარებლობას ხაზი გაუსვაო. როდესაც სახელმწიფო დროშა რელიგიური მრწამსის გამოხატულებაა და იგი წმ. სამების ახალი ტაძრის კურთხევის დროს "რევოლუციურ ტრიუმვირატს" წინ მიუძღვის - ეს აშკარა ბიზანტინიზმიაო. ვერ ვიზიარებ კონსტანტინე დიდის და მეფე მირიანის "სახელმწიფო ქრისტიანობასო" და ა.შ. და ამის მსგავსი. შეიძლება მეხსიერებამ მიღალატა და რაღაც ზუსტად ვერ გადმოვეცი, მაგრამ განწყობა, სულისკვეთება ნამდვილად ამგვარი იყო. ჰო, და რაც მთავარია: დეკანოზი ბ. კობახიძე ამხელს საპატრიარქოს ფულის გაკეთების რაღაც მაქინაციებში და სასულიერო აკადემიის ის სტუდენტები, რომლებიც ამას დაუპირისპირდნენ, ცაში აჰყავს.

რა უნდა ითქვას ყოველივე ამაზე? ქრისტიანობის თვალსაზრისით საფრანგეთის მაგალითი ნამდვილად არ გამოგვადგება. ბ. კობახიძის გარდა იქ სერგეი ავერინცევიც გახლდათ, რომელმაც განაცხადა: "ევროპაში ქრისტიანო- [illegible]

პრესიდან შევიტყვე, რომ მას დაცინვით "პრეზიდენტ-შხაპს" უწოდებენ. იგულისხმება შხაპის მიღება სექსუალური აქტის მერე. ნუ დაგვავიწყდება აგრეთვე, რომ ქალაქ პარიზისა და ბერლინის მერები ჰომოსექსუალისტები არიან, რომელნიც ღიად ადასტურებენ ამას (აფსუს ჩვენო ჭიაბერაშვილო, რა დევგმირი ხარ მათთან შედარებით!). როდესაც ამას ვწერ, უცებ გაიელვა რუსეთუმე ვახტანგ გოგუაძის მოხითხითე, გაბადრულმა სახემ - ტყუილად გიხარია, ამხანაგო გოგუაძე! შენი რუსეთი ბოღმითა და ეგოიზმით აღსავსე წარმართული სახელმწიფოა, სადაც მხოლოდ მცირე შრე არის ნამდვილად ქრისტიანიზებული. რაც შეეხება საფრანგეთს, ბ. კობახიძისა და სხვათა გასაგონად ვიტყვი, რომ 25-მა ევროპულმა სახელმწიფომ, რომლებმაც 29 ოქტომბერს რომში ხელი მოაწერა "კონსტიტუციურ ტრაქტატს" ანუ საბოლოო ტექსტს ევროპული კონსტიტუციისას, რომელიც ძალაში შევა 2006 წელს, არ გაითვალისწინა დასავლეთისა და აღმოსავლეთ ქრისტიანული ეკლესიების თხოვნა და კონსტიტუციის პრეამბულაში არ მოიხსენია ევროპული კონტინენტის "ქრისტიანული ფესვები" და იცით ამაში ვის მიუძღვის "ლომის წილი"? ვისა და საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ჟისკარ დ`ესტენს, რომელმაც მოითხოვა პრეამბულაში ფრანგული "განმანათლებლობის" ხსენება, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მონაპოვარი, რადგან ის ღირებულებები - პრესის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვისა და აზრის გამოთქმისა, რითაც ევროპა დღეს ასე თავს იწონებს, სწორედ ამ "განმანათლებლობის" ნაყოფიაო. აქვე როგორ არ აღვნიშნო, თუ რას ამბობდა თავის ლექციაში "ევროპული კულტურის ერთიანობა" დიდი ინგლისელი პოეტი და ესეისტი ტომაზ სტერნზ ელიოტი (პირველად გამოქვეყნდა ბერლინში გერმანულ ენაზე 1946 წელს): "დომინირებულ ძალად, რომელიც ქმნის ხალხთა საერთო კულტურას, რომელთაგან თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული კულტურა, გვევლინება რელიგია... მე ვსაუბრობ ქრისტიანობის საერთო ტრადიციაზე, რომელმაც ჩამოაყალიბა ევროპა დღევანდელი სახით, მე ვსაუბრობ კულტურის საერთო საწყისებზე, რომლებიც მოიტანა ყველა ჩვენგანის მიერ გაზიარებულმა ქრისტიანობამ... მხოლოდ ქრისტიანულ კულტურას შეეძლო მოეცა ვოლტერი და ნიცშე. მე არა მჯერა, რომ ევროპულ კულტურას ძალუძს გადარჩენა, თუკი სავსებით გაქრება ქრისტიანული რწმენა. და ამაში დარწმუნებული ვარ არა მხოლოდ იმიტომ, რომ თავად ვარ ქრისტიანი, არამედ იმიტომ, რომ ასე გვასწავლის სოციალური ბიოლოგია. ქრისტიანობის გაქრობასთან ერთად გაქრება მთელი კულტურა".

ახლა რაც შეეხება კონსტანტინე დიდს, მეფე მირიანს და რევოლუციური ტრიუმვირატის "ბიზანტინიზმს". მე გაკვირვებული ვარ: ნუთუ ბ. კობახიძე მართლაც მართლმადიდებელია და არა პოზიტივისტური სკოლის ისტორიკოსი, რომელიც არად მიიჩნევს [illegible]

და დარწმუნებული ვარ, ჩემთან ერთად ათასობით მორწმუნეს.

თუკი დეკანოზ ბ. კობახიძის გამოსვლა თავისი პათოსით ნამდვილად იმსახურებდა სიმპათიას, როგორც ახალგაზრდა და როგორც სასულიერო პირი, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელ პ. ზაქარეიშვილზე. ნუთუ ამ "ინსტიტუტს" ასე გაუჭირდა და ისეთი პიროვნება გამოაგზავნა საპოლემიკოდ, რომელსაც ოპონენტმა მყის გაახსენა მისი "ტიხაროსნობა" და ერთდროულად "მეცნიერული კომუნიზმის" ლექტორობა?! ან რა ფასი აქვს მის მიერ თბილისის სასულიერო აკადემიის დამთავრებას და საერთოდ მის "მართლმადიდებლობას", თუკი მას ეკლესია "მხოლოდ სახარება" ჰგონია, ან და "მიღწევა" - ჰომოსექსუალისტების დაცვა?! შეიძლება აქაც ზუსტად ვერ მოვისმინე და ვერ გავარჩიე ამ პიროვნების საუბარი, რადგან იგი ისე ტყვიამფრქვევივით ისროდა სიტყვებს აცახცახებული ნიკაპიდან, რომ არათუ სმენა, სანახავადაც ძნელი იყო ეს. მაგრამ რაც გავარჩიე, საკმარისი გახლდათ, რომ მასზე ასეთი აზრი შემქმნოდა. თავად ამ "თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორის", ბ-ნ ლ. რამიშვილის გამონათქვამმა, ასევე ტელევიზიის საშუალებით, ფრიად და ფრიად დიდი ეჭვი აღმიძრა უკვე ამ ინსტიტუტის მიმართ. რა თქვა ამისთანა ლ. რამიშვილმა? რა და "ზვიად გამსახურდიას თავის დროზე კომუნისტები რომ დაეპატიმრებინა, მას ასე არ დაამხობდნენო". აქ ორი რამ იკვეთება. პირველი: ლ. რამიშვილს ჰგონია, რომ გამსახურდია კომუნისტებმა დაამხეს და არა დემოკრატიულმა ძალებმა, რომელთაც ვერ იგუეს ავტორიტარიზმი. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ მარტო კიტოვანი თავისი ორასი გვარდიელით ამას ვერ იზამდა. ასე რომ, კომუნისტებმა კი არ დაამხეს, არამედ ხელისუფლებაში მოიყვანეს ზ.გ. მეორე: თვით ეს სურვილი კომუნისტების დაპატიმრებისა, რაღაც დისონანსშია "თავისუფლების ინსტიტუტის" იდეალებთან და პროვინციული ფაშიზმის სუნი ასდის. ფაშიზმის ერთ-ერთი განმარტება, რომელსაც იძლევა გერმანელი ავტორი ერნსტ ნოლტე, რომელიც აღიარებული მკვლევარია მისი იდეოლოგიისა და ისტორიისა, ასეთი გახლავთ: "ფაშიზმი წარმოადგენს ანტიმარქსიზმს, რომელიც ისწრაფვის გაანადგუროს მოწინააღმდეგე რადიკალურად განსხვავებული და მაინც მსგავსი იდეოლოგიის გამომუშავების მეშვეობით და თითქმის იგივეობრივი, მაგრამ დამახასიათებლად სახეცვლილი მეთოდების გზით, რომელნიც ყოველთვის მოქმედებენ ნაციონალური თვითგამორკვევისა და ავტონომიის ჩაკეტილ ჩარჩოებში".

მაგრამ ახლა "თავისუფლების ინსტიტუტისათვის" ნაცნობ ყიჟინას გავიმეორებ - "კმარა!" და ისევ ჩვენი ეკლესიის პრობლემებს დავუბრუნდები. ნეტავ უწყიან ამ მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა ზემოხსენებულმა პირებმა, ჩვენი ეკლესიის მდგომარეობა "საბჭოთა" წარსულში (ვგულისხმობ 50-იანი წლებიდან)? მე მახსოვს პატრიარქი მელქისედეკი, პატრიარქ ეფრემთან მისაუბრია კიდეც, სათნო მოხუცი, დეკანოზი ალექსანდრე და ასევე სათნო მღვდელი ივ- [illegible]

ნენ საზიზღარ ხმებს პატრიარქზე. აღდგომა ღამეს ხალხით კი იჭედებოდა საყდრები, მაგრამ მრავალი უმსგავსოებაც ხდებოდა იქ: მთვრალები, პაპიროსის წევა, გოგოების "ჭყლეტა" და სხვა ოხრობა. გარეთ ჩასაფრებული იყვნენ კომკავშირელი აქტივისტები და ხალხს აშინებდნენ და "აღრიცხავდნენ" მათ. ეს სულ ბოლო დრომდე გრძელდებოდა, რაც კარგად უწყის რამდენიმე დღევანდელმა გაბღენძილმა დეპუტატმა, რომლებიც მაშინ ამ დევნას ახორციელებდნენ. და აი, მოვიდა ილია II და თანდათანობით მრევლმა იმატა, იწყო სასულიერო პირთა გამრავლება როგორც სოფლად, ასევე ქალაქებში. რის ვაივაგლახით გამოიცა თვით "საღვთისმეტყველო კრებული", მართალია სულ 200 ტირაჟით, რომელსაც ზემოდან ეწერა "სამსახურებრივი მოხმარებისათვის", მაგრამ მაინც დიდი საქმე იყო ეს იმჟამად (სახარება ჯერ ეფრემმა გამოსცა, ხოლო ილიას დროს სრული ბიბლია გამოიცა). ახლა რაც შეეხება მღვდელ-დიაკონთა მრავლებას. რა სჯობდა: სულ დაცარიელებული ეკლესიები და ფარეხად ქცეული ტაძრები, თუ მათი დაწმენდა, ხალხით ავსება და სანთლებით გადანათება? რასაკვირველია, ახალ სასულიერო პირთა შორის უღირსნიც იყვნენ, მაგრამ წესი, რიტუალი ხომ სრულდებოდა, ხოლო დანარჩენი მათ ღვთისაგან მოეკითხებოდა და დღესაც მოეკითხება, რადგან ძველ უღირსებს დღესაც ვხედავ მათ რიგებში. მაგრამ მე ვინ ვარ, რომ ისინი განვიკითხო? დიდი ცოდვილნი (ჰომოსექსუალისტები) პატრიარქმა თვითონ განაძევა, უხმაუროდ. ახლა წამოვხტე, რომელსაც მორჩილება ერთ-ერთ დიდ საეკლესიო სიკეთედ მიმაჩნია და ეკლესიის ცოცხალი სხეულის ხლეჩა ვიწყო? კორუფციაო, ვამბობთ. მეც გულს მირევს ზოგიერთი მღვდლის მიერ ნათლობის მერე ნათლიებთან პირდაპირ ვაჭრობა, ან მათი "ინომარკები". მაგრამ სანამ მათ გარკვეული ხელფასი არ დაენიშნებათ, ეს ასე გაგრძელდება. რაც შეეხება მღვდელთა მიერ ნატო-სა და საერთოდ დასავლეთის ძაგებას, მათი არცთუ მცირე ნაწილის მოსკოვურ პროპაგანდაზე წამოგებას, აქ საქმე ამგვარად მესახება. საპატრიარქოს სახელით (ზოგი ამ სახელს ყალბად ითვისებს) გამოდის არაერთი პრიმიტიული გაზეთი და იქ თუ ასეთ პრომოსკოვურ პროპაგანდას იხილავენ, კეთილი ინებონ და "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრებმა ამხილონ ეს ცენტრალური გაზეთების მეშვეობით. როდესაც რუსმა მღვდელმა, რომელმაც მთელი ცხოვრება აქ გაატარა და ქართული ვერა და ვერ ისწავლა, დიახ, როდესაც ამ მღვდელმა უკვე "ლიტერატურულ საქართველოში" გადმოინაცვლა და დასავლეთისკენ სვლა დაგვიწუნა და ფაქტობრივად, დაგვცინა, მე იგი იმავე გაზეთში მკვეთრად დავგმე (მისმა იდიოტმა ქართულმა მრევლმა ამის გამო "კათოლიკებისაგან ფულის აღება" დამწამა. იმედია, "თავისუფლების ინსტიტუტი" ახლა "ფუნდამენტალისტებისაგან" არ დამწამებს "ფულის აღებას"). დიახ, ბატონებო, შრომა უნდა ყველაფერს და თუ გული გვეწვის, იმ გაზეთების მხილება არ უნდა დავიზაროთ. ამავე დროს პრესიდან განმეორე- [illegible]

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი მოსაზრების გამო

დიმიტრი შველიძე

ჯერ კიდევ ძველმა ქართულმა მწერლობამ უცილოდ აღიარა დავით აღმაშენებელი უპირველეს და უდიდეს სახელმწიფო მოღვაწედ და მხედართმთავრად საქართველოს მეფე-გვირგვინოსანთა შორის. იგივე აზრი უდავოდ გაიზიარა და მეცნიერულადაც დაასაბუთა ახალი დროის ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ამავდროულად, ცდილობდნენ შეეფასებინათ დავითის როლი და ადგილი სხვა ხალხების ისტორიასა და იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების რკალში. დავით მეფის ღვაწლს დიდი პატივისცემით მოიხსენიებდნენ სომეხი მეისტორიენი; მის მხედართმთავრულ ნიჭს, კაცთმოყვარეობას და ავტორიტეტს ერთხმად აღიარებდნენ მუსლიმი მემატიანეები, ხოლო დავით მეფის სახელი აღფრთოვანებას იწვევდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

დავით მეფის უნივერსალური მოღვაწეობის პირველი დიდი შემფასებელი, მისივე ბიოგრაფი და ჩვენს ისტორიოგრაფიაში დავითის ისტორიკოსად წოდებული ანონიმი ავტორი გახლდათ. იგი იყო პირველი მათ შორისაც, ვინც სცადა დავითის პიროვნება, მისი მხედართმთავრული ღირსებები და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მსოფლიო ისტორიის უდიდესი და უცნობილესი პერსონაჟების დამსახურებაზე მაღლა დაეყენებინა. ვინ არიან ისინი? ტროას ომის გმირები: აგამემნონი და პრიამოსი, აქილევსი და ჰექტორი, ოდისევსი და ორესტე, მათ ისეთი არაფერი გაუკეთებიათ, რამდენადაც მათი სახელებია ცნობილი.

დავითის ისტორიკოსის რწმენით, არამცთუ ზემოთ ჩამოთვლილებს, არამედ თვით ალექსანდრე მაკედონელსაც კი არა რამ უქმნია, რაც დავით აღმაშენებლს. მით უფრო ვერ შეედრებიან ქართველთა ძლევამოსილ მეფეს რომის იმპერატორები ვესპასიანე და ტიტუსი. მაშ, რატომ არის მათი სახელები ამგვარი დიდებით მოსილი, რომლის ღირსნიც არ არიან? მათ ხომ, დავითის ისტორიკოსის რწმენით, ისეთი საქმეები არ უკეთებიათ, რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო ამგვარი ხოტბით მოსათხრობად: "ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მოსათხრობელად," - წერს ისტორიკოსი.

თურმე სხვა ყოფილა მიზეზი ზემოჩამოთვლილ პირთა ესოდენი სახელგანთქმულობისა. მათი საქმიანობა დიდი ხელოვნებით აღწერეს ჰომეროსმა, არისტობულემ და იოსებ ფლავიუსმა. სწორედ ამ სახელოვანმა ავტორებმა "ხელოვნებითა რიტორობისათა" ისეთი ხოტბა შეასხეს თავიანთი თხრობის პერსონაჟებს, ისე დაწვრილებით გადმოგვცეს მათი საქმიანობა, ნალვაწი, ბრძოლები, რომ სამუდამოდ განადიდეს და უკვდავყვეს მათი სახელები საქვეყნოდ. დავითის ისტორიკოსს ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოცემული აქილევსის შეფასება აქვს მოხმობილი, საკუთარი მოსაზრების დასადასტურებლად: "არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს". დავითის ისტორიკოსის პოზიცია და შეფასებაც ანალოგიურია: არც ერთ ზემოჩამოთვლილ ისტორიულ (თუ მითოლოგიურ-დ.შ) პიროვნებას ისე დიდი საქმეები არ ჩაუდენიათ, უბრალოდ, მათ "დიდი", რიტორობის სფეროში დახელოვნებული "მაქებლები" აღმოაჩნდნენ. "ჰქონებოდესმცა ამათ ბრძენთა თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, - გვარწმუნებს მეთორმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, - და მათმცა აღწერნეს ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყვნეს ჯეროვანსა ქებასა".

დავით მეფისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ისტორიული თხზულების უცნობი ავტორი, მარტოოდენ განცხადებით არ კმაყოფილდება და საკუთარი გაბედული მოსაზრების დასაბუთებასაც ცდილობს. პირველ შემთხვევაში, დავითის მხედრული ნალვაწი უდავოდ აღემატებოდა ტროას ომის მონაწილეთა გმირობას. აქაველთა და ტროელთა ომი "28 წელ" გრძელდებოდა და "ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა". ისტორიკოსს ალბათ მხედველობაში ის გარემოება ჰქონდა, რომ ხანგრძლივი ბრძოლა, ბოლოს და ბოლოს, ერთი ქალაქისთვის მიმდინარეობდა. ამისგან განსხვავებით, დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკებს სამ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში ებრძოდა, რომლის დროსაც მომხდურები ვერასოდეს ვერ უძლებდნენ ქართველთა მეფის პირველსავე შეტევას, მარცხდებოდნენ და გარბოდნენ. ისტორიკოსის აზრით, ალბათ ვერც რომაელი მხედართმთავრებისა და შემდგომში იმპერატორების ვესპასიანესა და ტიტუსის მიერ აჯანყებული იუდეველების წინააღმდეგ ბრძოლა და ძლევა შეედრებოდა აღმაშენებლის ძლევამოსილ ბრძოლებს.

მაგრამ "ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითის" ავტორის შედარების მთავარი სამიზნე მაინც ალექსანდრე მაკედონელია. არა, დავითის ბიოგრაფი საღად აფასებს ალექსანდრეს პიროვნებას, არსად არ ამცრობს მის ღირსებას ან ტალანტს. მისი სიტყვებით, არისტობულემ აღწერა დიდი მაკედონელის "მძლეობანი, სიმხნენი და ძლევა-შემოსილობანი". ისტორიკოსის პრეტენზია ერთია - აღმაშენებელი არაფრით ჩამოუვარდებოდა ალექსანდრეს, "არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა სიმხნითა უმცირე". პირიქით, "თვით მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა უმაღლეს მგონიეს ესე" დავითიო, - დაასკვნის ისტორიკოსი. შემდგომ, თხზულებაში ჩამოთვლილია ის ადამიანური თუ ზნეობრივი ღირსებები, რომლითაც ისტორიკოსის რწმენით, დავით აღმაშენებელი აღემატებოდა "მისთა სწორთა". იმაშიც დარწმუნებულია ისტორიკოსი, რომ დავითი თავის თანამედროვე მეფე-ხელისუფალთა შორის "უმაღლეს და უზეშთაეს იყო".

დავითის ისტორიკოსმა მშვენივრად იცის, რომ ალექსანდრე მაკედონელმა თავისი დროის უდიდესი იმპერია შექმნა. იგი არაზუსტად, მაგრამ ძირითადად სწორად ჩამოთვლის კიდეც ამ იმპერიაში შემავალ ქვეყნებს, თუმცა, შეცდომით მიიჩნევს, რომ ალექსანდრემ თითქოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებიც დაიპყრო. დიახ, ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გავრცელებული საქართველოს სამეფო, მაინც ვერ შეედრებოდა მაკედონიიდან ინდოეთამდე და ეგვიპტემდე გადაჭიმულ ალექსანდრეს იმპერიას. მაგრამ მეთორმეტე საუკუნის ისტორიკოსი იხტიბარს არ იტეხს და გვარწმუნებს, რომ იმ სამხედრო ძალებით, რომელიც დავითს გააჩნდა, ვერც ალექსანდრე მიაღწევდა ვერაფერს, ხოლო პირიქით, დავითს რომ ბერძენ-რომაელთა ან სხვა დიდი სახელმწიფოს შესაბამისი სამხედრო ძალები ჰყოლოდა, "მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი".

თანამედროვე მკითხველს შეიძლება ოდნავ გულუბრყვილოდაც მოეჩვენოს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის არგუმენტაცია, ან გადაჭარბებულად მაინც. მაგრამ ისიც გაუმართლებელი სკეპტიციზმი იქნება, რომ ძველი მემატიანის მტკიცებაში სიმართლისა და ლოგიკის მარცვალი არ შევნიშნოთ. ვცადოთ, რამდენიმე მონაცემით შევამაგროთ დავითის ისტორიკოსის საერთო პოზიცია - რა შეიძლებოდა ეგულისხმა კიდევ ისტორიკოსს, როცა დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურ ღირსებებს ადარებდა ალექსანდრე მაკედონელის იგავმიუწვდომელ ავტორიტეტს?

1. მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეთა შედარება ზესახელმწიფოებისა და იმპერიების "მშენებლებთან" სავსებით შესაძლებელია. დავითის ისტორიკოსის ამგვარი პოზიცია პრინციპულად გამართლებული და სწორი შეხედულება იყო.

2. დავითის ისტორიკოსმა უთუოდ იცოდა, რომ ალექსანდრეს მიღწევები ბევრად განაპირობა წინამოვლენებმა. პირველ რიგში, ოცი წლის უფლისწულს წილად ხვდა ბერძენ-მაკედონელთა გაერთიანებული სახელმწიფოს მეფობა. ფილიპე მაკედონელმა შეძლო ის, რაც ვერ შეძლო ვერავინ ორი საუკუნის მანძილზე - ბერძნული პოლისების გაერთიანება მაკედონიის ჰეგემონობით. ეს მოხდა კორინთოში შეკრებილ კონგრესსზე, 337 წელს ჩვენს წ. აღმდე. სრულიად საპირისპირო ვითარებაში ავიდა სამეფო ტახტზე დავით მეოთხე გიორგის ძე - კარგადაა ცნობილი 1089 წლის უნუგეშო სურათი საქართველოში, რომელსაც ჩვენი ისტორიკოსი მჭევრმეტყველურად აღწერს.

3. იმავე 337 წელს, კორინთოს კონგრესზე გადაწყდა ბერძენ-მაკედონელთა ლაშქრობა აზიაში და სპარსეთის იმპერიის განადგურება. ლაშქრობის მეთაური, რა თქმა უნდა, ფილიპე მეორე მაკედონელი უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება უკვე ნიშნავს იმას, რომ შემდგომ წლებში სპარსეთის იმპერიის განადგურება არ იყო მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის პირადი დამსახურება, მიუხედავად მისი დიდი მხედართმთავრული ტალანტისა და მეომრული სიმამაცისა. საქმე ის გახლდათ, რომ ამ დროისათვის ბერძნული სამხედრო ხელოვნება და ძალების უპირატესობა სპარსელებთან შედარებით, გამოკვეთილი და უდავო იყო.

მას შემდეგ, რაც ბერძენ-სპარსელთა შორის ცნობილი ომები დაიწყო ძვ. წ. აღ. 500 წელს, ყველა დიდ სახმელეთო თუ საზღვაო ბრძოლაში ბერძნები, როგორც წესი, იმარჯვებდნენ. 490 წელს ბერძნებმა მილტიადეს სარდლობით მარათონის ველზე სასტიკად დაამარცხეს სპარსელები. ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი დელბრიუკი სამხედრო ხელოვნების "კლასიკურ შედევრს" უწოდებს მილტიადეს მიერ გამოყენებულ "თავდაცვით-შეტევით"-ი ტაქტიკის უნაკლო განხორციელებას. უკვე ამ დროს ბერძნებს გააჩნდათ ფალანგა - ტექნიკური შენაერთი მძიმედ შეიარაღებული ქვეითებისა, რომლის დარტყმაც თავგზას უბნევდა სპარსელებს.

480 წელს სალამინის და ცოტა გვიან მიკალეს კონცხთან საზღვაო ბრძოლებში ბერძნებმა პირწმინდად გაანადგურეს სპარსეთის მეფის ქსერქსეს ფლოტი. 479 წელს პლატეასთან სახმელეთო ბრძოლაში პავსანიამ სასტიკად დაამარცხა სპარსელები, რომლებმაც სასწრაფოდ მიატოვეს საბერძნეთი და უკუიქცნენ. 469 წელს მდინარე ევრიმედონტთან ბერძნები კვლავ ამარცხებენ სპარსელებს, ხოლო 449 წელს სალამინთან ბრძოლაში საბოლოოდ იმარჯვებენ აზიის ამ გიგანტზე. უკვე ამ ბრძოლებმა საბოლოოდ ცხადყო ბერძნული სამხედრო ხელოვნების სრული უპირატესობა სპარსელთა არამწყობრ, თუმცა რაოდენობრივად ჭარბ ძალებზე.

ბერძნულ-სპარსული დაპირისპირება XIX სს-ში გავრცელებულ ერთ შედარებას მოგვაგონებს. სამხედროები თურმე ხუმრობდნენ, ავსტრია-უნგრეთის არმია იმიტომ არსებობს, რომ ევროპის ნებისმიერი ქვეყნის არმიასთან დამარცხდესო, ხოლო თურქეთის ჯარი კი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ ავსტრიელებთან დამარცხდესო. ეს ხუმრობა ჩვენს შემთხვევას რომ მოვუსადაგოთ, ამგვარ კომბინაციას მივიღებთ: ბერძნული ქალაქი-პოლისები იმიტომ არსებობდნენ, რომ განუწყვეტლივ ეომათ ერთმანეთთან, ხოლო სპარსეთის არმია კი იმისთვის, რომ ბერძნებთან ყოველთვის დამარცხებულიყო.

ძველი მსოფლიოს ისტორიის აღნიშნული ეპიზოდი იმიტომ გავიხსენეთ, რომ კარგად გავიაზროთ - ალექსანდრე მაკედონელის მქუხარე გამარჯვებებში სპარსელებთან, არაფერი იყო ახალი ან გასაკვირი. პირიქით, სრული კანონზომიერება გახლდათ. ერთი - იმიტომ, რომ ბერძნულ-მაკედონური სახელმწიფო განუზომლად ძლიერი იყო ძველ დაშლილ-დანაწილებულ საბერძნეთთან შედარებით; მეორე - იმიტომ, რომ დარიოს მესამის დროინდელი სპარსეთი ბევრად უფრო სუსტი გახლდათ, ვიდრე პირველი აქემენიდების სპარსეთი, რომელსაც ძველი კოლხები ხუთ წელიწადში ერთხელ მოსაკითხ ძღვენს უგზავნიდნენ ხოლმე.

4. ბერძენ-მაკედონელთა ახალგაზრდა მეთაურს თავის უშუალო მოწინააღმდეგეშიც "გაუმართლა". სპარსეთის ახალი გვირგვინოსანი დარიოს მესამე კოდომანი სამეფო დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი, მეფობისათვის სრულიად მოუმზადებელი და სუსტი მხედართმთავარი აღმოჩნდა. იგი ოდნავადაც ვერ დაუპირისპირდებოდა მსოფლიოს მბრძანებლობისათვის მოწოდებულ დიდ მაკედონელს.

5. ყველაზე გასაკვირი კი ის გახლავთ, რომ სპარსეთის უზარმაზარი იმპერიის ბედი სამ ბრძოლაში გადაწყდა. ისოსთან, გრანიკთან და გავგამელასთან ალექსანდრე მაკედონელმა არა მარტო დარიოს მესამის არმია გაანადგურა, არამედ მთელი სპარსეთის იმპერია დაამხო და დაიპყრო. რა თქმა უნდა, მცირე აზიიდან ამუდარიამდე გადაჭიმული იმპერიის დაპყრობის ამ "სიადვილეს" არა ერთი ფაქტორი განაპირობებდა. ერთ-ერთი ფაქტორი ალბათ გეოგრაფიულიც იყო. არც ისე მჭიდროდ დასახლებული ახლო აღმოსავლეთის ვრცელი ველების და უდაბნოების დაპყრობას ნაკლები სამხედრო ოპერაციები, შეტაკებები და ბრძოლები ესაჭიროებოდა. ეს შემდგომმა ისტორიამაც დაადასტურა. არაბებმა შედარებით "ადვილად" დაიპყრეს ახლო აღმოსავლეთის რიგი ქვეყნები და თვით ჩრდილოეთ აფრიკის უზარმაზარი ტერიტორია. სამაგიეროდ, მათ ძალიან გაუჭირდათ მცირე აზია-სამხრეთ კავკასიის დამორჩილება, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ფეხის შედგმა საერთოდ ვერ შეძლეს.

შესაძლოა, დავით აღმაშენებლის ისტირიკოსი გეოგრაფიულ გარემოებებსაც ითვალისწინებდა და მიაჩნდა, რომ სამხრეთ კავკასიის მთაგორიანი ტერიტორიის ჯერ განთავისუფლება ბარბაროსი თურქ-სელჩუკებისაგან და პრაქტიკულად პირველი "კავკასიური იმპერიის" შექმნა, არანაკლებ სამხედრო-პოლიტიკური სირთულის ამოცანას წარმოადგენდა, ვიდრე ვრცელი ვაკეტერიტორიების მარშით გავლა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ მრავალრიცხოვანი სამხედრო კამპანიების აღწერა-ჩამოთვლა ამ მიზანს ისახავს - მკითხველს თვალწინ წარმოუდგინოს კავკასიური ომის სიძნელე და სპეციფიკა - როცა მეფეს განუწყვეტელი ბრძოლით უხდებოდა თითოეული ხეობის, რაიონის, ქალაქის თუ პროვინციის განთავისუფლება და დაკავება, ჯერ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, მერე სომხეთსა და შირვანში თუ სამხრეთ კავკასიის მისადგომებთან.

6. ახლა, რაც შეეხება თურქ-სელჩუკებს. რამდენიმე წლის წინ თურქეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა, რესპუბლიკის საიუბილეო წლისთავზე განაცხადა - ჩვენ, თურქებს, ჩვენი ქვეყანა გზაზე არ გვიპოვია, ჩვენ იგი ბრძოლით მოვიპოვეთო. ჭეშმარიტებაა. XI საუკუნის 40-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში შემოჭრილი სელჩუკების ლაშქრობები, ფაქტობრივად, შუა აზიიდან დაძრული თურქული ტომების გადმოსახლება იყო. ისინი ნაწილობრივ ყველგან მომთაბარეობდნენ, მაგრამ საბოლოოდ დასამკვიდრებლად მცირე აზია-ანატოლია-სამხრეთ კავკასია "მოეწონათ". მათ ამგვარ "სურვილს" შეეწირა ბიზანტიის იმპერიის მთელი აზიური ტერიტორიები. 1073 წელს საფუძველი ჩაეყარა ანატოლიის სელჩუკთა სახელმწიფოს. სამხრეთ კავკასიის მისადგომებთან დამკვიდრებული თურქ-სელჩუკები 1080 წლიდან იგივეს უპირებდნენ საქართველოს - მის ტერიტორიაზე დამკვიდრებას. სწორედ ეს საშინელი მომთაბარულ-ბარბაროსული სტიქია შეაჩერა დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკურმა გენიამ.

დავითის ისტორიკოსი საღად აფასებდა ჯვაროსანთა გამოჩენას ახლო აღმოსავლეთში, ამ მოვლენის სარგებლიანობას საქართველოსათვის. მაგრამ ამ ფაქტს უშუალოდ საქართველოს მისადგომებთან გეოპოლიტიკური ვითარება არ შეუცვლია. მართალია, დავითმა სელჩუკთა სულთანს ხარკი შეუწყვიტა, მაგრამ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებული მომთაბარე სელჩუკები უშიშრად გრძნობდნენ თავს და ქვეყნის ათვისებას განაგრძობდნენ. დავით აღმაშენებელმა 1118 წლამდე ისე გაათავისუფლა საქართველოს უდიდესი ნაწილი, რომ რეალური და უშუალო დამხმარე არ ჰყოლია.

ბუნებრივია, საკუთარი მეფის დიდ საქმეთა აღმწერელ ისტორიკოსს სრულიად სამართლიანი და ლოგიკური პრეტენზია გაუჩნდა, დავით აღმაშენებლის პიროვნება შეედარებინა მსოფლიო ისტორიის ხმაურიან სახელებთან. რა ვუყოთ, რომ მეთორმეტე საუკუნის ქართულ ისტორიულ-პოლიტიკურ აზროვნებას ამგვარი პრეტენზია ჰქონდა? ამას წინათ ბ-ნი ნოდარ ლადარია სიმართლეს აღნიშნავდა - მსოფლიო ისტორიაში დრაკულას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს დავით აღმაშენებელთან შედარებითო. ეს სამწუხარო სიმართლეა და უცხოელთა მიერ ისტორიის ევროპოცენტრისტული გააზრების ბრალია მხოლოდ. ცხადია, ჩვენ არავითარი სურვილი არ უნდა გვქონდეს, რომ დავით აღმაშენებელი მსოფლიო ისტორიის ას ყველაზე გამოჩენილ დიქტატორს შორის წარმოვიდგინოთ (წორედ მათში ასახელებენ დრაკულას - ვალახეთის მთავარს ვლად მესამეს-დ.შ), მაგრამ არც ის უნდა იყოს სამართლიანი, რომ დავით აღმაშენებელი მსოფლიოს ას ყველაზე დიდ მხედართმთავარსა თუ სახელმწიფო მოღვაწეს შორის არ ვიგულოთ. იმის პრეტენზიაც უნდა გვქონდეს, რომ დიდგორის ბრძოლა, მსოფლიო ისტორიის ას ყველაზე სამხედრო ხელოვნებით გამორჩეულ ბრძოლებს შორის დავამკვიდროთ, რასაც არ აკეთებენ "ასი დიდი მხედართმთავრისა" თუ "ბრძოლის" სახელწოდებით გამოქვეყნებული წიგნების ევროპელი თუ რუსი ავტორები.

მეთორმეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსი კი თამამად წერდა, დავით აღმაშენებელს "ვერვინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა"-ო.

## სკანვორდი

ბაში-აჩუკის გმირი



1000 კგ.

## TV პროგრამა

14 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუტები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუტები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "ჰიტლერის ატომური ბომბი" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "საყვარელი" (18) (ტონი ლენგი) **02.20** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - რ. რეიგანი **16.30** "არტე" წარმოგიდგენთ - ცირკის სამყარო **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" 1-ლი ს. **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მოსკოვის თეატრის ალყა" **23.00** მრწამსი - ლიტურგია **23.30** მხ. ფილმი "არჩერი" (15) **01.45** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "სცენა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "დიელი და პასკო **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "ყვითელი შადრევანი" (გ) (ედუარდო ნორიეგა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "თავგადასავალი კარიბის ზღვაზე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "ხეები" **21.45** კონცერტი **23.05** კინოსეანსი "მადამ ბოვარი" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.25, 17.10, 02.55** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.25** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" მე-5ს. **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** მხ. ფილმი "ჯეიკობის კიბე" (15) (ტ. რობინსი)

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.30** კომედია "მეოთხე ტენორი" **11.20** მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" **12.50** დოკ. ფილმი **13.10** მხ. ფილმი "შავი თვალები" **15.20** მუსიკა **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** თრილერი "ბრიყვისგან თავის დაღწევა" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** დრამა "ცდომილება" **22.30** მუსიკა **23.00** "სტარტი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "მტირალი მკვლელი" **01.40** მუსიკა

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "ერთი ნახვით შეყვარება" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "არტეფაქტი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Сердцу не прикажешь в комедии **"ЛЮБОВЬ ЗЛА"** **10.40** Вера Глаголева в фильме **"ПРОСТИ НАС, ПЕРВАЯ ЛЮБОВЬ"** **12.20** Мэрилин Монро в комедии **"ДЖЕНТЛЬМЕНЫ ПРЕДПОЧИТАЮТ БЛОНДИНОК"** **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.30** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **18.40** Сериал **"КЛОН"**. **19.40** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Армен Джигарханян в сериале **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **22.40** Спецрасследование. "Секты. Жертвы. Деньги". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Подземный Эрмитаж". **00.20** "Звезды эфира". Николай Дроздов. **00.50** Дмитрий Хаустов в программе "Русский экстрим". **01.20** Катрин Денев в мелодраме **"ВБЛИЗИ ОТ РАЯ"**. Одинокая француженка средних лет, писательница Фанетт случайно встречается со своим бывшим однокашником Бернаром. В пору студенческой юности он был без ума от нее, а Фаннет любила красавца Филиппа. Воспоминания о той прекрасной поре с новой силой будоражат сердце. А вскоре, накануне поездки в Нью-Йорк, где Фанетт должна закончить свою книгу, она получает таинственную записку: послание от Филиппа, который назначает ей свидание на крыше Эмпайр Стэйт Билдинг. Была ли записка или это всего лишь игра воображения? Но Фаннет, начисто позабыв, что она взрослая женщина, как девчонка мчится навстречу своей судьбе... **02.50** "Шутка за шуткой". **03.20** Стивен Болдуин в приключенческом фильме **"8 СЕКУНД"** **05.05** Док. фильм "Лекарство от рака".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО В ТОНАЛЬНОСТИ ФА-МАЖОР"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю. **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.30** Сериал **"МАНГУСТ-2"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Александр Устюгов в сериале **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **20.45** Игорь Ливанов в детективном сериале **"ВСЕ ЗОЛОТО МИРА"**. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СТЕРВЫ, ИЛИ СТРАННОСТИ ЛЮБВИ"**. **23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"МЕНТОВСКИЕ ВОЙНЫ"**. **01.15** Профессия - репортер. **01.45** Роберт Вагнер в детективной комедии **"СУПРУГИ ХАРТ: ДО ГРОБОВОЙ ДОСКИ"**. Прилетев в Германию, чтобы стать донором костного мозга для умирающего мальчика, а заодно и отметить очередную годовщину своей свадьбы, супруги Дженифер и Джонатан Харт ненароком втягиваются в запутанную историю с наследством. После женитьбы на Симоне, которая как две капли воды похожа на Дженифер, Генрих получит многомиллионное наследство. Перепутав женщин, злодеи похищают не ту женщину... **03.15** Сериал **"ЗАПАДНОЕ КРЫЛО"**. **04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**. **04.55** Сериал **"БЕЗ СЛЕДА-II"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

# ამერიკული ტრიუმფი ბრიტანეთში

2005 წლის ბაფტამ მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ტრადიციისამებრ, ქედი მოუხარეს ბრიტანულსაც და არც ამერიკულს დასწყვიტეს გული. ანუ, მთავარი ჯილდოები ამერიკულმა "ავიატორმა" და ბრიტანულმა "ვერა დრეიკმა" გაიყვეს.

სკორსეზეს ბოლო ნამუშევარი წლის საუკეთესო ფილმად დასახელდა. მისი ერთ-ერთი ვარსკვლავი კეიტ ბლანშეტი კი მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელი საუკეთესო მსახიობი გახდა.

მაიკ ლიმ საუკეთესო რეჟისორის ტიტული მოიპოვა, ვერა დრეიკის როლის შემსრულებელმა იმელდა სტაუნტონმა კი - საუკეთესო მსახიობი ქალის პრიზი.

თუმცა, "ავიატორის" გარდა, ბრიტანელებმა კიდევ რამდენიმე ამერიკულ პროდუქციას სცეს თაყვანი. ფილმში "რეი" შესრულებული როლისთვის ჯეიმი ფოქსი საუკეთესო მამაკაცი მსახიობის ტიტულით დაჯილდოვდა, ქლაივ ოუენი კი - საუკეთესო მეორეხარისხოვანი თამაშისთვის ფილმში "სიახლოვე".

ეს კი ზუსტად ემთხვევა "ოქროს გლობუსზე" დაფიქსირებულ შედეგებს. იანვარშიც ამერიკულ ცერემონიალზე როლები ზუსტად ასე გადანაწილდა.

შაბათის "ბაფტაზე" იყო იმედის გაცრუებაც. ყველას ეგონა, რომ ბრიტანელი კეიტ უინსლეტი საუკეთესო მსახიობი ქალი გახდებოდა ფილმში "უდარდელი გონების მუდმივი ნათება" თამაშისთვის, მაგრამ კეიტი "ბაფტადან" ისევე, როგორც "ოქროს გლობუსიდან" ხელცარიელი დაბრუნდა.

ალბათ, ბრიტანელებმა მხოლოდ იმით დაიმშვიდეს გული, რომ ეს ტიტული კეიტ ბლანშეტს - ავსტრალიელ მსახიობს ერგო წილად. თანაც, ბლანშეტმა ხომ "ბაფტა" 1999 წელს ელიზაბეტის როლის შესრულებისთვის მოიპოვა - ანუ, ეს ქალბატონი ბრიტანეთში უფრო ეროვნულ ფასეულობებთან იგივდება, ვიდრე ჰოლივუდურთან. თანაც, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ურთიერთსიმპათიასთან. მეორე "ბაფტას" მოპოვებით თავად კეიტიც ხომ ძალიან ბედნიერი ჩანდა: "ეს გამარჯვება ჩემთვის განუსაზღვრელად ბევრს ნიშნავს", - განაცხადა მან და მადლობა კეტრინ ჰეპბერნსაც გადაუხადა - ქალ-ლეგენდას, რომლის როლიც კეიტმა "ავიატორში" ითამაშა: "მადლობა კეტრინ ჰეპბერნს, რადგან მან ზოგადად ქალებს გაუკვალა გზა კინოსკენ".



ამ ორი წამყვანი პრიზის გარდა, "ავიატორი" კიდევ ორი მეორეხარისხოვანი პრიზით დაჯილდოვდა: საუკეთესო მაკიაჟისა და დიზაინისთვის და საუკეთესო კოსტიუმის დიზაინისთვის (ეს უკანასკნელი ჯილდო პირადად ვერა დრეიკის კოსტიუმებს ხვდა წილად). იმელდა სტაუნტონმა "ბაფტას" ჩაბარებისას განაცხადა: "დიდი მადლობა... ძალიან მიხარია, რომ "ვერა დრეიკის" პოპულარობამ წინსაფრები დააბრუნა მოდაში.

არანაკლებ ბედნიერი ჩანდა მაიკ ლიც: "ხანდახან რეჟისორები ვამბობთ ხოლმე, რომ ამა თუ იმ პრიზის მოპოვება ჩვენთვის დიდი მოულოდნელობა იყო; ვამბობთ და ვიტყუებით. თუმცა, ამ შემთხვევაში ასე არ არის. თუ გავითვალისწინებთ დანარჩენ კანდიდატებს, მე გულწრფელად მიკვირს ჩემი გამარჯვება. ეს მართლაც დიდი პატივია". ცხადია, დანარჩენ კანდიდატებში მაიკ ლი, უპირველეს ყოვლისა, მარტინ სკორსეზეს გულისხმობდა. თუმცა, ასევე კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ ძალიან მცირე ბიუჯეტით გადაღებულმა ფილმმა ასეთი დიდი რეზონანსი გამოიწვია მაყურებლებშიც და კინოკრიტიკოსებშიც.

ცერემონიალს არ ესწრებოდა საუკეთესო მამაკაცი მსახიობი ჯეიმი ფოქსი. სამაგიეროდ, ლონდონში ამაოდ ჩავიდა ლეონარდო დი კაპრიო - "ბაფტა", რომელიც შეიძლებოდა, რომ მას რგებოდა წილად, ფოქსმა მოიპოვა. თუმცა, დი კაპრიო მაინც კმაყოფილი ჩანდა. "ბაფტაზე" პირველად ვარ, პირველად ვარ ნომინირებულიც. ბრიტანულ კინოს ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი. ამიტომ ამ ჯილდოზე წარდგენაც კი ჩემთვის მართლაც დიდი პატივია", - ამბობდა ის ჟურნალისტებთან საუბრისას.

ლონდონელებს მადლიერებას უცხადებდა ქლაივ ოუენიც. "მთელი ეს დაჯილდოების სეზონი ჩემთვის სრულიად ახალი ხილია, არც ერთი ჯილდო არასდროს არ მომიპოვებია და იმიტომ. თავს რაღაც უცნაურადაც კი ვგრძნობ".

ცხადია, შაბათს, ლონდონში "ბაფტები" სხვა კატეგორიებშიც დარიგდა. "მოტოციკლეტისტის დღიურები" საუკეთესო უცხოური ფილმი გახდა. უოლტერ სალესის სურათი ჩე გევარას ვოიაჟის შესახებ საუკეთესო მუსიკისთვისაც დაჯილდოვდა. კეიტ უინსლეტისა და და ჯიმ კერის ფილმმა კი "ბაფტა" ორ კატეგორიაში მოიპოვა - საუკეთესო სცენარისა და საუკეთესო მონტაჟისთვის.

საუკეთესო ბრიტანული ფილმი რომანტიკული სურათი "ჩემი სიყვარულის ზაფხული" გახდა. ფილმში ერთდროულად ვითარდება ორი ახალგაზრდა ქალის სასიყვარულო ურთიერთობა.

რაც შეეხება, ნამდვილ ბრიტანულ არჩევანს, ის ქვეყნის საზღვრებს მაინც არ გასცდენია. ბრიტანელებმა ყველა დანარჩენ მიღწევას გადაუსვეს ხაზი და წლის ფილმად შოტლანდიელი ავტორის ბესტსელერის მიხედვით ეკრანიზებული "ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე" აირჩიეს (იგულისხმება "ბაფტა", რომელსაც მაყურებლის გამოკითხვის შედეგად გასცემენ ხოლმე).

ახლა კი ჯერი უკვე ლოს ანჯელესზეა. 27 თებერვლამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მსახიობები და რეჟისორები, რომლებიც შაბათს ლონდონში "შეერკინნენ" ერთმანეთს, რამდენიმე დღეში საბრძოლო სცენად ჰოლივუდის ბულვარს გადააქცევენ.



თბილისის 1 კლასიკური გიმნაზიის საბალეტო სტუდია, ხელმძღვანელი მაკა მახარაძე, წარმოგიდგენთ: სამეფო უბნის თეატრში 14 და 15 თებერვალს "მაკნატუნა, პ. ჩაიკოვსკი. დადგმა თამაზ ვაშაკიძე. მხატვარი ანა კალატოზიშვილი.

დასაწყისი 19 სთ-ზე.

მისამართი: გია აბესაძის ქ. №10 (შესახვევი ლესელიძის ქუჩიდან).

ტელ: 92 38 70.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში; ფასი: 5 ლარი


სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) ... UNIVERSITY OF WALES INSTITUTE Cardiff-თან ერთად.

MBA

2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

BA

BA (Hons) 2 წელი

2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

£4550

ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.

E-maol: stmgeorgia@hotmail.com

www.stmlondon.co.uk


# საქმე, რომელიც მოდის კვირეულზე წინ დგას

მაშინ, როცა ყველა ფიქრობდა, რომ ნიუ იორკის მოდის კვირეულზე სუპერმოდელები დაძაბულად შრომობდნენ, საპირისპიროს აეხადა ფარდა. ნაომი კემპბელი, ჟიზელი და ჰაიდი კლუმი კარნავალებზე ერთობოდნენ. ჟიზელი რომ რიოს კარნავალს არასდროს აცდენს - ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, მისი სამბადრომზე გადაღებული ფოტოები უმალ მოივლის ხოლმე მსოფლიო პრესას. ოღონდ, წელს მასთან ერთად სამბის ცეკვით გართული ნაომიც დააფიქსირეს ფოტო და ვიდეოობიექტივებმა. ამასობაში მშვენივრად ერთობოდა ჰაიდი კლუმიც. ის თავის საქმროსთან, სილთან ერთად კიოლნში Rose Course-ის კარნავალს ესწრებოდა. მხიარული ღონისძიებაზე ისინი საპატიო სტუმრებად იყვნენ მიწვეულნი. ერთ-ერთ დღეს მშვენიერ სუპერმოდელს დინოზავრის ფორმაც სცმია. მოკლედ, ნიუ იორკის მოდის კვირეულმა მათ გარეშე ჩაიარა. სამაგიეროდ, მოდელები გაერთნენ.



# ჰოლივუდი ნიუ იორკში

შეერთებულ შტატებს მალე ორი ჰოლივუდი ექნება. ნიუ იორკის ცენტრში, იქ, სადაც აქამდე გემთსაშენი ქარხანა იყო, 5 ჰექტარის ტერიტორიაზე ახალი გრანდიოზული კინოსტუდია იარსებებს. ასეთი ფართობი ერთდროულად რამდენიმე ფილმის გადაღების საშუალებას იძლევა. ტერიტორია, რომლის შესყიდვაც ადრე რობერტ დე ნიროს სურდა, ახლანდელ მეპატრონეს, პროდიუსერ დუგლას სტეინერს 100 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა. დანარჩენი 28 მილიონი ქალაქის ხელისუფლებამ დაამატა, რადგანაც ის ამ პროექტით დაინტერესებულია. ქალაქის მერია კარგა ხანია ცდილობს კინემატოგრაფისტების ხელშეწყობას, რასაც მათთვის გადასახადების შემცირებით ახერხებს; ასევე ეხმარება გადაღებების დროს ქუჩების გადაკეტვით. ახალ სტუდიას ისინი უფასო დაცვის სამსახურს სთავაზობენ - კინოინდუსტრიის განვითარება ხომ ათასობით სამუშაო ადგილს და ფილმებიდან შემოსული მოგების პროცენტებსაც ნიშნავს?!

ემფაიერ სტრიტ ბილდინგის პირდაპირ მდებარე კინოსტუდიის სახელწოდებაა Steiner Studios. აქამდე ნიუ იორკს არასდროს ჰქონია საკუთარი კინოსტუდია. რეჟისორები, რომლებიც ქალაქში გადაღებებს აწარმოებდნენ, როგორც წესი, ნიუ იორკის ფაბრიკებს ქირაობდნენ. ამიერიდან კი მათი მუშაობა გაცილებით კომფორტული იქნება. რამდენიმე კვირაში კინოსტუდიაში დაიწყება პირველი ფილმის გადაღება; ეს იქნება მიუზიკლის - "პროდიუსერები" კინოვერსია, სადაც მთავარ როლებს უმა თურმანი, მეტიუ ბროდერიკი და ნათან ლეიონი შეასრულებენ.


თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04

20-00-24


# ნიამორი იწყება

დღეს თბილისში სათავგადასავლო ექსტრემალური სატელევიზიო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "ნიამორი" ფოტოგამოფენით იწყება. "ამოუცნობი და ექსტრემალური სამყარო" საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნება. გამოფენილი იქნება ფოტომოყვარულთა და პროფესიონალ ფოტოგრაფთა 160-ზე მეტი ნამუშევარი.

კინოთეატრ "რუსთაველში" ფილმების ჩვენება 25, 26, 27 და 28 თებერვალს გაიმართება. "ნიამორში" წელს 18 ფილმია წარმოდგენილი; მათ შორის რუსეთიდან ორი, იტალიიდან კი ერთი ფილმია გამოგზავნილი. ფესტივალზე გამარჯვებული ხუთიდან მხოლოდ სამ ნომინაციაში გამოვლინდება. ეს ნომინაციებია: "ექსტრემი", "მოგზაურობები" და "მთა და ადამიანი". "ნომინაციებში - "სამთო ექსპედიცია" და "მაშველები" ფილმები არ შემოსულა; ამიტომ ამ კატეგორიაში გამარჯვებულთათვის განსაზღვრული თანხა მაყურებლის სიმპათიას, საუკეთესო ოპერატორს, საუკეთესო რეჟისორს, საუკეთესო ექსპედიციის ორგანიზატორს, საუკეთესო უცხოურ ფილმსა და სპონსორის რჩეულს გადაეცემა. თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული ფილმი 500-500 აშშ დოლარს მიიღებს. დაჯილდოების ცერემონია კინოთეატრ "რუსთაველში" 3 მარტს გაიმართება.

## ჰინდის შემსწავლელი კურსი ინდოეთში

საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ისწავლონ ჰინდი ჰინდის ცენტრალურ ინსტიტუტში, აგრაში, ინდოეთში. პროგრამა მთლიანად ფინანსდება ინდოეთის მთავრობის მიერ. ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია. განაცხადის ფორმა შეგიძლიათ გადმოწეროთ ინდოეთის საელჩოს ვებგვერდიდან www.indianembassy.am და უნდა გამოაგზავნოთ ინდოეთის საელჩოში ერევანში, სასომხეთში 2005 წლის 31 მარტამდე. კურსი იწება 2005 წლის აგვისტოდან და გრძელდება 2006 წლის ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინდოეთის საელჩოს ერევანში შემდეგ ტელეფონებზე: 00 374 1 539173/539174/539175.


რესტორანი "დაკარგული სამოთხე"

ძმები ჯაყაბაძეების ქ.№2 ("ჯინოს სახლში") ტელ: 999-207


## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს კონკურსს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ყველა ტერიტორიულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობებზე

### კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები:

კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

**წარმოსადგენი საბუთების ნუსხა**

- წერილობითი განცხადება სპეციალიზებული საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოს მიერ გაცემული ანკეტა;

საკონკურსო საატესტაციო კომისიის სამდივნოში განაცხადების მიღება იწარმოებს 2005 წლის 7 თებერვლიდან 22 თებერვლის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა, 14:00სთ-დან 18:00სთ-მდე.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად, ტესტირებისა და გასაუბრების სახით.

საკონკურსო მასალებისა და ტესტების გაცემა იწარმოებს საბუთების მიღებისას.

ტესტირება ჩატარდება 5, 6, 12 და 13 მარტს.

მისამართი: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქ. N10;

ტელ: 758293

ელ-ფოსტა: ministry@justice.gov.ge

ტესტირების განრიგი იხილეთ გაზეთ "24 საათი"-ს 28 თებერვლისა და 1 მარტის ნომრებში.

დამატებითი ინფორმაცია და საკონკურსო ტესტები იხილეთ იუსტიციის სამინისტროს ვებ გვერდზე www. justice.gov.ge


## წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.